


- სიზმრად ვნახე თეთრი გედი... ნეტავ, დედა, რაო?
სანთლები და მგალობლები... ნეტავ, დედა, რაო?
დედი, დედი თეთრი გედი სულ მე მედარაო,
ფრთას მიქნევდა... და მღეროდა... ნეტავ, დედა, რაო?

- თეთრი გედი მღეროდაო? ვაჰ, შენს დედასაო!
შენც სიმღერით მომიკვდები... ვაჰ, შენს დედასაო!
- ვითომ ჩემი თეთრი კაბა ტალღებს ეფარაო,
შავს მიჰქონდა მდინარესა... ნეტავ, დედა, რაო?





- თეთრი კაბა წყალს მიჰქონდა? ვაჰ, შენს დედასაო!
შვილო, შავეთს გათხოვდები... ვაჰ, შენს დედასაო!
- მიწას ხარი ჩაღმუოდა... ნეტავ, დედა, რაო?
- შვილო, მამაშენი არი... ვაჰ, შენს დედასაო!

- აგრე მწარედ რომ ყმუის, ნეტავ, დედა, რაო?
- ეს ალგეთის ლეკვებია, ვაჰ, მათ დედასაო!
- ვითომ ყვავილები წვიმდა... ნეტავ, დედა, რაო?
- საქართველო ატირდება... ვაჰ, შენს დედასაო!..

...თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?!
ილია

# მამული

მამულს გული უპირველეს ყოვლისა!

ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში * სექტემბერი, 2008 N47 * გამოცემის მე-5 წელი * ასავალ-დასავალის პარტნიორობით

















## ქველებურად ცხოვრება

### საბედისწერო მეოთხე ნაწილი



# ომი დამთავრდა! მშვიდობის გეშინოდეთ!

## ანუ ოქროს ჩანგლებით შეიარაღებული არმია

### 1. საგანგებო განმარტება ამ სტატიის ასეთი დასასრულის გამო

ჩვენი პერიოდული გამოცემის ფურცლებზე საქართველოში განვითარებულ მოვლენებს რეგულარულად ვაშუქებდი ერთიანი პუბლიკაციის სახით, რომელიც დავასრულე და აღარ განვაგრძე პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების შემდეგ. ესეც ერთგვარი წინასწარგამიზნული იდეით - ყველაფერი ასე თუ ისე მაინც თავის კალაპოტში ჩადგებოდა, - და მართლაც ჩადგა და ვიცოდი, ინსცენირება საპარლამენტო არჩევნებში ანალოგიური იქნებოდა.

თითქმის ასეც მოხდა.

ამიტომ ღირსად აღარ ჩავთვალე, აღმეწერა ის კატაკლიზმები და კურიოზები, თუ როგორ და რა მაქინაციებით „საქართველოს კანონების კანტორაში“ ეს თაღლითი შევიდოდა, თუ ის ინტრიგანი. ამაზე არც ახლა გავამახვილებ ყურადღებას, არ მსურს საუბარი ამ უმსგავსობაზე, მხოლოდ იმ სავალალო შედეგებსა და მთელი ამ ვაკხანალიის სამართლებრივ დასასრულზე მსურს შევჩერდე, რადგან შემთხვევით არაფერი ხდება, განსაცდელი, რომელიც ქართველმა ერმა ამ ცხელ, მხურვალე, სისხლით გაპოხილ ზაფხულში გადაიარა, და არც შემოდგომაც გვპირდება უკეთესს, დავიმსახურეთ ჩვენი სიბეცით. ჩემთვის უმჯობესი იქნებოდა ამ საკითხებს აღარასოდეს მოვბრუნებოდი ამ რაკურსითა და ქარგით. წინამდებარე სტატია შეიძლებოდა ყოფილიყო დამოუკიდებელი ნაწარმოების ფორმით, მაგრამ ვინაიდან დღეს საქართველოში მიმდინარე ომს ვაფასებ გარდასულ არეულობათა ლოგიკურ დასასრულად, ამიტომ იგი ერთიან კონტექსტში უნდა განიხილებოდეს ქართველთა შორის ურთიერთდაპირისპირების მთელ კოლაჟთან.

ეს ომი, რა თქმა უნდა, არ იყო პირდაპირ გამოწვეული ხსენებული ეროვნული არეულობიდან, მაგრამ იგი იყო სასჯელი. ღვთის რისხვამ გადაიარა ქართველთა თავზე თავიანთი ურთიერთშეცოდების გამო. აგრეთვე აქ საუბარი მექნება აპოკალიფსურ ნიუანსებზე, რომლებიც უკვე აშკარად იკითხება მსოფლიო გლობალურ მოვლენებსა და ქართულ სადღეისო მდგომარეობაში. პირველ სამ ნაწილში ანალოგთა ნიმუშებად თუ მომქონდა მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკების“ ჩანაწერებისა და ივან ბუნინის „წყეულ დღეთა“ მემუარებიდან ციტატები, ამ ნაწილში არ მოვუხმობ არც ერთ ავტორს დასამოწმებლად, მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ვისარგებლებ ციტატებით არათუ ერთიანი სურათისა თუ სახის დასახატად, არამედ უკვე დახატულის დასამოწმებლად, რომ ეს მართლაც ასეა და არა ისე.

ტკივილი დიდია, მსხვერპლი აუნაზღაურებელი.

შესაძლებელია, მომავალში დამცხრალ გონებაზე ესა თუ ის მოსაზრება შეიცვალოს, რაღაცას რაღაც დაემატოს, ან გამოაკლდეს, მაგრამ პათოსი არასოდეს შეიცვლება ისე, როგორც საუკუნეების შემდეგ არ შეცვლილა დამოკიდებულება მურვან ყრუს, თემურ ლენგის, აღა-მაჰმად ხანის, ტოტლებენის, ერმოლოვის, ორჯონიკიძის, ხრუშჩოვის, სუსლოვისა და ძმათა მისთა მიმართ. ქართველი ერი თავის ანათემას ყოველთვის გაუგზავნის როდიონოვის ღირსეულ მემკვიდრეებს პუტინსა და პუტინიჩას (ტოტე ბენე: მე მას არ მოვიხსენიებ თავისი ნამდვილი გვარით, სანამ იგი თავისი წინამორბედის უნიათო ასლი იქნება, იგი არაა ინდივიდუალური ფიგურა და ამდენადაც გვარიც არა აქვს ჩემი რწმენით ინდივიდუალური. იგი ამჟამად სავსებით ამართლებს ამ ზედსახელს და სრულიად ჯდება თავისი აღვირახსნილი წინამორბედის ხელდასხმაში. ამდენად რუსეთს ერთი ორთავიანი პრეზიდენტი ჰყავს, რომელსაც ჰქვია რას-პუტინა, დვა-პუტინა (მოკლედ პუტინი და პუტინიჩა). ესეც ზედ გამოჭრილია ამ ორთავიანი ღორისთვის - რუსულ ენაზე „რასპუტსტვო“ ნიშნავს გარყვნილებასა და გახრწნილებას. ერთი რასპუტინი უკვე ჰყავდა რუსეთს. ახლა ამათი ჯერია, სხვაც არაფერი სუფევს კრემლში გარდა ამისა).

აგრეთვე შევეხები ამ ომის სხვადასხვა განშტოებებს - დიპლომატიურს, საინფორმაციოს, ფსიქოლოგიურსაც კი, რადგან აქ მხოლოდ საბრძოლო იარაღებით არ იყო წარმოებული ომი. მრავალ ფრონტზე არათუ მხოლოდ ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, არამედ უპირველესად ქართველმა ერმა მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება და „დაითრგუნა ლომი და ვეშაპი“, „ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ვიდოდა“, „დაეცა მარცხენით ათასეულნი და ბევრეულნი - მარჯუენით ქართველისა ერისა, რამეთუ უფალი იყო სასო ჩვენდა“.

ეს „სონატური ალეგროს“ უკანასკნელი აკორდია და ქართველმა ერმა ამ ომით მტკიცედ განაცხადა ცივილიზებული და არაცივილიზებული მსოფლიოს წინაშე, რომ ქართველ ერს აღარ სურს ძველებურად ცხოვრება, ხოლო რუსეთის ტომებს აღარ შეუძლიათ ძველებურად მართვა. ჩვენ თავისუფალი ბუნებით შობილი ერი ვართ, რომელმაც შეახსენა მტარვალს:

**„სამშობლოს არვის**
**წავართმევთ,**
**ჩვენც ნურვინ შეგვეცილება,**
**თორემ ისეთ დღეს დავაყრით,**
**მკვდარსაც კი გაეცინება“...**

და იყო ასე...
და არის ასეც...
და იქნება ასეც...
ამინ!!!

რუსთა ტომები კი ოქროს ჩანგლების ქურდები არიან ისევე, როგორც ელადელნი - ოქროს საწმისისა. ამ ბნელ ეპოქას ვერ გასცდა რუსეთი და ჩვენში ეძებს ოქროს ვერძებს და პოულობს ჩანგლებს, ბაღაფშებსა და კოკოითებს, მედეა არ დაუხვდა მხოლოდ, ვისწავლეთ ღალატის გემო და ფასი, და მიტომ.

- მე მრცხვენია ჩემი ერის გამო, რომ ოდესღაც ამ „ოქროს ჩანგლებით შეიარაღებულ მშვიდობისმყოფელთა“ ველურ წინაპრებს საშველად მივმართეთ და თავს იმცირებდნენ ქართველი მეფეები ამ ვანდალების წინაშე.

- მე არ გამკვირვებია რუსებისგან გორის და ფოთის დაბომბვა. გამიკვირდებოდა სხვებისგან, ყველასაგან, რუსების გარდა, რადგან ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, ამ ორფეხა მხეცების ტვინის უჯრედებში რაც ხდება, როდესაც მათზე აღმატებულს უყურებენ - მე რუსის ზარბაზანმა ბაგრატის ტაძარი დამინგრია.

იგი მაშინაც ერთმორწმუნის ნიღბით იყო და ახლაც.

ჰოდა, ამიტომ ვბრაზდები ერეკლეს მიამიტობაზე, ორსაუკუნოვანი ტანჯვის ფასად რომ დამიჯდა იგი.

განსაკუთრებით შევეხები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაანალიზებას, იყო თუ არა რაიმე პოზიტიური ამ უცნაურ ურთიერთობაში. უბრალოდ, საკუთარ თავსაც უნდა ჩავუკვირდეთ და ვკითხოთ შინაგან „მე“-ს, - რატომ ვძულვართ ასე დამპყრობლებს ყველაზე მეტად ჩვენ სხვა დაპყრობილთაგან განსხვავებით. რა აქვს ასეთი ქართველებს, რუსის, თუნდაც ელადელის, ასეთი წყრომა რომ დაიმსახურა. იქნებ ჩვენც ვაძლევთ რაიმე ირიბ, ან პირდაპირ საბაბს ასეთი ზიზღისას. ყველაზე გააფთრებით გაათმაგებული, თუ არ გაასმაგებული ძალებით გვებრძოდა ყოველი მტერი. დროა მტერთა შესწავლის ნაცვლად საკუთარ თავში ვეძებოთ კითხვის პასუხი.

ან თუნდაც, იქნებ ისტორიისთვისაც დაგვესვა კითხვა - რატომა ვართ ასე პატარა ერი, ხომ შეგვეძლო ვყოფილიყავით დიდი ერი, ამის საწყისი გვქონდა, საძირკველიც ჩაიყარა. რა მოხდა, რატომ დავპატარავდით ასე, ნიჭიერება არ გვაკლია და ძალღონე. ჩვენ წმ. გიორგის მახვილი გვიცავს ურწმუნოსაგანაც და ერთმორწმუნესგანაც. ჩვენ მებრძოლი ქრისტიანობის მიმდევრები ვართ და რატომ ასეთი მწარე განსაცდელი ჩვენს თავს?!

ღმერთს ვინც უყვარს, სწორედ იმას უვლენს განსაცდელს!

და კიდევ ერთიც, ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი ქართველი ერის ისტორიულ ყოფაში დამალული თავსატეხი, რომელიც გასაოცრად ეხმიანება ჩვენს თანამედროვეობას, იქამდე, ხვალინდელი დღის განჭვრეტის საშუალებას იძლევა - რა დავკარგეთ ჩვენ ბიზანტიის იმპერიის დამხობით და რას ვკარგავთ რუსეთის იმპერიის დაკარგვით, რა იქნება ხვალ?

### 2. ქართველთა თავზე დატეხილი ღვთის წყრომა

სწორედ რომ ღვთის წყრომა და მხოლოდ და მხოლოდ ღვთის წყრომა დაატყდა თავს ქართველ ერს. ამ ბოლო პერიოდში ძალიან შევცოდეთ ერთმანეთს, დავამწუხრეთ უფალი ჩვენი უმსგავსობით. მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ვგულისხმობ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მთელ ჩვიდმეტწლიან პერიოდს, რომლის დროსაც ამა თუ იმ შეცოდებათა გამო ღმერთი გვივლენდა სხვადასხვაგვარ განსაცდელს, ხოლო ვარდების როქირების შემდეგ საქართველოში თითქოს ყველა წყლული ჩაცხრა და დაყუჩდა, არ იყო ყველაფერი რიგზე. ქვეყანაში დაისადგურა უსამართლობამ - დიდი დიდს არ ჰგავდა და პატარა პატარას. ძლიერმა დათრგუნა სუსტი, გაკადნიერდა პირველკაცობა. რადგან მას მიეცა ხელისუფლება, იქვე იგრძნო თავის ძალაუფლება და ენით უთქმელ ჩაგვრას მიჰყო ხელი პატარა კაცებისა, აღარ ერიდებოდა არავისი, ისე გამეფდა დაუსჯელობის სინდრომი ხელისუფლებაში. აღარ მოვყვები იმ ძალადობათა ჩამოთვლას, რაც მან თავისი აღზევების შემდეგ ჩაიდინა, დღეს არაა დრო ნიშნის მოგებისა და მითუმეტეს ომიანობისას, მაგრამ უნდა ითქვას აუცილებელი სათქმელი, თუ რის გამო დაგვატყდა თავს ეს უბედურება. მთავარი შეცოდება არის ის, რომ სააკაშვილი, ლამის იყო და, კერპად ვაქციეთ. ეს მხოლოდ სააკაშვილის ბრალი არაა, ეს ხალხის, ბრბოდ ქცეული მასის ბრალია. ღვთის მეორე მცნება კი გვაფრთხილებს - „არა ჰქმნე თავისა შენისა კერპნი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა ქუე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქუეშე ქუეყანისა: არა თაყუანი-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ“, ჩვენ კი გავკიოდით მთელის ხმით სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ - „მიშა მაგარიაო!“ მოწინააღმდეგის გულის გასახეთქად და ვერ ვხვდებოდით, როგორ ვაგდებდით მიშას ჩვენი უგუნურებით გამოუსწორებელ ცოდვაში. ამიერიდან სააკაშვილიც უნდა მიხვდეს, რომ იგი მაგარი არაა, ისევე, როგორც ზვიადი, როცა ე.წ. მედდრიონმა, მომავალში „მანანისტებმა“ გააფეტიშა „ზვიადი ზვი-ა-დის“ ძახილით. ორთავე შემთხვევაში ვიწვნიეთ ადამის ძის გაკერპება საკუთარ ტყავზე აფხაზ-ოვსების უტიფრობით. ამიერიდან მაინც მოვეგოთ გონს და ვუთხრათ ჩვენს თავს, ვასწავლოთ ჩვენს თავს და ჩავაგონოთ ჩვენს თავს, რომ მამა, ძე და სულიწმიდა სამსახოვანი ერთარსება უფალი ღმერთია ჩვენი და არა იყუნენ ჩვენთვის ღმერთნი უცხონი მისსა გარეშე.

ვიღაც იტყვის - მე იგი კერპად არ გამიხდიაო. სამაგიეროდ ებრძოდი, დაუნდობლად, ისე, რომ ჭკუიდან გადადექი შენც და ჭკუიდან გადააყენე იგიც - თუ მაგარი ვარ, თქვენზე ვცდი ჩემს სიმაგრესო... და სცადა... და გამოუვიდა... შენ იყავი იგი, ვინც დაგაბრმავა სიძულვილმა და ბოროტების სათავედ მიიჩნიე იგი, ვერ უყურებდი რა დაბრმავებული სააკაშვილის სიავესთან ერთად მის სიკარგეს. ღვთის ნება იყო, რომ ამ დღეებში ეს სააკაშვილი გახდა შენი ერის მხედართმთავარი და ერთბაშად აგიხილა ყველაფერზე თვალი და მასში უკვე აღარ უყურებდი ბოროტებას, ცდილობდი მეტი და მეტი კარგი ამოგეწურა მისი პირველი ოთხწლიანი მოღვაწეობიდან. განსაცდელმა გადაფარა ყველა სისხლიანი უკეთურობა ქართული ძალოვანი სტრუქტურებისა. ამაში ვუყურებ მე ღმერთის სამართლიან ხელს, უცდომელსა და ჭეშმარიტს. თავის მხრივ სააკაშვილსაც დაანახა უფალმა, რომ არც ერთი ქართველი არაა ჩასარეცხი თავისი ბნელი წარსულის მიუხედავად. ეს იმას ჰგავს, ოდნავი სახეცვლილებით, მეცხვარე რომ ჰყვიროდა „მგელი მოვიდა, მგელი მოვიდაო!“ და არ დაუჯერეს. ამ შემთხვევაში დაუჯერეს, რადგან მგელი პირდაპირ ცხვარს ეცა და დაგლიჯა. მოდი და არ დაგეჯერებინა!.. სწორედ ესაა ღვთის წყალობა, რომ მგელს მგელი რომ დავარქვით, ყოჩს - ყოჩი, მეცხვარეს - მეცხვარე, ფარას - ფარა.

თვალი დროულად აგვიხილა ღმერთმა, ესე იგი ღვთისგან განწირულები არ ვყოფილვართ.

ერთი აუცილებელი შედარება უნდა მოვახდინო მეორე მსოფლიო ომის ისტორიიდან: 1941 წელს, როდესაც ნაცისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს და შემოდგომაზე უკვე მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ სტალინმა საუკეთესოდ იცოდა ომის დაწყების ზუსტი თარიღი სხვადასხვა აგენტურული ქსელის მეშვეობით და მაინც შექმნა ილუზია მოულოდნელობისა მთელს ქვეყანაში, როგორც ერთი, ისე დააყენა ფეხზე მთელი საბჭოეთი და საკუთარ კონტროლქვეშ ჰყავდა მთელი სახელმწიფო აპარატი ისე, რომ ვერავინ გაბედა განდგომოდა სტალინს, ან სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალება მოეხდინათ. მან ერთი რადიოს მავთულ-ხაზით ხელში აიყვანა მთელი საბჭოეთი დიდიან-პატარიანად, ფრონტის ორივე მხარეს - მტრისა და საკუთარ ზურგში. თვით ბერიას უწყებასაც აკონტროლებდა ეს უძლეველი ზეადამიანი, და არა ღმერთი. ასევე იყო 1945 წელს გერმანიაში - ორი ფრონტიდან უტევდნენ მსოფლიო მტარვალს, იბომბებოდა გერმანიის ქალაქები და სოფლები, მანამდე თავდასხმა მოხდა ჰიტლერზე, გადარჩა, ახალი ტალღა დაიწყო დასჯათა. ომი მთავრდებოდა, ჰიტლერი რეიხსკანცელარიის ბუნკერში იმალებოდა. წითელი არმია უკვე ბერლინში იბრძოდა, მაგრამ ერთი წუთით არ დაუკარგავს ჰიტლერს კონტროლი მთელს სახელმწიფოზე მიუხედავად იმისა, რომ აქა-იქ უღალატეს თავის ფიურერს, ჰიტლერი სადამსჯელო რკინის ხელით ყველას და ყველაფერს წვდებოდა მანამ, სანამ ცოცხალი იყო თვით შემოქმედი ომისა.

ამ ორი ანალოგის მსგავსად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს ხელისუფლებას კონტროლი არ დაუკარგავს სახელმწიფოზე და სრულიად ქართველ ერზე. აქაც გამორიცხული იყო ღალატის ფაქტორი, - იმავე შიშის გამო, რის გამოც შეუკრა ხელ-ფეხი თავის მტრებს სტალინმა 1941 წელს და ჰიტლერმა 1945 წელს. მართალია, ამ სამივე შემთხვევაში შიშს სხვადასხვა მიზეზობრივი საფუძვლები ჰქონდა, მაგრამ სამთავე შემთხვევაში შიშის გემო ტოლფასოვანი იყო, შიშს დიდი თვალები აქვს, და მიტომ. დამოკლეს მახვილივით იდგა და ახლაც დგას ეს კითხვა, - რომ გაიმარჯვოს, რა გვეშველება??? ამ სამივე შემთხვევის ანტიპოდად შეიძლება თბილისის 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალება იყოს. პირველივე ზარბაზნის გასროლაზე ზვიადს ჩამოეშალა თავზე სახელმწიფო მანქანა. კოსმიური სისწრაფით კარგავდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ერთგულ ხალხს, რომლებიც მისთვის და მთელი ერისთვის ყველაზე მძიმე მომენტში გვერდით უნდა დადგომოდა. თითზე ჩამოსათვლელი ხალხი დარჩა მხოლოდ. შინ და გარეთ ღალატის სინდრომით იყო გაჟღენთილი ყველა. კითხვა: რომ გაიმარჯვოს, აღარ დასმულა, რადგან ყველამ იმთავითვე იცოდა, რომ ზვიადი განწირული იყო. რუსეთმა მაშინ გაიმარჯვა მთელ საქართველოზე. ახლა კი უტიფრად გადმოლახა ე.წ. კონფლიქტის ზონა ქართველთა მხრიდან ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, დაიკავა და მოახდინა ოკუპაცია გორის რაიონის, ზუგდიდის, სენაკისა და ზემო აფხაზეთის, აპირებდნენ ბლიც-კრიგით აეღოთ თბილისი და ქუთაისი, მაგრამ ქართველთა ერთიანობამ და მსოფლიო აღშფოთებამ შეაჩერა.

რუსის მოყვანილსა და ხელდასმულს სააკაშვილის ნაცვლად, თვით ანტიქრისტეც რომ ყოფილიყო იგი, ქართველი ერი გაწყდებოდა, მაგრამ ამ ეშმაკის ლორდსაც გადაუძახებდა ქვესკნელში, ვძლევდით ძლევაით საკვირველით, მესიის მახვილით, წმიდა გიორგის წინამძღოლობითა და დედა ღვთისმშობლის კალთის გადაფარებით. ესაა სწორედ ეროვნული აღტკინება. ამიტომ დადუმდნენ რუსული ზარბაზნები და თვითმფრინავები. აღარ ვებრძოდით, მაგრამ ამ არ-ბრძოლით გაცილებით დიდი ზიანი მიადგა რუსულ ჩექმას, ვიდრე ის, რომ მთელი რუსული სამხედრო მანქანა ამოწყვეტილიყო საქართველოს კარიბჭესთან. ეს ისაა, სწორედ, მაცხოვარი რომ გვასწავლის: „ხოლო მე გეტყვი თქუენ: არა წინააღმდგომად ბოროტისა, არამედ, რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოიცა. და რომელსა უნდეს სასჯელად და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა... გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი, ხოლო მე გეტყვი თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მაწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ და გდევნიდენ თქუენ. რაითა იყუნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაისა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“. (სახარებაი მათეს თავისაი. თავი 5. სტატიები 39-41; 43-45).

აქაც, ამ სამამულო ომში ერთგვარი გამოცდაა ღვთისგან, თუ როგორ მოიქცევა ქართველი ერი, იქნება თუ არა ისევ და ისევ „მტრის არ-მცნობი, მოყვრის მგმობი“, როგორი რაინდული დიდსულოვნებით მივუდგებით ჩვენ მჩაგვრელებს, დავივიწყებთ თუ არა ჩვენს ოდით ბუნებას - „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა“. აღარ უნდა იყოს „სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირი“. ესეც ჩვენი გამოცდაა ღვთისაგან, - ვართ თუ არა მზად ივერიის გასაბრწყინვებლად.

ყველაფრის მიუხედავად, იმდენად გაგვინათდა გონება, რომ ამ ომამდე თუ მთავრობის წარმომადგენელს მოსისხლე მტრად მივიჩნევდით, ახლა ეს მრისხანე მტრები მეგობრებად თუ არა, კეთილმოსურნეებად მოგვევლინენ. ასე იცის ომმა, რადგან ის „მრისხანე მტერიც“ ქართველია და ომში გადამთიელმა არ იცის, შენ ხარ კარგი, თუ ის - ცუდი. მან იცის ის, რომ ვინც მის წინ დგას, იგი მისი მტერია, ქართველი იქნება თუ რუსი, ჟურნალისტი თუ ექიმი, ჯარისკაცი თუ ბავშვი, ქვეყანაში დანიშნული ხელისუფლება თუ უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა, ბრძანება აქვს ასეთი მიღებული, და მიტომ. ცოტანი რომ ვართ და თითზე დასათვლელები, ამიტომ ვეძებთ ერთმანეთს სანთლით დღითა და ღამით. ეს ძებნა ომში მძაფრდება სწორედ... და ვპოულობთ ერთმანეთს, და ეს ჩვენ ვართ, სულ რაღაც ერთი წლის წინ რუსთაველზე რომ ვიდექით ბარიკადების სხვადასხვა მხარეს - შენ მირტყამდი და მე კი გავრბოდი, ან პირიქით.

ასე იცის ომმა!

ძალუმად საბას იგავი გამახსენდა ძაღლებზე, ერთმანეთს რომ ასისხლიანებენ და განსაცდელის ჟამის დადგომისას ერთად ებრძვიან მტერს, რადგან

ის მტერი ორთავეს თანაბრად გაანადგურებს, როცა დაუდგება შესაფერისი მომენტი. ახლა აღარ იყო დრო ერთმანეთის განკითხვისა და ანგარიშსწორებისა. აი, ღმერთის მადლიანი ხელი რა სასწაულებს აკეთებს.

ყველაზე კარგად იმ სკეპტიკოსმა დაინახა სააკაშვილის კეთილი საქმეები, ვინც ყველაზე მეტად აკრიტიკებდა მას კოდორის ხეობაში ქართველთა „შეჭრის" გამო და ამ ხეობაში აღმშენებლობით საქმეებს ალმაცერად უყურებდა. აფხაზი რომ მივიდა იქ და დაისაკუთრა ეს რუდუნებით შექმნილი სიკეთე და სარეცხი ფხვნილებისა და თეფშების სარეცხი ჟელეების ქურდების პრეზიდენტი ბაღაფში ავიდა ზემო აფხაზეთში და „შემოიმტკიცა" ქართველთა ნაოფლარი, თუ გული აქვს იმ სკეპტიკოსს, ის გული მოუკვდებოდა და სული გაეყინებოდა ამ საზარელი და უტიფარი სურათის ყურებით. ჯარი ჯარს დაამსგავსა და „ბომჟებივით" არ ცხოვრობდა ჩვენი სარდლობა და მხედრობა. თვით რუსი პოლოვცური არმია გაკვირვებული დარჩა ქართველი მხედრების სამხედრო-სტრატეგიული გამჭრიახობით. ამერიკელმა გაწვრთნა თუ ებრაელმა, ჩვენში რომ მხედრული სულია, წმიდა გიორგისეული, ამას რად უნდა მტკიცება, თორემ გაწვრთნას, ბატონო, ჩუქჩა ამერიკელმა, გაწვრთნას ებრაელმა აფრიკის კაციჭამია ტომები, თუ მხედრული სული არა გაქვს, თუ ნიჭიერი შეგირდი არა ხარ, ვერ გამოიწვრთნები მეომრად და ისეთ მეომრად, რუსს რომ დაეტაკო და გაწყვიტო ერთმა ასი. ამას გენეტიკური ნიჭის გააქტიურება სჭირდება და სწორედ ეს აამოქმედა სააკაშვილმა და მისმა მინისტრებმა ქართულ სულში, მაგრამ ამირანივით ისევ მიაჯაჭვეს ქართველი მგელ-თავა რაინდები, რადგან მათ თავიანთი საკეთებელი პირნათლად გააკეთეს და მთელ მსოფლიოს დაანახეს თავიანთი მხედრული დიდება, ამასთანავე დაამსხვრიეს მითი რუსული ჩექმის უძლეველობისა. ხოლო რაც შემდეგ მოხდა, ეს პოლიტიკური თავლაფდასხმა იყო რუსული ფენომენისა დიპლომატიურ ასპარეზზე. ომი, როგორი შინაარსითა და საფუძვლით არ უნდა იყოს წარმოებული, საშინელებაა. საბოლოო ჯამში ამ ომმა სავსებით გაამართლა პოლ ვალერის სიტყვები: „ომი - ეს ის რაღაც აქციაა, რომლის წყალობითაც ადამიანები, რომლებიც არ იცნობენ ერთმანეთს, ერთმანეთს კლავენ იმ ადამიანთა დიდებისა და სარგებლისათვის, რომლებმაც იციან ერთმანეთის შესახებ და იცნობენ ერთმანეთს, ერთმანეთს კი არ კლავენ."

**3. ქაღალდებისა და ფსიქოლოგიური ომი**

ქაღალდების ომი სამხედრო მანევრების პრაქტიკული დამთავრების შემდეგ დაიწყო. უპრიანი იქნებოდა თქმულიყო, რომ სამხედრო ოპერაციები იმ იმედით დაასრულა ქართულმა მხარემ, რათა დიპლომატიურ ომში გადანაცვლებულიყო რუსულ-ქართული სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება, პუტინიჩა რომ იქადნება „სოკრუშიტელნი" (ესე იგი შემმუსვრელ, გამანადგურებელ) დარტყმას მივაყენებთ მტერსო.

ჰოდა, დაიწყო!

პირველი ბრძოლა ქართულმა დიპლომატიამ გაეროს უშიშროების საბჭოს ოთხ სხდომაზე მოიგო, თვით ამ ყველაზე უმაქნის ორგანიზაციაშიც კი გააშავეს რუსები. საქართველომ მსოფლიო მხარდაჭერა მოიპოვა. მიუხედავად ამ წარმატებისა, გაერომ მაინც ვერ მიიღო ვერანაირი გადაწყვეტილება რუსული ფაქტორის გათვალისწინების გამო და დღემდე ზიან და ბაასობენ, რომელი რეზოლუციის პროექტი მიიღონ. ამასობაში კი ომი შეიძლება ისე დამთავრდეს, რომ არათუ თბილისი, მოსკოვიც კი დაიბომბოს და აფხაზეთს ვინ დაეძებს და სოჭის ოლიმპიადას, ტუაპსეც კი მოსთხოვოს ნირწამხდარ რუსეთს დაზარალებულმა საქართველომ.

შემდეგი აუცილებელი და გადაუდებელი ნაბიჯები ევროპამ გადადგა - ევროკავშირის ეგიდით საშუამავლო მისია იკისრა საფრანგეთმა, როგორც მიმდინარე წლის თავმჯდომარე ქვეყანამ. საფრანგეთის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი საგანგებო ვიზიტით ეწვივნენ რუსეთსა და საქართველოს. პირველ ჯერზე რუსეთში წარმოდგენილი დოკუმენტი რუსეთის პრეზიდენტმა პუტინიჩამ დიდი ზარ-ზეიმით მოიწონა და მოაწერა ხელი. დოკუმენტი კი ითვალისწინებდა აფხაზ-ოსების სტატუსის შემდგომ გადახედვას, სააკაშვილი კატეგორიული იყო ამ საკითხში და ფაქტიურად ამ სახის დოკუმენტისთვის ხელი არ მოუწერია.

მეორე ჯერზე ერთის მხრივ პუტინიჩამ თავისთან მოიხმო სარეცხი ფხვნილებისა და თეფშების სარეცხი ჟელეების ქურდების პრეზიდენტი ბაღაფში და ტაშტებისა და უნიტაზების ქურდების პრეზიდენტი კოკოითი. იქ იმ დაწუნებულ პირველ ვარიანტზე მოაწერინა ხელი და კმაყოფილი ბიჭუნასავით გაიღიმა. ამჯერად აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ჩამოიტანა სააკაშვილს სარკოზისაგან შესწორებული ვარიანტი (როგორც თვით სააკაშვილი ირწმუნება და არც რუსები მალავენ პირვანდელი შეთანხმების მეხუთე პუნქტის შესწორებას). რუსი კი ირწმუნება, რომ სააკაშვილმა კოკოით-ბაღაფშის ხელმოწერილ დოკუმენტს მოაწერა ხელიო. ეს უკვე პოლიტიკური პროსტიტუციის სფეროა, რისი ჩაძიებაც ჩემს მიზანს სულაც არ წარმოადგენს, არც იმისი, თუ ვინაა ამ შემთხვევაში მართალი. ერთი კი აშკარად ცხადია, მავნე ბიჭი პუტინიჩა სრული ზეცი აღმოჩნდა დიპლომატიურ ფრონტზე. ისიც ნათელია, რომ ცივილიზებული მსოფლიო აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას არათუ საკუთარი ახირებისა გამო, არამედ იმიტომ, რომ საქართველო გაეროს წევრი გახდა კონფლიქტური რეგიონების კუთვნილებით და ამას თვით ამ ტერიტორიების მესაკუთრობის არალეგიტიმური პრეტენდენტი რუსეთიც აღიარებს გაეროსა და მისი უშიშროების საბჭოს ყველა აქამდე არსებული რეზოლუციებითა და იურიდიული დოკუმენტებით. აქ უკვე დიპლომატიური მაქინაციები აღარ გამოდგება, რადგან ასეთი აფხაზოვსები მთელს ევროპაშია გაბნეული და მეტწილად უფრო მტკივნეულად და საეჭვოდ (ისტორიულადაც), ვიდრე ეს საქართველოს რეალობაშია. არავის სურს ავი ჯინის ბოთლიდან გამოშვება. თვით რუსეთიც ასეთი დაპყრობილი ქვეყნებით არის შეკოწიწებულ-გაბერილი. სახიფათოა ეს თამაში თვით რუსეთისთვის უპირველეს ყოვლისა. ერთი დღე იქნება, და ბუმერანგივით შემოუბრუნდება მას თავისი სიბეცე და ხუხულასავით შემოენგრევა ხელში თავისი იმპერია, კომბლით რომ გადაჭიმა ერმაკმა იაპონიის ზღვამდე მისი სივრცე, აღვირახსნილმა ეკატერინემ კი თაღლითური მანევრებით შემოაპარა რუსული ჩექმა კავკასიაში და ჭკუასუსტი პავლე (რომელსაც საკუთარ ბუხარში უწია უმალ საქართველოსთან შეცოდება) და „მშვიდობისმყოფელი ალექსანდრე" (ო, ეს საბედისწერო სიტყვა „მშვიდობისმყოფელი", - რა ცინიზმია და პაროდია რუსის თავზე შემოხვეული) უდრტვინველად დაეპატრონენ ქართლ-კახეთის სამეფოს და მირონცხებული ქართველ მეფეთა შთამომავლები ცივი იმპერიის უკიდეგანო ტრამალებში გადაუმალეს თავის ერს და ისეთ დროს გამოუჩინეს, როცა უკვე გამოსაჩენად აღარ ვარგოდნენ. „ალექსანდრე მშვიდობისმყოფელსაც" უწია თავისმა ცოდვამ - უგზო-უკვლოდ გაქრა მისი სახსენებელი ისევე, როგორც უგზო-უკვლოდ გააქრო ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის სახელმწიფოებრიობა და გადაავგვარა და გადააჯიშა დავით მეფე-მეფესალმუნის შთამომავლობა. ამის მერე რუს მეფეებს აღარ გაუხარიათ სამეფო ტახტზე. ეს კარგად დაიმახსოვროს რას-პუტინა, დვა-პუტინა პრეზიდენტმა, ეს რუსეთის ისტორია იყო. რუსეთის თანამედროვეობა კი თვითონ არიან - თავლაფდასხმულები.

დიპლომატიურ ფრონტზე სრული კრახი განიცადეს. ისინიც კი, ვინც საქართველოს ალმაცერად უყურებდა რუსეთის ხათრით და მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, პუტინ-პუტინიჩას ღორული პოლიტიკის წყალობით, ისინიც კი უმტკივნეულოდ ქართველი ერის მხარეს დადგნენ. აღარაა აქ მარტო ნატოზე და ევროკავშირზე ლაპარაკი, აქ რუსეთს შემოეცალა გუნდრუკის მკმევლები, აი, ესაა მთავარი.

ამიერიდან ცივილიზებული მსოფლიო აღარ გააკეთებს იმას, რის გაკეთებასაც რუსეთი ელის მათგან. ნატოში შესვლა-არშესვლა ეს მხოლოდ დროის ამბავია. რუსეთის დიპლომატიამ კი ხელმოცარულ კოკოით-ბაღაფშის ხელმოწერებით ფაქტიურად უსიტყვო კაპიტულაცია გამოუცხადა საქართველოს და ნატოში შესვლისა არ იყოს, აფხაზეთ-სამაჩაბლოს დედა-სამშობლოში დაბრუნება დროის ამბავია და ისინი ერთობლივად, არა ცალ-ცალკე, ხაზს ვუსვამ - ერთობლივად დაუბრუნდება საქართველოს და ისე დაუბრუნდება, რომ აღარასოდეს დავკარგავთ მათ, რადგან ჩვენ აღარ გვსურს ძველებურად ცხოვრება, რუსებს კი აღარ შეუძლიათ ძველებურად მართვა. აღარ აღროვებენ რუსულ ორთავიან ღორს კიდევ თხუთმეტ წელს. ის დაუყოვნებლივ გადაწყდება რუსეთის „სოკრუშიტელნი" დამარცხების შემდეგ.

ამ ომებში ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი არის მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვება. ქართველმა ერმა ამ უპირატესობას ომის პირველივე წუთებიდან მიაღწია თავისი ჯარის უმაგალითო გმირობის წყალობით. მტერი წელში გაწყდა და რომ არ გადმოესროლა მთელი ძალები ამ პატარა ქვეყნის დასამორჩილებლად, რუსეთი ამ ომს პრაქტიკულადაც წააგებდა და ძალთა გადანაწილების სხვა სურათი გვექნებოდა. რუსული გამხეცებული ენერგია წამოვიდა იმისთვის, რომ პირისაგან მიწისა აღეგვა საქართველო, ღვთისმშობლის წილხვედრი ივერია, მსგავსად საშუალო საუკუნეების მრავალი დამპყრობლისა.

ერთი დიდი ალიყური რუსეთს მაშინაც მოხვდა, როდესაც გამხეცებულ რუსულ ჩექმასა და თვითმფრინავებს არ შეაწყვიტა საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდალმა ქართველი მხედრები და პოზიციები დაუთმო რუსეთს, იქამდე აბომბვინა გორი, ფოთი, სენაკი. შემოუშვა საქართველოს სიღრმეში მტერი, რასაც რუსები არ მოელოდნენ ქართველთა უბრძოლველად პოზიციების დათმობას. ეს იგივეა, კუტუზოვმა რომ დაუთმო მოსკოვი ნაპოლეონს, იმ განსხვავებით, რომ ქართველებს თბილისი არ დაგვითმია მტრისთვის, ჯარი გადავარჩინეთ განადგურებას მხოლოდ. ბრძოლა უნდოდა რუსეთს - ქართული არმიის განადგურებაც უნდოდა და თბილისის აოხრებაც. არც ერთი მივართვით და არც მეორე. ამისთვის არ იყვნენ მზად. მრავალგზის მოიწადინეს თბილისისა და ქუთაისის აღება ისედაც, უბრძოლველად, მაგრამ აქ ერის მტკიცე ნებამ და მსოფლიო ყიჟინამ გაუყინა ძარღვებში საბრძოლველი სისხლი რუსებს, ვერ გაბედეს, საბაბიც არ მიეცათ, და მიტომ.

თავისსავე ბოღმაში ჩაიხრჩო რუსეთის პოლ-ოვცები და აი, ფსიქოლოგიური გამარჯვება მტერზე - მას უნდა, რომ გაგლახოს, საბაბს ეძებს, ყველაფერს აფუჩეებს, იპარავს, იქნებ წყობიდან გამოვიყვანოო. ტაშტებს იპარავს, მე უნიტაზსაც ვაძლევ, გადაირია, - რატომ უნდა გავლახოო, როგორ უნდა გავლახოო. დაუხარჯავი მხეცური ენერგია მასშივე ფეთქდება. გველეშაპი რომ სასიკვდილო აგონიაში კუდს გააქნევს და სურს მასთან ერთად რაც მოჰყვება ყველაფერი და ყველა მოკლას, ასევეა რუსეთის ჯარი ახლა.

იგი წყობიდანაა გამოყვანილი ქართველების უმოქმედობით. ესეც ომის ერთ-ერთი ტაქტიკური და სტრატეგიული სვლაა. აფეთქებენ სარკინიგზო ხიდებს, წვავენ ბორჯომის ტყეებს, ნაღმავენ ადგილებს, თავიანთი ნაჩლიქარი რომ კარგა ხნით ახსოვდეს საქართველოს, ძირავენ ხომალდებსა და კატარღებს, წვავენ სამხედრო ყაზარმებს და ასე განაგრძობენ მთელი მსოფლიოს წინაშე ბარბაროსობას და მერე იტყვიან ჩვენ ცივილიზებული ერი ვართ, პუშკინისა და ტოლსტოის ქვეყანა ვართო. რას-პუტინა, დვა-პუტინა ალბათ თავის სისხლიან უკანალს ტოლსტოის „ომითა და მშვიდობით" იწმენდს, მსოფლიო თვალსაწიერში სუფთა და ცივილიზებული საჯდომი რომ გამოუჩნდეს. მაგრამ არა! მის დუმაზე (ამ შემთხვევაში სიტყვის კალამბურულ ბუნებაზე ვაკეთებ აქცენტს) ჯერარგამშრალი სასტამბო საღებავი გადავა, და ერთ ნახევარსფეროზე წაეწერება: „влияние в свете есть капиталл, который надо беречь, чтоб он не исчез"( მეორეზე კი ასეთი რამ - „Если бы все воевали по своим убеждениям, войны бы не было", ორთავე ტოლსტოის „ომი და მშვიდობიდან"

მსოფლიომ დაინახა, მეფე რომ შიშველია და თან ჭუჭყიანი. თითქმის ყველა ქვეყნის დედაქალაქში, სადაც კია რუსეთის საელჩო, სწორედ იმის წინ გამართა ქართულმა დიასპორამ და მათი სოლიდარობის ნიშნად ადგილობრივმა მოსახლეობამ საპროტესტო მანიფესტაციები. ესეც ერთგვარი თავსაჭრელი რამაა რუსეთის რეპუტაციისა მსოფლიოს თვალში, ყოველდღე გამართონ საპროტესტო აქციები და აღარ დაგედგომებოდეს იქ, სადაც ხარ და ამ აქციებით მიწა ფეხქვეშ გეწვის, ელჩი რომ ხარ არასასურველი ქვეყნის. ადამიანური ფაქტორით ეს ასეა, მაგრამ დიპლომატიის მეშვეობით შეგიძლია ნაფურთხი აიწმინდო ურცხვად და ოცდათორმეტი კბილით გაიღიმო მანამ, სანამ შეგრჩენია ეს კბილები სტომაქში.

მაგრამ ყველაზე დიდი თავლაფის დასხმა რუსეთის თავმოყვარეობაზე მაინც საქართველოში მოხდა, როცა რუსეთის საელჩოსთან დაიწყეს შეგროვება საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ნახმარი ტანსაცმლებისა, რახან ამისთვის მოსულანო, ბარემ ჩვენვე შევუგროვოთ და გავატანოთო. ფსიქოლოგიურ ომში სასიკვდილო ლახვრის ჩაცემაა ეს პროტესტი რუსეთის საერთაშორისო ავტორიტეტისთვის. ომში კი ყველაფერი დასაშვებია ისევე, როგორც ტაშტებისა და უნიტაზების, სარეცხი ფხვნილებისა და თეფშების სარეცხი ჟელეების, რადიატორებისა და ნახმარი ტანსაცმლების ქურდობა და ამას დაარქვა „ვოენნი ტროფეიჰ" (რომ გადმოვაქართულოთ, - სამხედრო ალაფი, ნადავლი).

ჯერ ომია და მოძულესა და მაჭირვებელს უნდა ვებრძოლოთ ყველანაირი საშუალებით. აი, ამის შემდეგ ჩვენ იმ ვეფხის დედასაც მოვიკითხავთ და ერთ კილომეტრზე თუ გვთხოვს გაყოლას, ორზე გავაცილებთ, მაგრამ ეს ყველაფერი ამის შემდგომ, მანამდე კი როგორც რუსები მღეროდნენ „სვიაშჩენნაია ვოინა"-ს, ჩვენც უნდა ვიმღეროთ „ჩაკრულო", „ქართველო ხელი ხმალს იკარ", „ვაჟკაცსა ომში სიკვდილი"... ჩვენი სულიერი წუხილი კი დავამშვენოთ „გაფრინდი, შავო მერცხალო"-თი. უნდა ვიმღეროთ ქართული მხედრული სიმღერა „ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი".

რუსული მარცხი ფსიქოლოგიურ ფრონტზე, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი მარცხი, ისიც იყო, როცა თბილისისკენ მიმავალ რუსულ არმიას ასიათასიანი საპროტესტო დემონსტრაციით შეეგება ქართველობა და თანაც ორგზის. ეს ის ხალხი იყო, რომლებიც სააკაშვილს და მის ხელისუფლებას უტევდა გასული წლის ნოემბერში. მაშინ არ იყო ერთად დგომის ნიშანი ის მიტინგები, ახლა კი ერმა მუშტი შეკრა და დაანახა მტერს, რომ მათ სისხლზე ვერ გადააბიჯებდა უცხო ძალა და არ მისცემდა საშუალებას ახალგამომცხვარ რუსეთის ყურმოჭრილ მონას, ვინც იქნებოდა ის, ასულიყო საქართველოს საჭეთმპყრობლის ტახტზე. ამით სააკაშვილს ქართველმა ერმა აპატია მიტაცებული ხელისუფლება, ოღონდ მან ხალხის ეს ნდობა ახლა მაინც უნდა გაამართლოს. ხუთი ქვეყნის პრეზიდენტი უყურებდა ქართულ ძალას და ამის შემდეგ რუსეთის არმია დემორალიზებული იქნა ქართველი ერის მიერ და ამან იქამდეც კი მიაღწია, რომ რუსმა პოლ-ოვცებმა გორის ერთ-ერთი საშუალო სკოლაც კი დაარბიეს.

ამის იქით და ამაზე შორს ვეღარ წავა!

უბრალოდ, სხვა წასასვლელი აღარაა ამქვეყნად!

უბრალოდ, მეტი ფანტაზია ჯოჯოხეთია მხოლოდ!

უბრალოდ, აღარ უნდა გაბრაზდე მათზე!

მხოლოდღა გულწრფელ სიბრალულს იწვევს ადამიანის ზნედაცემულობა მაშინ, როცა საქვეყნოდ ტრაბახობდა პუტინი თავის პრეზიდენტობისას რუსული არმიის უძლეველობითა და სიმდიდრით. რას-პუტინამ დვა-პუტინას გადაულოცა ტახტი ისე, რომ იმ ტახტს თვითონ არ შელეოდა. პუტინიჩამ პუტინს პატივისცემა დაუმახსოვრა და პრემიერ-მინისტრად ჩამოალაბორანტა, დროებით მაინც, სანამ საკუთარ ხელმწიფებას არ დაამკვიდრებს... ყველაფერი საქართველოთი დაიწყო პუტინიჩამ და იმედია, ყველაფერი საქართველოთი დაამთავრა პუტინმა. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ თვით პუტინი საკუთარ ნაჭუჭშია შემალული და ოლიმპიადის გახსნის დღის შემდეგ, ჩრდილო ოსეთსა და კრემლში გამოჩენის შემდეგ ტელეკამერების წინ აღარ ჩნდება. თუ ეს მის ჩრდილოვან კაბინეტში გადანაცვლებას ნიშნავს, მაშინ, ყველა შედეგი ამ ომისა პუტინიჩას დაატყდება თავზე, ხოლო თუ პუტინი პუტინიჩას წყრომის ობიექტი გახდა, უკვე ეს იმას მოასწავებს, რომ პუტინიჩა სულ მალე დიმიტრი მამამისოვიჩ მედვედევად გარდაიქმნება, სამაგიეროდ მოიშთობა ვლადიმირ პუტინი.

ეს ჩვენი პრობლემა სულაც არაა, კისერიცა და კინჩხიც უტეხია რას-პუტინა, დვა-პუტინას. ამის იქით გამოჩნდება აფხაზური და ოსური გვირაბის ბოლო ნათელი წერტილი. რუსის ჯარი საშველთაშველოდ დაემშვიდობება საქართველოს, რადგან რევანშის შესაძლებლობა აღარ ექნება. ჩვენც ჩვენს სამხედრო პოტენციალს ისე გავაძლიერებთ, რომ ჩიტებივით ჩამოვყრით მათ ნებისმიერ თვითმფრინავს, როგორც კი აგრესიული გეგმით გამოჩნდება საქართველოს ცაზე. ამის გარანტი თვით საქართველოს ხელისუფლება და მისი სტრატეგიული პარტნიორი ამერიკის შეერთებული შტატებია. სამხედრო ფლოტიც ისეთი გვექნება, როგორც არასოდეს გვყოლია და მერე თუნდაც თავს დაგვესხას რუსეთი, იგი რამდენადაც რიცხობრივად აღმატებული არ უნდა იყოს, ქართულ მიწაზე ფეხს ვეღარ დაადგამს, არათუ მოიკიდებს. საქართველომ კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო რუსეთს, დატოვა რა არაფრისმაქნისი და ავადსახსენებელი სსრ კავშირის უდღეური ნაბუშარი ესენგე. ამასთანავე ხურდადაც მიაყოლა ის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის არმიას (თავისი სამშვიდობოებით) მიენიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი. აქედან გამომდინარე საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე რუსული ჩექმა კუდამოძუებული წავა აფხაზეთიდანაც და სამაჩაბლოდანაც. ეს გარდაუვალია. ამ ნაბიჯით რუსეთს ხუხულასავით ჩამოენგრევა თავზე თავისი ესენგე, რადგან ამ უაზრო ორგანიზაციიდან გამოსვლას უკრაინაც აპირებს და იგი უფრო შორსაც მიდის, სექტემბრის თვეში უკრაინული რადა განიხილავს ესენგეს არსებობა-არარსებობის საკითხს, როგორც ამ გაერთიანების ერთ-ერთი დამფუძნებელი სახელმწიფო. მეტიც, მალოროსია გადახედავს შავ ზღვაზე ანუ უკრაინის ტერიტორიულ ზღვებში რუსული სამხედრო ხომალდების ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი კარგავს შავ ზღვაზე ჰეგემონიას.

ღირდა კი კოკოით-ბაღაფშის გამო ასეთი დანაკარგების წვნევა?!

ეს რუსეთმა იკითხოს და დაიტიროს საკუთარი თავი!

საქართველომ თავის მხრივ საერთაშორისო სასამართლოებისა და სამხედრო ტრიბუნალზე სარჩელი შეიტანა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. მიმდინარეობს ზარალის დათვლა, მორალური ზიანის აღნუსხვა და მათი წარდგენა ამ სასამართლოებში, რათა რუსეთმა საქართველოს აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი და მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც. ესეც სამართალწარმოების პროცესია და რა შედეგით დამთავრდება იგი, ისევ დროის ამბავია.

ერთის სიტყვით, მაინც ჭამა პური სამართალმა, რადგან რუსეთი ისე მოექცა პატარა ქვეყანას, როგორც ჩვენი მთავრობა გვექცეოდა ყველა ჩვენთაგანს წლების განმავლობაში - ძლიერი ჯაბნიდა სუსტს, ართმევდა საკუთრებას მოქალაქეებს, კლავდა, ანადგურებდა ნაბიჯ-ნაბიჯ ეროვნულ ღირებულებებს, ზეგრავდა არაადამიანურად და რადგან ძლიერი იყო, სასამართლოც ჯიბეში ჰქონდა ჩასმული, სამართალს ვერ იპოვიდი საქართველოში. ეს ომი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ჩვენი მთავრობისთვის და ვიმედოვნებ, ასეც იქნება.

დაბოლოს, ერთი სავალალო ამბავი მოხდა ანაკლიაში, საკუთარ ნაღმზე ოთხი ოკუპანტი აფეთქდა, ორი მათგანი დაიღუპა. ამას ნიშნისმოგებით კი არა, სინანულით ვამბობ. ასეთი დემორალიზებული არმიისაგან არ უნდა გეწყინოს არაფერი, ცოდვები არიან თვითონ, და მიტომ. არ ვიტყვი იმას, რომ „არ იციან რასა იქმან"-მეთქი, მათ საუკეთესოდ უწყიან, რასაც აკეთებენ, მაგრამ საბრალონი იმით არიან, რომ იციან, რასაც აკეთებენ. რომ არ სცოდნოდათ, გაავგებინებდი და იქნებ არ ექნათ ის, რაც თავმოყვარეობას შეალახვინებდა. მე ეს ხალხი ისევე მეცოდება, მათხოვრებისა არ იყოს, მათი სიკვდილიც მტკივა, რადგან მე დიდსულოვანი ვარ და ჩემი დიდსულოვნება ქრისტიანული შემწყნარებლობიდან მოდის.

**4. სეპარატიზმი – მსოფლიო სენი**

რუსეთი XXI საუკუნეში ათამაშებს ინსცენირებას, XVIII საუკუნისას, როცა მტერთაგან ყოველი მხრით შევიწროვებული ქართული სამეფოები რიგ-რიგობით აგზავნიდნენ ერთმორწმუნე იმპერიაში დიდ ელჩობებს, რათა მფარველობა გაეწია მის იმპერატორობით უდიდებულესობას დაჩაგრული ივერიისათვის. ამჟამად ქართულ სამეფოთა როლს აფხაზ-ოსი სეპარატისტები ასრულებენ, სპარსოსმალოს როლი კი საქართველოს დააკისრეს, ხოლო მფარველისა და მშვიდობისმყოფელის მთავარ როლში უცვლელად რუსეთის ამჟამად უკვე ფედერაცია გამოდის. რუსეთის ტვინი XVIII საუკუნის ინტრიგებს ვერ გასცდა. ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ, რაც რუსეთს მა-

მე-4 გვერდზე >>>





























შინაც დაავიწყდა და ახლაც გულმოდგინედ ივიწყებს, -

თუესსა იულისსა, დღესა 24, წელსა 1784-ს წმიდის გიორგის კრეპოსტში პავლე პოტიომკინის, თავად იოანე ბაგრატიონის და თავად გარსევან ჭავჭავაძის ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ტრაქტატის ერეკლესეული რატიფიცირებული ტექსტის პირვალსავე წინადადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ამ კავშირის საფუძველი და მიზეზი - „ადრითგან ერთმორწმუნობამან ყოვლისა რუსეთისა იმპერიისა თანა ქართუელთამან მსახურა მფარველობითა, შემწეობითა და შესავედრებელობითა მათ ერთათა და უგანათლებულესთა მათთა მფლობელთათა წინააღმდგომად მაჭირვებელთა, რომელთაცა ქუეშე შევრდომ იყ-ვნეს იგინი მეზობელთაგან თვის-თა“.

რუსეთმა მაშინაც და ახლაც უგულებელჰყო ერთმორწმუნეობის ფაქტორი - გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და იგი რუსეთის საპატრიარქოს იურისდიქციას დაუქვემდებარა, ივერიაში კი წარმოგზავნილ იქნა ეგზარქოსი, ქართული ტაძრებიდან ამოშანთეს ქართული ფრესკები და გაჯით გადაათეთრეს ეკლესიათა კედლები, ამასაც არ დასჯერდნენ და კომუნისტურ პერიოდში ტაძრებიც ხელყვეს, რუსეთში გაიტაცეს ეროვნული საგანძური - უძველესი ხატები, ხელნაწერები, სიწმიდეები. ამჟამად კი ოკუპირებულ აფხაზეთში ქართულ სავანეებში რუსეთის პატრიარქის წარგზავნილნი აღავლენენ რუსულად წირვა-ლოცვებს. ამ ბოლო ომის შემდეგ რუსი პოლ-ოვცების მიერ აღებული კოდორის ხეობის სოფლებში ულტიმატუმით მიმართეს ქართველ სამონაზვნო დასს და აიძულებენ გადავიდნენ რუსეთის საპატრიარქოს იურისდიქციაში, სხვა შემთხვევაში მათ გააძევებენ კოდორიდან.

აი, ასეთი ერთმორწმუნეობა იციან რუსებმა.

მაგრამ აქაც ერეკლეს პოლიტიკურმა წინდაუხედაობამ ითამაშა საბედისწერო როლი. მერვე არტიკულით იგი ქართულ ეკლესიასაც ამ ფორმით თუ იმ ფორმით უმორჩილებს რუსეთის ეკლესიას. ეს იურიდიულადაც უმართებულოა, რადგან მას არ ჰქონდა უფლებამოსილება ეკლესიის სახელით ემოქმედნა, მითუმეტეს მაშინ, როცა ეკლესიაც ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მას კი არც ერთი მღვდელმთავრისგან შესაბამისი რწმუნებულება არ გააჩნდა - „არტიკული მერუე: დასამტკიცებელად უსაკუთრესისა მონარხისა კეთილ-ნებობისა მისის უგანათლებულესობისა მეფისადმი და ერთა მიმართ მისთა და უმეტესისა შეერთებისა რუსეთისა თანა, ამათ ერთმორწმუნეთა ერთა თანა, ინებებს მისი იგი დიდებულებაი, ვითარმედ კათოლიკოზსა, ანუ უმთავრესსა არხიეპისკოპოსსა მათსა რათა აქუნდეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა მღუდელთ-მთავართასა მერუესა შინა ხარისხსა, ესე იგი არს, შემდგომად ტობოლსკისა და ყოვლად უმოწყალესობით მიუბოძებს მას ნიადაგ ტიტლოსა უწმინდესისა სინოდის ჩლენობისასა. ხოლო მართებისათვის საქართველოისა ეკლესიათასა და მიწერ-მოწერათასა, თუ ვითარ სათანადო არს რუსეთის სინოდისადმი, ამისთვის უკუე დაიწერების სხუა არტიკული“. აი, ასე ვყიდდით საქართველოს შინ და გარეთ.

რაც შეეხება პოლიტიკურ მფარველობას, რუსეთმა თითითითზე არ დააკარა ქართლ-კახეთის დასაცავად, როცა საჭურისი აღა-მაჰმად ხანი შემოესია ერეკლეს სამფლობელოს 1795 წელს და ააოხრა ტფილისი. რუსეთმა ნაბიჯ-ნაბიჯ დაასუსტა ივერია და საბოლოოდ შეჭამა კიდეც 1801 წლის პავლესეული „შეერთების რესკრიპტითა“ და ალექსანდრესეული „მანიფესტით“. აი, ასეთი მფარველობა იცის რუსეთმა,- ამას აფხაზთა გასაგონად ვამბობ (ოსები აქ არ იხსენიებიან, რადგან IXX საუკუნის დასაწყისში ცხინვალში ერთი ოსიც კი არ ცხოვრობდა, ხოლო ჯავასა და თამარაშენში თითო-თითო ოჯახი იყო ჩამოსიძებული. ეს იყო და ეს მთელი შენი ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი. მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ გაავსეს ოსებით ცხინვალი, ავტონომიური ოლქი რომ მიეცათ მათთვის ჯილდოდ ღალატისა).

აფხაზები გადაშენდებიან რუსების შემხედვარენი!

დიახ, მოხდება მათი აუცილებელი ასიმილაცია რუსებში, იგი გაქრება როგორც ეთნოსი. ერთადერთი, თუ ვინმე მართლაც იცავდა აფხაზურ ადათსა და წესს გადაშენებისაგან, ეს ქართველობა იყო. საუკუნეებია, ათასწლეულებია ჩვენ ერთად მოვდივართ ისტორიის გზა-ხვეულებით. მტერიც ერთი გვყავდა და მოყვარეც. ერთი ჯიში და მოდგმა გვაქვს. მორდუობის წესი მტკიცე იყო ჩვენს შორის. წყალი მხოლოდ რუსმა აგვიმღვრია, თორემ არძინბა-ბაღაფშებისნაირი ერის მოღალატეები ვერას დაგვაკლებდა. ამას ფიქრი უნდა, აფხაზები კი ზომბირებულნი არიან, ან სულაც აღარ არიან აფხაზები და ამ თხუთმეტ წელიწადში აფხაზთა ეთნოსი აღიგავა პირისაგან მიწისა.

ქართველი ერი იცავდა თავის მიწას, მამულს, რომელიც ასევე აფხაზისიცაა. მტერი ვერ შეიცნო აფხაზმა და იარაღი აქეთ მოგვიშვირა იმის ნაცვლად, რომ ჩვენ ამოგვდგომოდა მხარში. შეჭმა რომ გვდომოდა აფხაზის, სანამ რუსეთი დაიბადებოდა, მანამ შევჭამდით, და არ დაველოდებოდით ჩვენს მეტოქეს, როდის წაგვართმევდა ლუკმას პირიდან. მე აფხაზს არ ვუყურებდი, როგორც საჭმელს, რუსი კი ყველა ცოცხალ არსებას ადამიანის ჩათვლით, აღიქვამს საჭმელად. იქნებ ჩვენც მივქარეთ რაიმე აფხაზების წინაშე, მაგრამ მათი განადგურება მიზნად არ დაგვისახავს.

უყურონ, თუკი აქვთ თვალი, უსმინონ თუკი აქვთ ყური, რა სისაძაგლეს გვიშვრება რუსეთი ერთმორწმუნე ქართველ ერს. თქვენ რისი იმედი გაქვთ, თუ გაქვთ ამისი შეგრძნების უნარი.

ოსებზე კი ორიოდ სიტყვით შემოვფარგლავ სათქმელს: აფხაზი თუ ჩემი ისტორიული ფესვებით თანამოძმეა და ერთი ჯიშით ვართ დაკავშირებულნი ერთმანეთთან და გაცილებით ფრთხილად ვეპყრობი მას, შენ, ეგრეთ წოდებულო სამხრეთ ოსეთის მოქალაქევ, ჩემი მეზობელი ხარ და შენი სამშობლო შიდა ქართლში კი არა, დარიალს იქით არის და მადლობა უნდა მითხრა, რომ შეგიკედლე და თავშესაფარი მოგეცი, თორემ სხვა რაა ტოპონიმი „დარი-ალანი“, თუ არა ალანთა კარი. და კიდევ ერთიც: ერების მიგრაციის კანონით, რომლის მრავალი ტალღა ახსოვს ევროპას, ერთი ტომი არასოდეს არ სახლდება ურთიერთგანცალკევებით. კავკასიის მთავარ ქედს იქით ქართული სახელმწიფოს საზღვარი არასოდეს ყოფილა, არ დავსახლებულვართ იქ, და მიტომ. კავკასიის ქედი წყლებს ზღვის აუზების მიხედვით, ერებსა და სახელმწიფოებს ყოფს ერთმანეთისგან. ასეა ალპებში, წყალგამყოფი ქედი ყოფს შვეიცარიასა და იტალიას. მაგალითები ბევრია.

სეპარატიზმის მაგალითებიც ბევრია როგორც ევროპაში, ასევე ამერიკაში. გასული საუკუნის 80-იან წლებში ერთმა ჯგუფმა სეპარატისტებისა მოინდომეს ტეხასის შტატის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფა აშშ-დან. ეს სენი კალიფორნიასაც გადაედო. ისტორიულად, ტეხასი მართლაც დამოუკიდებელი ქვეყანა იყო, რომელიც მექსიკას გამოეყო. IXX საუკუნის 50-იან წლებში ამერიკა-მექსიკის ომის შემდეგ იგი შტატების შემადგენლობაში შევიდა. კალიფორნია კი მოგვიანებით დაიპყრო ამერიკამ, კონტინენტის ცენტრალური ნაწილის რაღაც ტერიტორიები კი შეისყიდა კიდეც. ვთქვათ მაშინ, ვის უფრო ეკუთვნის დამოუკიდებლობა კალიფორნიასა და ტეხასს, თუ აფხაზეთსა და ოსეთს?

ამერიკა ამას არ დაუშვებს. ის სეპარატისტები ისე გააქრო ფედერალურმა ბიურომ, მათი სახსენებელიც აღარ დარჩა. გადავიდეთ ევროპაში - დღემდეა ბრძოლა ესპანეთში ბასკების დამოუკიდებლობისათვის (ამ საკითხზე საგანგებოდ აღარ შევჩერდები), ბასკების ნაწილი საფრანგეთს მიაკუთვნეს. რუსული ლოგიკით საფრანგეთმა ჯარები უნდა შეიყვანოს ესპანეთში და დაბომბოს მადრიდი და ბარსელონა? ეს ხომ აბსურდია! ინგლისი ხომ სეპარატიზმის ნაღმზე არსებობს - აქეთ შოტლანდია, იქეთ ჩრდილოეთ ირლანდია. ვის უფრო ეკუთვნის შეერთება ჩრდილოეთ ირლანდიისა ირლანდიის რესპუბლიკასთან და დამოუკიდებლობა შოტლანდიას, თუ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს? რომელ ყურში უნდა ჩასჩურჩულოს რუსეთმა ინგლისის დედოფალს, თუნდ პრემიერ-მინისტრს ეს ქვეყნები დამოუკიდებელ ქვეყნებად მიღიარეო?!

## 5. «ეგო» და «ალტერ-ეგო»

სიტყვამ მოიტანა და მიმოვიხილე ზოგადი შტრიხებით საქართველოს მდგომარეობა XVIII საუკუნის მიწურულს. ზოგადი პოლიტიკური ორიენტაცია მაშინაც და ახლაც ანალოგიურია. საკუთარი თავის ხსნის იმედს გარეშე ძალებზე ვამყარებდით, ანუ საქართველო იდგა პოლიტიკური ორიენტაციის გზის გასაყარზე. ახლაც ანალოგიური ხდება. თუ ადრეულ ჟამს ჩვენ სპარსეთისა და ოსმალეთის პოლიტიკურ ინტერესთა სფეროს განვეკუთვნებოდით და გვსურდა ამ დამამცირებელი ვასალობისგან გათავისუფლება და ხსნას რუსეთში ვხედავდით, ხოლო ეს მუსლიმანური ქვეყნები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ქართულ სახელმწიფოებს ეს ორიენტაცია არ ჰქონოდათ - გვძარცვავდნენ, გვდომებოდნენ, გვპირდებოდნენ, გვემუქრებოდნენ, გვევაჭრებოდნენ, საბოლოოდ 1795 წელს კრწანისის ბრძოლით და თბილისის აოხრებით დამთავრდა, სწორედ მაშინ დაესვა საბოლოოდ წერტილი სპარსეთის ბატონობას საქართველოზე და რუსეთის ლუკმა გავხდით.

ახლაც იგივეა - რუსეთი გვძარცვავდა, გვდომებოდა (აფხაზეთსა და შიდა ქართლში 1991-3 წლებში), გვპირდებოდა, გვემუქრებოდა, გვევაჭრებოდა, საბოლოოდ 2008 წლის 7 აგვისტოდან დაიწყო პროვოკაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთში და იგი გადაიზარდა რუსეთ-საქართველოს ომში, რის შემდეგაც დაბომბეს და დაანგრიეს თბილისის შემოგარენი, შიდა ქართლისა და სამეგრელოს ქალაქები და სოფლები. საქართველომ არც მაშინ და არც ახლა კაპიტულაცია არ გამოაცხადა. პირიქით, სამარცხვინოდ გაიძურწა აღა-მაჰმად ხანის არმია ტფილისიდან, ესეც კი შემოუთვალა მოხუც ერეკლეს - თავი დაანებე რუსებს და რაც დავანგრიე, ყველაფერს უკლებლივ აღგიდგენო.

რუსეთიც წავა დღესა თუ ხვალე ისევე, როგორც სპარსეთი წავიდა საქართველოდან. მაგრამ ერთ საფიქრალს მაინც გვიტოვებს რუსეთი ისევე, როგორც სპარსეთმა დაგვიტოვა განხეთქილების ვაშლად ქართველობას კითხვად, - გიღირთ კი ყველაფერი იმ ფასად, რასაც თქვენ ახლა აკეთებთ, რასაც სამომავლოდ რუსეთი გიქადდითო.

ეს კითხვა ახლაც დგას დამოკლეს მახვილად ქართულ აზროვნებაში, მაგრამ ჯერ ამისთვის არა გვცალია, ღმერთმა ნუ ჰქნას ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ორასი წლის შემდეგ შევძლოთ, ან ვეღარ შევძლოთ საერთოდ. პასუხი ახლავე უნდა ითქვას ცივი გონებით, რეალობის გათვალისწინებითა და ჩვენი მდგომარეობისდა მიხედვით. წინ უფრო დიდი საშიშროება მოგველის, ვიდრე თანამედროვე რუსეთია, ესაა აპოკალიფსი, - არმაგედონი ჯერ არ შემდგარა, ანტიქრისტე ჯერ არ გამეფებულა. ყველაფერი კი ამისკენ მიდის. თანამედროვე მსოფლიო მზადაა მიიღოს მეფედ „საძაგელი მოოხრებისაი“. ამიტომ ქართველი ერი ხელმეორედ აღარ უნდა მიეცეს ზვარაკად მტარვალს. ამისთვის ჭეშმარიტი მოკავშირეები გვჭირდება, - არა ისეთი, რომლისთვისაც არსებობს მარადიული ინტერესები და არა მარადიული მეგობრები. დღეს ბუმია საქართველოში ანტირუსული განწყობილების, რუსეთი გაირიყება მსოფლიოსაგან თავისი ასეთი ქმედებით, მაგრამ იგი ეშმაკთან ინტეგრირებული აღარ იქნება. პუტინი და პუტინიჩი დღეს არიან, ხვალ აღარ იქნებიან, იქნებ უარესიც მოვიდეს, მაგრამ ერთი კი ცხადია, ღმერთი იცავს საქრისტიანოს - რუსეთსაც და საქართველოსაც.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა, არადა შეგვეძლო, მოვალენიც ვიყავით. თუ ტაშტებისა და უნიტაზების ქურდების პრეზიდენტმა მოახერხა თავისი სეპარატისტული გეგმების მიხედვით, რატომ უკეთესი პარტნიორობა არ შევთავაზეთ რუსეთს, რათა ჩვენს მხარეს გადმოხრილიყო. ვიღაც იტყვის, ტერიტორიები დაგვეთმოო?

არა! უამისოდაც შეიძლებოდა კეთილმეზობლური ურთიერთობა, ჩვენ გვეცადა და თუ არ გამოვიდოდა, ეს უკვე სხვა საქმე იქნებოდა.

არ ვცადეთ - გამსახურდიამ თავისი მეგობრებიც კი გადაიმტერა, რუსეთს რაღას უზამდა?! შევარდნაძემ ორი ბატონის მსახურობა მოიწადინა, ვერც ერთ მათგანთან შესძლო ბოლომდე კარგი დარჩენილიყო, ერთმა დაამხო, მეორემ ფეხებზე დაიკიდა. სააკაშვილი და მისი ხელისუფლება პირწმინდად ამერიკულ ორიენტაციაზე დგანან.

ჩვენ ამ ომმა დაგვავიწყა საააკაშვილის უსამართლობანი ქართველი ერის წინაშე. ეს შეიძლება ცუდადაც შემობრუნდეს ჩვენი ქვეყნისთვის. გულმავიწყობა არ არის კარგი, მაგრამ არც ისაა კარგი, დაუნახავი რომ იყო და რუსული აგრესიის შეჩერება არ შეგვიძლია მარტო და დავივიწყოთ ძველი. ახლა კავშირის წინაშე კი ფრთხილად უნდა ვიყოთ და არც აქ დავუშვათ რაიმე სახის კომპრომისი, როგორც არ დავუშვით რაიმე სახის დათმობა რუსეთის წინაშე.

ამერიკამ კარგად იცის ის, რაც XVIII საუკუნეში შეიმეცნა რუსულმა პოლიტიკურმა ელიტამ და კარგა ხნით ადრე იცოდა სპარსეთმა და ოსმალეთმა. ამიტომ ბოლომდე არ გვანადგურებდნენ, ამიტომ ბოლომდე ინარჩუნებდნენ საქართველოს სამეფოების დამოუკიდებლობას მაშინ, როცა ოსმალეთმა ჩაყლაპა ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ებრძოდა უკრაინას, ყირიმის სახანო მისი იყო, საქართველო (იმერეთის სამეფო, გურიისა და სამეგრელოს სამთავროები) ვასალურ მდგომარეობაში ჰყავდა. მათ იცოდნენ, რომ საქართველოს პირისაგან მიწისა აღგვით, ისინი რუსეთის უშუალო მეზობლები ხდებოდნენ. ამიტომ სჭირდებოდათ ბუფერული ზონა და ეს ჩვენი მიწა-წყალი იყო. ვისი გავლენის ქვეშაც იქნებოდა ეს ქვეყანა, სწორედ ის გააკონტროლებდა მთელს წინა აზიას. რუსეთმა ეს გვიან შეიგნო და არ დაერიდა, უცერემონიოდ შეიერთა საქართველო IXX საუკუნეში, გააუქმა რა მისი სახელმწიფოებრიობა. ამით დიდი ზიანი მიადგა სპარსეთსაც და ოსმალეთსაც. ერთი ხელის გაწვდენა და რუსეთს შეეძლო კონსტანტინეპოლის აღება და დასაკუთრება, მაგრამ მრავალმა წვრილმანმა გარემოებებმა შეუშალა ხელი რუსეთს ამ ოცნების განხორციელებაში. ეს იცის ამერიკამ და ყველა საშუალებით ცდილობს საქართველოში შეიქმნას ფორპოსტი ერთის მხრივ რუსეთის, მეორეს მხრივ კი ირანის საკონტროლოდ.

ჩვენი გეოპოლიტიკური მდგომარეობა ამჟამადაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენსავე გადასარჩენად. მაგრამ ერთი რამ უთუოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთმა გარდა ნეგატიური მოვლენებისა, პოზიტიური როლიც შეასრულა საქართველოს ისტორიაში. ისევე, როგორც ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ქვეყნები ასრულებს - მსოფლიო პროგრესულ აზროვნებას ქართული ინტელიგენცია რუსეთში ეზიარა, სწორედ რომ რუსულმა აკადემიურმა საგანმანათლებო სისტემამ აღზარდა ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე და სხვა მრავალი.

ასე ერთი ხელის მოსმით არ უნდა წავშალოთ ეს ურთიერთობები. მართალია, სალდაფონებისაგან თავი უნდა დავიცვათ, მაგრამ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასთან ურთიერთობათა გაწყვეტა კარგს არც ჩვენ მოგვიტანს. კარგია ამერიკული განათლება, კარგია ევროპული კულტურა. უნიკალური შემთხვევა იქნება, თუ მსოფლიო გაიცნობს ჩვენს ინტელექტუალურ პოტენციალს, მაგრამ მეგობართა შემცირება ევროპა-ამერიკის ხარჯზე რუსეთის ინტელიგენციის საზიანოდ, ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება. მართალია, ყველაზე დიდი რუსი მოაზროვნეც კი, თავისი ლოიალური და ლიბერალური მსოფმხედველობითაც, სულის სიღრმეში მაინც შოვინისტია ბოლოს და ბოლოს (ვინც გინდათ აიღეთ, პუშკინიდან სოლჟენიცინამდე), მაგრამ ეს თვით რუსული ინტელიგენციის ტრაგედიაა. რამდენადაც კარგი იყო სახაროვი, იმდენად დამღუპველი იყო მისი თეორია მცირე ერების შესახებ და განსაკუთრებით საქართველოს მიმართ. ისინი „ტუგოდუმი“ სალდათები არ არიან. მათ უნდა დავანახოთ, რას წარმოადგენს ქართველი ერი, ქართული ფენომენი. უკვე ორასი წელი მიიწურა და ამას ვერ მიხვდნენ.

იქნებ ჩვენც არ დავანახეთ სათანადოდ - ვუშლიდით სუფრებს, ვაქეიფებდით, ერთ-ორ ლექსს გვიწერდნენ, ჩვენც გვიხაროდა, ვთარგმნიდით და ბოლოს მიაყოლებდნენ „ლოფლია პოსკარია“-ს. გადავირეოდით, დავთათბაცდით ერთ დროს მეგობრებს, ისინიც გაღიზიანდებოდნენ და „მცირე იმპერიას“ გვიწოდებდნენ. ეს იყო მთელი ჩვენი ურთიერთობა რუსებთან. სხვანაირად კი ვცდით მათთან კავშირ-ურთიერთობის გზებს? ვთარგმნით რუსულად ივანე ჯავახიშვილი? გავაცანით რუსებს გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი? მარტო „სულიკოს“ სიმღერითა და ლადოსს „თბილისით“ ვაბრუებდით მათ, და იფიქრეს, ამის მეტი არაფერი ღირებული ჰქონიათ ქართველებსო. ყოველთვის სადღეგრძელოებში ჩვენ მამაცობაზე ვუყვებოდით, ათას მტერს ერთი ქართველი როგორ უმკლავდებოდა. ისიც გაღიზიანდა, რადგან ისიც ათასი იყო და ჩვენ კი ერთი. რუსი რომ მოგვივიდოდა სტუმრად, იმას კი არ ვცდილობდით როგორმე თვითონ სტუმარი დარჩენილიყო კმაყოფილი, არა, ჩვენი მიზანი იყო ამ სტუმართმოყვარეობაში დაგვემტკიცებინა რუსებისთვის, თუ როგორი კარგები და მათზე აღმატებულები ვიყავით. ამასვე ვადასტურებდით ჩვენს ყოველდღიურობაში.

იქნებ იმაზეც ჩავფიქრდეთ, რატომ გამხეცდა რუსი განსაკუთრებით ჩვენს მიმართ. იმიტომ, რომ მათი იმპერიული კეთილდღეობის შექმნაც და მოსპობაც ქართული გონიერებით, ქართული შემართებით მოხდა. ადრე თუ ქართველების მიმართ უარყოფითი ემოციები სტალინის პიროვნების ქართველობიდან მომდინარეობდა, ახლა მთლიანად ქართულ ერზე გადავიდა ეს განწყობა, რადგან ამ იმპერიის მსხვრევა საქართველოდან დაიწყო.

რუსებსაც - ინტელიგენციასაც და ობივატელსაც რუსეთის ტერიტორიის განფენილობა ატყუებს. ისინი, ამ ტერიტორიების მეპატრონენი, ფიქრობენ გლობალური დაპყრობითი აზროვნებით, თორემ მათ გენეტიკაში არ იარსებებდა აგრესია. სხვა რას მივაწეროთ ადამიანთა სახელი ვლადიმირი (რომ თარგმნო ვლადი, ვლადეც - ფლობაა, მირი კი სამყარო, მსოფლიო), მსოფლიო ბატონობისკენ მიისწრაფის რუსის გონება. ჰოდა, ამიტომ კარგად მოექცევი მას თუ ცუდად, საბოლოო ჯამში შედეგს ერთსა და იგივეს მიიღებ, და იქნებ არც!.. როცა საკუთარ თავმოყვარეობას არათუ ქართველი, სხვაც დაანახებს და ფეხქვეშ არავინ გაეგება, როგორც დიად და უძლეველ რუს ხალხს, მაშინ თვითონვე დაითრგუნავს თავის ამბიციებს.

არ წავა რუსი, თუ არ აიძულე იგი შენგან წასვლა, არ დაეძებს ხელი რა დოკუმენტს მოაწერა. იგი თვით-იზოლაციის გზას დაადგა და იცის, კარგს რომ არავის მოუტანს ეს - არც რუსეთს და არც დანარჩენ მსოფლიოს. საქართველოს მაგალითზე შევხედეთ რა სისასტიკისა და სისაძაგლის ჩადენა შეძლებია დამშეულ რუსს. იგი სტალინმა შეაჩერა, თორემ შიმშილობის 20-30-იან წლებში გადათელავდა მთელს ევროპას.

ყველამ იცის და ყველას უგემნია რუსული ჩექმის გემო, ამიტომ მაინც, დიპლომატიური სიფრთხილეა საჭირო, რომ არ გამოვიყვანოთ წყობიდან რუსული ორთავიანი ღორი. სალაფავი არ უნდა მოაკლდეს მას და ამავე დროს ოქროთი მორთულ საღორეში შევამწყვდიოთ და ვაკონტროლოთ მისი შიმშილის საზღვრები. რუსს ვერ გარდაქმნი და მას ვერ მოუშლი ველიკორუსულ დერჟიმორდულ აზროვნებას.

უნდა მიიღო ის ისეთი, როგორიც არის, ან არ მიიღო, და თუ მიიღებ, არ უნდა გეწყინოს მისგან რაიმე, არც აწყენინო რაიმე, თორემ მისი დამპყრობლური ინსტინქტი უკონტროლო იქნება და ევროპისთვის დიდი საშიშროებისა და კატასტროფის მომტანი გახდება. ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ცივილიზებულმა მსოფლიომ უარი თქვას თავის მარადი ღირებულებებზე, სწორედ ეს უნდა იყოს

ᲥᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

# ᲝᲛᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ! ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲕᲨᲘᲜᲝᲓᲔᲗ!

ხელშეუხებელი.

### 6. შედეგები და სავარაუდო მომავალი

საქართველომ აუნაზღაურებელი ზარალი იწვნია ამ ომში. უმთავრესი და აუნაზღაურებელი ადამიანთა სიცოცხლეა, რასაც ვერანაირი თანხებით ვერ აღნუსხავ. ეს ოდითი ტრაგედია ყოფილა და ახლაც არის ქართველი ერისა - სამშობლოსათვის თავდადება, რისი მოწმეც მთელი მსოფლიო გახდა.

მე მწუხარებას გამოვთქვამ და მთელი ამერიკული ემიგრაციის სახელით თანაგრძნობას ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებს. დაე, უკვალოდ არ ჩაეაროს მათ მიერ დაღვრილ უმანკო სისხლს. ღმერთმა ისმინოს ჩვენი ვედრება და გაამთლიანოს ქართველი ერი.

ზარალს რაც შეეხება, ის ქართული ეკონომიკისა და ბუნებრივი რესურსების ყველა სფეროს მიადგა. ზოგიერთი მათგანი აღდგენადია, ზოგიც კიდევ თავიდან შესაქმნელი. მთავარია, რომ საქართველო განაგრძობს ფეხზე დგომას და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორები გვპირდებიან თანადგომას უსწრაფესად აღდგენაში ყოველივე იმისა, რაც განადგურდა ამ ომის შედეგად. ციფრებში როგორ გამოიხატება ზარალი, ეს ეკონომისტების საქმეა, მაგრამ ერთი კი ცხადი გახდა, საქართველოს ეკონომიკამ ასე თუ ისე თავისი ხარვეზებისა და სიმრუდე-სიმახინჯეების მიუხედავად დამოუკიდებელი არსებობა დაიწყო და ომმა ვერ შეარყია მისი ბჭენი. მეგობრები მიყვებოდნენ, რომ მათდა გასაოცრად ქუთაისში ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქის ისტორიულ უბანში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერს ომი არ უნდა, ის მიისწრაფის აღმშენებლობისკენ, ეს ეროვნული სასიცოცხლო პოტენციაა, დავითისეული ჭვრეტა ცხოვრების.

დარწმუნებული ვარ, დღესა თუ ხვალე რუსის ჯარი არათუ გორსა და ზუგდიდს, არამედ მთლიანად აფხაზეთისა და შიდა ქართლის მიტაცებულ ტერიტორიებსაც დატოვებს. იმიტომ კი არა, რომ მე ეს ასე მსურს, მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიო უომრად, დიპლომატიურად გამოსტყუებს ამ ძირძველ ქართულ მიწებს დამპყრობელს არათუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენზე ფიქრითა და ზრუნვით უთენ-უღამდებათ, არამედ იმიტომ, რომ ჯერ ერთი საფრანგეთს პროვანსია და ბრეტონის პროვინციები აქვს, ესპანეთს - ბასკეთი, ინგლისს - ჩრდილოეთ ირლანდია, რუსეთს - რა აღარ.

თვითონ რუსეთი მიხვდება თავის გამოუსწორებელ შეცდომას აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან მიმართებაში, რადგან ვოლგისპირა კაზაკები კბილებდალესილი ელოდება შესაფერის დროს, ურალისპირეთი ისეთ დროს იტყვის თავის სიტყვას, რუსეთის დოლგო-რუკობა რომ აღარ იარსებებს და ვეღარ მისწვდება ციმბირს. ბევრი რამ შეიცვლება რუსეთში და იგი თვითგანადგურების წინაშე დადგება და აღარ იქნება იგი გადაჭიმული დედამიწის ერთ-მეექვსედ (თუ მეშვიდედ) ნაწილზე. ევროპა ისეთ დროს გაუწვდის ხელს, როცა დახმარების გაწევა სახიფათო იქნება დამხმარესათვისაც, რადგან რუსეთი გარდასახვის დროს ძველ იმპერიასთან ერთად ჩაიტანს ქვესკნელში ხელის გამომწვდენსაც. ის ამ დამღუპველი განსაცდელისაგან გამოვა ღვთის წყალობით მხოლოდ ისეთი, როგორიც ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი ერია - ცოდვამონანიებული. ამის იქით რუსის შიში, როგორც ჟანდარმისა, გაქრება. გაქრება ყველა რუსი მტარვალი და მათაც მოევლინება მხსნელი მესიის მახვილით.

ახლა კი ბორჯომის ტყეებში და განმუხურის პატრიოტთა ბანაკში, როგორც ეს ერთმა გლეხმა თქვა, რუსეთის სინდის-ნამუსი იწვის.

ეს ისეთი შემზარავი სიტყვებია, რომ ყველამ უნდა იხილოს ამ გლეხის სახე და მოისმინოს მისი სიტყვები. გადათარგმნეთ ის ყველა ენაზე, რათა იცოდეთ, რა არის ომი, ცამეტივე ანბანით ჩაწერეთ მისი სიტყვები, რათა მომავალ თაობებს გადაეცეს ხსოვნა ომისა და მშვიდობის (არარუსულად). ჩაწერეთ და გადაეცით ყველა სულდგმულს ერთი დემონსტრანტის სიტყვებიც - წმიდა სერაფიმ საროველმა რუსებს ანდერძად დაუტოვაო, არასოდეს შეებრძოლოთ ქართველებს, ამ ომით თქვენ თვით ღვთისმშობელს შეებრძოლებითო. რუსულად წააკითხეთ და შეაგნებინეთ ყველაზე დიდი რუსი წმინდანის სიტყვები, რახან მსოფლიო ხმა შეუსმენელი დარჩა მათთვის. თუ ამ შეგონებამაც არ გაჭრა, მაშინ ყველამ ვილოცოთ საკუთარი სულების გადასარჩენად, რადგან ანტიქრისტე უკვე გამეფდა.

**მანუჩარ კაჭახიძე**
2008 წლის აგვისტო

















# გრძელი სათაური

## ანუ ნეტავ როდის ვიყვირებთ ერთხმად და სიხარულით „რუსი მიდის!!! რუსი მიდისო!!!“

### 1. სათაურის გაგრძელება

მინდა ჩავატიო ჩემი გრძნობები და ემოციები მთელს სათაურში, ნათელი რომ გახდეს ყველასათვის ჩემი განწყობილება... ვერ კი მომიხერხებია, ალბათ თავისუფლად შეიძლება გინესის რეკორდების წიგნში შესატან კანდიდატად გახდეს ეს სტატია — ყველაზე გრძელი სათაურისა და გაწეწილი (თუ გაწელილი) და გაჯანჯლებული ამბის თხრობის გამო. როგორც უკვე აღვნიშნე, მსურდა ჩამეტია მასში მთელი ჩემი გულისნადები, და მაინც ბოლომდე ვერ ამოვქოლე სათაურებრივ ქვევრში მთელი ჩემი სათქმელი, ძირში ყოფილა გატეხილი ქვევრი, და მიტომ. ახლა კი ვზივარ დამტვრეულ გობთან (ეს ქართულად), У разбитого корыта (ეს რუსულად) და დაგროვდა წყრომა და სინანული, ერთი და ორი წიგნი რომ ვერ დაიტევს, იმდენი. არაფერს ვამბობ ათასჯერ გადაღეჭილ თემებზე კატკოვიდან მოყოლებული ასტაფიევამდე. ამის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა და ახალს ვერაფერს დავამატებთ, ჩემამდე საუკეთესოდ აღნუსხა კიტა ბუაჩიძემ თავის შესანიშნავ საპოლემიკო წიგნებში მთელი გულისწყრომა (მხედველობაში მაქვს მისი წიგნები - „ასე გრძელი, გრძელი უსტარი ვიქტორ ასტაფიევს...“ და „შავი წიგნი“). საკუთარ თავს სულ ვეკითხებოდი ამ შეკითხვას: როდესაც ამდენი პრეტენზია გააჩნია ერთ-ერთს მეორის მიმართ, იქ რაღა ძმობაზე და მეგობრობაზეა საუბარი-თქო?

მიტევება? მომიტევებია! მაგრამ ამავდროულად, ურთიერთგანრიდება სჯობს ასეთ დროს. როდესაც შენ მლანძღავ საქვეყნოდ, სულში მიძვრები და მერე ღორივით ტალახიან ფეხებს (უფრო სწორად, ჩლიქებს) ზედ შემახოცავ, შენი ნდობა არ მექნება. რის მშვიდობისმყოფელობაზეა საუბარი, როდესაც დასანახად ვერ მიტან, როდესაც შენს მიმართ უკმაყოფილო ვარ, რატომ უნდა მმართო შენ მე, რით ხარ ჩემზე უკეთესი და გონიერი, ან ზნეობრივი?! შენზე ნაკლები, თუ არა მეტი, არც ჭკუა-გონება მაქვს, არც ზნეობა და ისტორიას თავი რომ დავანებოთ, არც კულტურა.

გეცოდინება, რუსთველი გვაფრთხილებს „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“. მართლაც, იმასთან შედარებით, რა დიდიცაა წყრომა, რა ღრმადაა დაგროვილი სულის სფეროებში ტკივილი შენგან მოყენებული, დამერწმუნებით, ერთი პატარა ლექსის ნახევარბწკარედად მოგეჩვენებათ ასეთი გრძელი, გრძელი სათაური.

ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავი შენ, სამისდღეშიო სალაპარაკო გექნებოდა და შენს ლიტერატურაში ტრადიციად დაამკვიდრებდი ჩემს განქიქებას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ვერ დაიტია სასათაურო შრიფტით გამოტანილმა გულისნადებმა, სამაგიეროდ შევეცდები ეს ხარვეზი სათაურის გაგრძელებად წარმოვადგინო.

რა ითქვა, როგორ ითქვა, როდის ითქვა, რატომ ითქვა, სად ითქვა, - ყველამ კარგად ვიცით, და თუ არ ვიცით, პუშკინიდან მოყოლებული (არზრუმული მოგზაურობებიდან დაწყებული მის ლექს-პოემებს კარგად ჩახედონ), არაფერს ვამბობ ლერმონტოვსა და ტოლსტოიზე, აგერ დღესამომდე ასტაფიევის „ლაფერების ჭერაში“ წაიკითხეთ და მიხვდებით, რა ზნედაცემული და სულიერად გახრწნილი, უკულტურო კულტურის წარმომადგენლები გვყავანან.

რუსი მართლა მიდის ჩემი ცხოვრებიდან, ავყიას აუყრია გუდა-ნაბადი და მიდის — თავისი ჯარიან-ჯამაათიანად, გაზიან-ნავთობიანად, ფულიან-დოვლათიანად. მიდის და ხელს უნდა გაიყოლოს ჩემი საგანძურიც — აფხაზეთი და სამაჩაბლო (ოქროს ჩანგლებთან და უნიტაზებთან ერთად), თან ლანძღვა-გინებასაც არ მაკლებს, ხელს რატომ მიშლიო. რაც წამართვი, ის იკმარე, ახლა რაც დამრჩენია, იმას მიადექი?!

არ გაგატან! შენ ხომ შენი სახლი და ქონებაც ოხრად გრჩება?!

მოხვედი?!! მოხვედი...

დამიპყარი და დამატუსაღე?!! ესეც იყო...

დათვმა რომ მომერიე, დაგიძახე „ბაბაია!“?!! დაგიძახე...

მეტი რაღა უნდა გამეკეთებინა. სულში ჩამიძვერი და შენს ბინძურ ხელებს აფათურებ ჩემს სულში?!! აქ კი ნურას უკაცრავად, ამას აღარ გაპატიებ და მოგიცდი, როცა დასუსტდები და შენს ძლევას შევძლებ, მაშინ გაგაგდებ უცერემონიოდ ჩემი სახლიდან.

ჰოდა, ეს დროც დადგა.

არადა, ცუდი საქმე გამიკეთე, ღმერთმანი! მოყვრად მოსულმა ერთმორწმუნემ ოქროს გალიებში გამომიმწყვდიე ჩემი საფიცარი ზნეობრივი მაგალითები, - ოქროში, მაგრამ მაინც გალიაში ჩასვი და ჩემი თვალით მაყურებინებდი, როგორ ხრწნიდი მათ ნელ-ნელა არაადამიანური ცინიზმით.

არ გატყდა ერთი თაობა, შეირყა მეორე თაობა, სამაგიეროდ აღარაფრად აღარ ვარგა მესამე თაობა. საწადელს მაინც მიაღწიე — დრო წაართვი მას, მისი პოტენციალი შეისრუტე, გამოწრიტე მისგან ყველაზე ღირებული — ახალგაზრდობა. თუ კვებავდი წინა ორ თაობას, სანოვაგით ისევ მე გამარაგებდი. ხუხულასავით თვალსა და ხელს შუა შენი უთავჟამობით რომ წამოგიქციეს ეს ამხელა იმპერია, ჩემი საფიცარი ხალხი დამშეული და ღვთისანაბარა დამიტოვე შენი შემყურე, როცა შენ საკუთარი თავისთვისაც კი აღარ გეცალა. სამახსოვროდ აღარც გალია შემრჩა, მითუმეტეს ოქროსი, და აღარც საფიცარნი, დარჩა მხოლოდ ხალხი — ამ დროებაში უილაჯონი.

იმისთვის, რომ საკუთარი სულიერი ნანგრევებიდან გამოტანილი ღირებულებანი — მოძალებული პოტენციალი წარმოაჩინონ, ისევ შენს კარზე მოდიან დაკნინებულნი და აზიური ჰარამხანის მეძავებივით შენს კაბარეებსა და ბარებში (ბორდელებშიც) მღერიან, კონცერტებსა და ფესტივალებზე შენ გართობენ, მათი გონება მომართულია შენი გემოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე. შეხედე შენს შოუ-ბიზნესს და კარგად დაინახავ ჩემსას კი არა, შენს სახეს, თუ როგორი დაკნინებული ხარ და რა დონემდე დაეცი.

ეს მაშინ, როცა თავი მოგქონდა პუშკინით, ესენინით და ბლოკით, გყავდა ჩაიკოვსკი, რახმანინოვი და შოსტაკოვიჩი, ათასგზის კითხულობდი ტოლსტოის, დოსტოევსკის და ჩეხოვს, სანიმუშო ადგილებზე გამოფენდი რეპინს, ვასნეცოვს და სეროვს. ახლა რა, ერთი ვიგინდარა გაქსუებულ ფულის ტომარასავით გამოჭიმულხარ შარვალ-კოსტუმში და შესჩერებიხარ შენი „ჰარამხანის ვაჰინებს“ და ვინც უფრო კარგად გააქნევს გავას, იმას შეიგორებ საწოლში...

### 2. სათაურში ჩაღრმავება.

აი, მიდიხარ შენ, მე ჩემს სახლში დავრჩები და აღვზრდი ქვეყნისთვის სასიქადულო მამულიშვილებს — კიდეც იმღერებენ, კიდეც იცეკვებენ, ლექსსაც დაწერენ, სიმღერასაც, დახატავენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, და მერე როგორ დახატავენ. აი, მერე ნახე როგორი სულიერების კულტურა შევქმნა შენი ჩარევის გარეშე, ამისათვის შენ უნდა წაზვიდე ჩემი ცხოვრებიდან, გადამთიელო რუსო!

საქართველო ეს ისეთი ქვეყანაა და ამ ქვეყანაში ისეთი უცნაურობამდე ორიგინალური ეთნოსტრუქტურაა ჩამოყალიბებული, რომ იგი მართლაც დასაფიქრებელია და არა დასაცინი. ჩვენში არასოდეს ყოფილა მონათმფლობელობისა და ფეოდალიზმის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ფორმაცია. ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის დასაბამიდან დასასრულამდე მუდამ არსებობდა პატრონ-ყმული წეს-წყობილება. დედამიწის ზურგზე ვერ მოძებნით საქართველოს გარდა სხვა ქვეყანას, სადაც არსებობდა ძუძუმტეობისა და გაძიძავების ტრადიციული ურთიერთობანი, სადაც ფეოდალი არა ბატონი და მბრძანებელი, არამედ პატრონი იყო მისი ყმისა. მეფე ჩვენში თვითმპყრობელი კი არა, დიდი პატრონი იყო ერის, ქართველისთვის უცხო იყო პუგაჩოვშჩინა.

ჩემთვის ზაქიჭამია გიორგიც კი სატირალია, რადგან მისი დაკარგვით საქართველო დავკარგეთ. ამიტომ არასოდეს არ აღმოხდება ქართველის ბაგეს - „მოკვდა მეფე, გაუმარჯოს მეფესო!“. თუ რაიმე მანკიერი გაჩნდა ქართველ თავად-აზნაურობასა და გლეხობაში, მათ ურთიერთობაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ რუსული წეს-წყობილების ზეგავლენის შედეგია.

მე არ ვამბობ, გინდა თუ არა, ჩვენ ასეთი და ასეთი ერი ვართ, და ამისათვის უნდა გიყვარდეთ, - სიყვარული და სიძულვილი შენი ნებაა, ერთია მხოლოდ, რომ ყველა ერს სჭირდება თავისებური პატივისცემა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, დაფასებაც. შენ კი, რუსო, ხელაღებით მლანღავ დღიდან ჩვენი გაცნობისა, ამას კი ყველა ენაზე ერთი სახელი აქვს - უზნეობა!

„ჩვენს შორის ხიდია ჩატეხილიო“ - ამბობდა ილია ჭავჭავაძე თავადაზნაურობის ფენასა და გლეხობის შესახებ. ეს ხიდი სწორედ და მხოლოდ რუსული ყაიდის გადმოღების შედეგად ჩატყდა. არაფერს ვამბობ პირველი ღამის წესის შემოღებაზე... ამან დიდი გაუგებრობები გამოიწვია ერში, ფაქტიურად შეირყა ზნეობა და დედის, ზოგადად ქალის კულტზე მიიტანა იერიში ჩვენმა მტერმა და ყველაფერი ეს მაინც ქართველის ხელით გააკეთა.

ილიაც სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს, რომელიც რუსეთის პარტია იყო, მაგრამ მაინც ქართველების ხელით. რუსს არ დაუვალებია ქართველისათვის, მიდი და ილია მოკალიო, ამ აზრამდე თვითონ ქართველი მივიდა და ამ აზროვნებას წარმართავდა მხოლოდ და მხოლოდ რუსი.

ყველაზე დიდი დარტყმა რუსეთმა და თვითმპყრობელურ-ჟანდარმულმა იმპერიამ მაინც ქართულ ავტოკეფალურ სამოციქულო ეკლესიაზე განახორციელა — მიისაკუთრა ქართველთა კუთვნილი ავტოკეფალიის რიგითობა. პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ რუსეთის ეკლესიის უმაღლესმა სინოდმა გააუქმა 13-საუკუნოვანი ავტოკეფალია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და აკრძალა ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება. შემდეგი ნაბიჯი იყო ის, რომ ფრესკებით სავსე ეკლესიები თეთრად გადაღებეს, რათა ტაძრებში წაშლილიყო ქართული კვალი. საეგზარქოსო პოლიტიკამ ისეთი უარყოფითი როლი ითამაშა ქართველ მრევლში, რომ მრავალსაუკუნოვანი მორწმუნე ერის შვილებმა ხელიც კი აღმართეს თვით ეგზარქოსზეც. იმდენად გახრწნა რუსულმა სასულიერო მმართველობამ სწავლა-აღზრდის საკითხი და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ისეთი მიუღებელი მეთოდები შემოიღო, რომ თვით სასულიერო სემინარიიდან მორწმუნეების ნაცვლად ათეისტები და რევოლუციონერები გამოდიოდნენ (მაგალითისათვის მხოლოდ იოსებ სტალინი და ფილიპე მახარაძეც კმარა).

საქართველო უძველესი საუნივერსიტეტო ქვეყანა ვიყავით — საქართველოში აკადემიები მაშინ არსებობდა, როდესაც ოქსფორდის უნივერსიტეტი კი არა, თვით ქალაქი ოქსფორდი არ არსებობდა ქალაქად. და ჩემთან განათლება კი არ შემოიტანე, პირიქით, დააჩლუნგე იგი და მხოლოდ სამხედრო ყაზარმებით გაავსე ჩემი პატარა სამშობლო. მერე მოდექი და შენი ნახელავით კმაყოფილმა მლანძღე და ახლაც არ მაკლებ აუგ-სიტყვაობას.

შენ ყოველთვის ყველასთან მხოლოდ ძალის დემონსტრირებას ახდენდი, რაოდენობრივად ჭარბი ძალისა, ამით დაიპყარი დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი, და არა გონივრულად. თუმცა, ვინ მისცა დინოზავრს გონიერება?! შენი მოწინააღმდეგეები სულიერად შენზე დაბალ საფეხურზე იდგნენ, ამიტომ გაიზარდე სხვათა ასიმილაციის ხარჯზე, ხოლო შენზე გონიერი და სულიერად ძლიერი საწყისის მქონე ერები მუდმივად გემეტოქეობდნენ. ამ მეტოქეობაში ვითარდებოდი შენც — როგორც დამპყრობელი, ასევე ჩვენც — როგორც დაპყრობილები. იქამდე, ვითარდებოდა კულტურული ურთიერთობანი და ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მტკიცდებოდა ჩვენი თანაცხოვრება. ამიტომაა მტკივნეული ამ ურთიერთობათა რღვევის, თუნდ ნგრევის პროცესი.

ერთადერთი, თუ ვინმემ შეისრუტა რუსული სული და შესისხლხორცდა რუსს ერში, ესაა მონღოლეთი. აგრესია და შავი ცინიზმი სხვადასხვა მოდგმათა ურთიერთგადახლართვამ წარმოშვა. უძლეველობაც და უთავობაც რუსეთისა, სწორედ აქედან მომდინარეობს.

„უთავობააო, ვახსენე, - და აი, რატომ...

1919 წლის 29 მარტის „თაიმსი“ წერდა:

> „ბოლშევიკური მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიშანია ხელმძღვანელ ორგანოებში არარუსი ელემენტების პროცენტული უმრავლესობა. ბოლშევიკური მოძრაობის ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში, კომისრებსა და ლიდერებს შორის, ებრაელები 75%-ს შეადგენენ“.

„თაიმსი“ ცდებოდა, - ეს ბოლშევიკური მმართველობის ერთ-ერთი საინტერესო ნიშანი კი არ არის, არამედ მთლიანად რუსეთის სახელმწიფოებრიობისა. ამაში იმალება სწორედ რუსული სული. თუ გადავხედავთ რუსეთის ისტორიას, თვალნათლივ დავინახავთ ერთ აუცილებელ კანონზომიერებას, რაც „თაიმსისათვის“ უცნობი იყო: - რუსეთი თავისი 10-საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ძლიერებისა და ძლევამოსილების ხანაში სწორედ მაშინ იყო, როცა მართავდნენ არარუსი თავადები და შემდეგ მეფეები. თვით რუსი კი თავისი ქვეყნის ან იმპერიის სამართავად ყოველთვის ჩლუნგი გამოდგა. ამერიკას კარგად ახსოვს გონებაჩლუნგი ხრუშჩოვის ერთ-ერთი კომიკური გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, გაიხადა რა ოფლიანი ფეხსაცმელები და ურტყამდა მას მაგიდაზე, თან არაადამიანური ხმით გაჰყვიროდა: Я Вам покажу кузькину мать! რუსეთის არმიაც მხოლოდ მაშინ იყო ძლევამოსილი, როდესაც მას სარდლობდნენ არარუსი მხედართმთავრები. რუსის მიერ ნამართავი ჯარი კი დასაღუპად იყო განწირული. აკაკიმაც სიხარულით შემღერა იაპონელ მხედართმთავარს - „ოიამას ვენაცვალეო“, - ისე გაამწარეთ ქართველობა თქვენი უმსგავსო საქციელით ყველა სფეროში, რომ შენი დამარცხება გაუხარდა, იაპონელების გამარჯვება კი არა! იაპონელის ადგილას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ანალოგიური ზმით შეამკობდა აკაკი მასაც, რადგან მეტოქეობის ერთ-ერთ მხარეს მაინც შენ იყავი, და მიტომ.

### 3. სათაურში ჩაძირვა.

1933 წელს ფაშისტურ გერმანიაში გამოიცა გრიგოლ რობაქიძის შესანიშნავი რომანი „ჩაკლული სული“. ამ ნაწარმოების ერთი თავი მიეძღვნა იოსებ სტალინს

აი, ერთ-ერთი ამონარიდი თავიდან „სტალინის ჰოროსკოპი“.

„საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა, ძალაუფლების პატრონი და არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკვდინებელია“. მასთან ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა. მისი საში-

მე-6 გვერდზე >>>

**ლარი კინგი - იგივე ლავრენს ჰარვი ზეიგერი, ტელეკომპანია CNN პოპულარული თოკ-შოუს „Larry King Live"-ს წამყვანია 1985 წლიდან. ამ 23 წლის განმავლობაში მისი ინტერვიუებით იქმნებოდა პოლიტიკური ამინდი მსოფლიოში.**

**დღემდე მისი ინტერვიუების რიცხვი 40 ათასს აჭარბებს. მის რესპოდენტთა შორის იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჩვენი დროის ყველა პრეზიდენტი, იოსიფ არაფატი, სადამ ჰუსეინი, იცხაკ რაბინი, მაიკ ტაისონი, ტონი ბლეერი, ფრანკ სინატრა, ელიზაბეთ ტეილორი, მუჰამედ ალი, მარტინ ლუთერ კინგი, ბორის ელცინი, ოდრი ჰეპბერნი, ბარბარა სთრაიზანდი, მარგარეთ ტეტჩერი და სხვები.**

**გთავაზობთ მის ბოლო ინტერვიუს ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატთან, ყოფილი საბჭოთა კავშირის გენერალურ მდივანთან მიხეილ გორბაჩოვთან.**

**ინტერვიუ პარასკევს, 15 აგვისტოს, ამერიკის დროით საღამოს 9 საათზე შედგა და მისი ნახვა შეძლო მთელმა მსოფლიომ. საუბრის თემა საქართველო-რუსეთის კრიზისი და ცივი ომის საშიშროება იყო.**

**გადაცემის შესავალი:**

დაძაბულობა გრძელდება, რადგანაც კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის იზრდება. საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ ერთი მესამედი მისი ქვეყნისა ოკუპირებულია.

დღეს საშუალება მომეცა ამ კრიზისის შესახებ მესაუბრა ყოფილ საბჭოთა პრეზიდენტთან მიხეილ გორბაჩოვთან.

# ჩვენ მხოლოდ გვინდა, რომ იმ ქვეყანასთან, რომელთანაც 300 წელია ვცხოვრობთ როგორც ძმები და მეგობრები, გავაგრძელოთ ჩვენი მეგობრობა!

**კინგ: პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა, უკანასკნელმა პრეზიდენტმა საბჭოთა კავშირისა, რომელიც არის ნობელის მშვიდობის პრემიის მფლობელი (1990), „ვაშინგტონ პოსტში" გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ბილიკი მშვიდობისაკენ კავკასიაში" .**

**ბატონო პრეზიდენტო, გმადლობთ ინტერვიუზე თანხმობისთვის.**

**პირდაპირ დავიწყოთ. საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ CNN-ის ეთერში გამოსვლისას განაცხადა, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ მოწმე გავხდით დაუნდობელი, ცივ-სისხლიანი და წინასწარ გათვლილი მკვლელობის პატარა დემოკრატიისა რუსეთის მიერ.**

**თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?**

**გორბაჩოვი**: მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი, რისი ციტირებაც მოახდინეთ, დასაწყისიდან ბოლომდე სიცრუეა! მე მოვისმინე ედუარდ შევარდნაძის მოსაზრება, მან იცის რაც ხდება საქართველოში.

ეს ყველაფერი მოხდა გვიან ღამით, როდესაც ქალაქს ეძინა. ქალაქი ყველა მხრიდან იქნა დაბომბილი ჭურვებით. მათ გამოიყენეს მძიმე არტილერია, საჰაერო ძალა და მკვლელობის ყველა იარაღი. და ეს მართლაც გასაოცარია!

მაგალითისთვის, ცხინვალი, ქალაქი ფაქტიურად განადგურებულ იქნა საცხოვრებელი სახლების, ჰოსპიტალების, წყლის, სანიტაციის, ელექტრო ენერგიის, კომუნიკაბელური ინფრასტრუქტურისა და მშვიდობიანი მოსახლეობისაკენ მიმართული სარაკეტო წვიმებით. ასევე დაინგრა ძეგლები, რომლებიც ერთ-ერთი უძველესი მონუმენტები იყო კავკასიისა, განადგურდა წინაპართა საფლავები, რომლებზეც შემდეგ ტანკებით გადაიარეს.

**კინგ: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს მხრიდან დაიწყო?**

**გორბაჩოვი**: დიახ, ნამდვილად. ამაზე ეჭვიც არ არსებობს. და ზუსტად ამიტომ ჩვენი მხრიდან საჭიროებამ მოიტანა დამატებითი ძალის შეყვანა სამხრეთ ოსეთში, [illegible] აღარ ხდებოდა მაგრამ კიდევ იყო ორმხრივი მოლაპარაკების შესაძლებლობა, რომელიც მიმდინარეობდა კიდევაც, რაც ითვალისწინებდა გარკვეული არჩევნის მიცემის საშუალებას.

ასე რომ, რუსეთი მზად იყო თავისი ფუნქციების შესრულების გასაგრძელებლად, ამაში უბრალოდ ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება. მე არ მესმის, რატომ მოხდა ისე, რომ რუსეთი იქნა წარმოდგენილი, როგორც საქართველოს დამარბეველი. ეს ნამდვილად გაყალბებული ინფორმაციაა და ტყუილია. რას ნიშნავს, რომ ნამდვილად იყო ოსეთის დარბევის გეგმა... (აწყვეტინებს)

**კინგ: კარგით.**

**გორბაჩოვი**: და აგრეთვე მათი გეგმა იყო, რომ ცრუ ინფორმაცია მიაწოდონ ხალხს. ეს უკვე საინფორმაციო ომია. ქალაქის (ცხინვალის) ნახვის შემდეგ უფრო ნათელი გახდება, რა მოხდა.

**კინგ: ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ფიქრობთ რომ რუსეთი აპირებს საქართველოში დარჩენას?**

**გორბაჩოვი**: რუსეთს აქვს მანდატი, და ასეთი მოვლენების შემდეგ რუსეთი ბუნებრივია უნდა დარჩეს სამშვიდობო მანდატის ფარგლებში.

**კინგ: საგარეო საქმეთა მინისტრმა, ლავროვმა მტკიცედ განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტი „ველარ იქნება ჩვენი პარტნიორი მოლაპარაკებებში, უკეთესი იქნება თუ გადადგება".**

**თქვენ მთავრობის შეცვლა გსურთ საქართველოში?**

**გორბაჩოვი**: მე ვფიქრობ, ერთადერთი რაც მნიშვნელოვანია, არის ის, რომ ჩვენს გვესმის, ჩვენთვის გასაგებია ხალხის აზრი სააკაშვილზე, მაგრამ სააკაშვილმა ევროპა და ამერიკა შეცდომაში შეიყვანა. ან შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს იყო ამერიკის გეგმა, რომელიც სააკაშვილმა შეასრულა და განახორციელა.

ეს ნამდვილად მოულოდნელი იყო სამშვიდობო ძალებისთვის. სააკაშვილი ნამდვილად არ არის ის პიროვნება, ვინც ხალხის ნდობას იმსახურებს, მაგრამ ეს ქართველების გადასაწყვეტია.

**კინგ: ამ შეკითხვით ბევრია ამერიკაში დაინტერესებული, - ვინ მართავს რუსეთს? ბატონო პრეზიდენტო, ვის ხელშია ძალაუფლება დღევანდელ რუ-** [illegible] მაქვს მორალური უფლება, რომ ვთქვა, ამ სიტუაციაში რუსეთი მოქმედებდა მხოლოდ საქართველოს აგრესიის საპასუხოდ.

**კინგ: შეუძლია ამერიკას რომ ენდოს** [illegible] ნი ურთიერთობები.

ხშირად იმ ნიღბის ქვეშ, რომელიც ერების განვითარებასა და ინტერესებს ემსახურება, იკარგება ის სინამდვილე, რაც ხდება დღევანდელ მსოფლიოში და ამის შედეგია სიტუაციები, რომლებსაც კონფლიქტამდე მივყავართ.

თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს ეყოფოდა გამბედაობა, რომ დაჯახებოდა რუსეთს, რომ არ ჰქონოდა სხვა ქვეყნების მხარდაჭერა და პროტექცია?

იყო მხარდაჭერაც და პროტექციაც, და ეხლაც კი, ამერიკა ცდილობს გაამართლოს და დაეხმაროს სააკაშვილს.

ჩემი აზრით თქვენ ამას არ უნდა აკეთებდეთ, რადგან ეს გამოიწვევს უფრო მეტ გაურკვევლობას. ამერიკას და რუსეთს [illegible]

**დევ ერთხელ საუბარი.**

**გორბაჩოვი:** ლერი, მე თქვენ ვერ გხედავთ, მაგრამ ჩემთვისაც ძალიან სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი.

## რა აცინებს გორბაჩოვს?













<<<< მე-5 გვერდიდან

ში ზემოქმედებისგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო როგორც საბჭოეთის — და შესაძლოა, მთელი მსოფლიოს ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იდუმალი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის, შეუდრეკელი, დროებით დენის ქსელიდან გამობობღდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესღა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე"."

არ არსებობს შეერთებული შტატების არცერთი პრეზიდენტი, რომლის შესახებაც ასეთი პირუთვნელი სიმკაცრითა და შემაძრწუნებელი აღქმით ისაუბრებდა მისი ოპონენტი და ამას ამბობს სტალინის თანამემამულე გენითა და სისხლით, თუმცა გაუცხოელებული. ასეთი რამ მხოლოდ საბჭოეთში შეიძლებოდა მომხდარიყო, საბჭოეთი კი თავით ფეხებამდე რუსეთის პირმშოა.

სტალინი საქართველოში სოსელო იყო და ილია ჭავჭავაძის „ივერიაში" ბეჭდავდა პატრიოტული განწყობილების ლექსებს, დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა კი მისი პატარა და ლამაზი ლექსი თავის „დედა ენაში" შეიტანა და ამ შაირით ქართველებს ქართულს, მამულის სიყვარულსა და წარჩინებას ასწავლიდა, რუსეთში კი ეს ფაქიზი სულის ადამიანი მოკლეს და სტალინად აქციეს, გახადეს - „ძალაუფლების პატრონი და არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკვდინებელია"", არადა, როგორი იყო, -

**„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,**
**გადახვეოდა იასა,**
**ზამბახსაც გაღვიძებოდა**
**და თავს უხრიდა ნიავსა,**
**ტოროლა მაღლა ღრუბლებში**
**წკრიალ-წკრიალით გალობდა,**
**ბულბულიც გახარებული**
**ნაზი ხმით ამას ამბობდა —**
**აყვავდი ტურფა ქვეყანავ,**
**ილხინე ივერთ-მხარეო,**
**და შენც ქართველო სწავლითა,**
**სამშობლო გაახარეო!".**

ლამაზია, არა?!!

კარგია, არა?!!

რაღაცით პუშკინისა და აკაკის ჰაეროვნებას წააგავს.

აბა, ახლა ნახეთ, ეს რაღას ჰგავს - „ახლავე შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი!".

ამასაც იგივე ბაგე ამოთქვამს.

როგორი კონტრასტია?!

ეს ტელეგრამა, მოსკოვიდან გამოგზავნილი, 1921 წლის თებერვალში, ბაქოში უდეპეშა სტალინმა ორჯონიკიძეს და იცით, რომელ ქალაქზეა ლაპარაკი?

- თბილისზე!!!

შემაძრწუნებული პარადოქსია არა, გვერდიგვერდ რომ დადო „ივერიაში" დაბეჭდილი ლექსი და ელექტროგაყვანილობით ნაბეჭდი დაშიფრული დეპეშა?!

აი, როგორ მოკლეს რუსებმა და მხოლოდ რუსებმა მამულზე უსაზღვროდ მეოცნებე ჭაბუკი, რომელიც ამბობდა: „აყვავდი ტურფა ქვეყანავ", „ახლავე შეუტიეო", - დაასკვნის ბოლოს; „ილხინე ივერთ-მხარეო", „დასტურიაო" - ჩააგონებდა მასავით მანქურთს; „და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო", - ანდერძად უტოვებს მამულიშვილებს თავის ოქროს სიტყვებს, და იქვე „აიღე ქალაქიო"!!!

როცა ქართველობაზე აღმართავთ ხელს და დროშად სტალინს მოიშველიებთ, როგორც ეს უწესო ტროცკიმ და ჭკუასუსტმა ხრუშჩოვმა ჰქნეს, აი, მაშინ სირცხვილისაგან უნდა გაჩუმდეთ, და პატარა ქართველ ბავშვებს დაუგდოთ ყური, დღესაც რომ სწავლობენ „დედა ენას" სტალინის ლექსით.

ადამიანში სულის დაშლა მაშინ წარმოებს, როცა მოძალადე ძალადობის მსხვერპლზე მოქმედებს სიღრმისეულად მის სულიერებაზე. მოძალადე ძარცვავს თავის მსხვერპლს გონიერებაში და წარმოიქმნება ამ ადამიანში სულიერი სიცარიელე. ხოლო ვაკუუმს ავსებს თავისი ინდივიდისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. ზემოთ მოტანილ ციტატაში თავიდან ბოლომდე მხოლოდ და მხოლოდ რუსული სული იკითხება. თვით ლენინიც აღნიშნავდა სტალინის ბონაპარტიზმისაკენ მისწრაფებას და ეშინოდა თვითონაც ამ ძალის არცთუ უსაფუძვლოდ. ეს კი ჯინი იყო, ბოთლიდან ამოსული რევოლუციური ჟინი, რომლის ბოთლში ჩაბრუნება სიკვდილის მეტმა ვერავინ შეძლო.

### 4. სათაურიდან გადახვევა

როგორი უცნაური რამ არის სიტყვათა გადმოქართულებაში - აი, მაგალითად: „Военное положение" ითარგმნება როგორც „საომარი მდგომარეობა", ხოლო „Военно-Грузинская дорога", როგორც „საქართველოს სამხედრო გზა" (ერთ შემთხვევაში „Военное" ითარგმნება როგორც „საომარი", მეორე შემთხვევაში კი - როგორც „სამხედრო"). მოგეხსენებათ, „ომი" და „სამხედრო" ასოციაციით მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი. ერთია აბსტრაქცია, მეორე კონკრეტიზებული აბსტრაქცია.

დავუშვათ და „ვოენნო-გრუზინსკაია დაროგა" ეთარგმნათ ასე - საქართველოს საომარი გზა, ან საქართველოს ომის გზა. ცხოვრებამ ათასგზის დაადასტურა, რომ საქართველოს ბედით თუ უბედობით გაყვანილი ეს გზა ომისა და დავიდარების მიზეზია. ამ გზამ პუშკინი თუ ჩამოიყვანა, უფრო ადრე ტოტლებენმა გაიკვლია იგი. პუშკინს თუ ყურებჩამოყრილი და დამარცხებული ერი დახვდა, ტოტლებენს იმედით მომზირალი თვალები დაუხვდა. პუშკინი თუ ერმოლოვების მიერ გაფართოებული დერჟავის პერიფერიაში გასართობად მოდიოდა, ტოტლებენი გასაჭირში ჩავარდნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საშველად იყო მოვლინებული, ხოლო როგორ მოევლინა „დასახმარებლად" ტოტლებენი საქართველოებს, ეს პუშკინის მოგზაურობაში გამოვლინდა.

მთელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები სწორედ საქართველოს ამ საომარ, ომისა თუ ნაომარ გზაზეა გაწფენილი. მიდიოდნენ და სწავლობდნენ ათას რამეს, მივდიოდით და ჩვენც ვსწავლობდით ათას რამეს. სპარსეთ-ოსმალეთს სამუდამოდ თუ არა კარგა ხნით ჩავუხერგეთ გზა საქართველოს ასაოხრებლად. ჩემი მტერი ძალაუნებურად რუსეთის მტერი იყო, რუსეთის მტერი იმთავითვე ჩემი მტერი იყო.

მეტადრე მეტყველი გახდა პუშკინის შემოქმედება საქართველოთი, ლერმონტოვის შემოქმედებისათვის კი საერთოდ შთაგონების წყაროდ იქცა კავკასია და მისი მისტიური ცენტრი - ქართული მიწა-წყალი და საზოგადოება. თვალი დავხუჭეთ გეორგიევსკის ტრაქტატის ღალატზე და მტკივნეულად, მაგრამ მაინც შეგუებულნი შევეგებეთ პავლე და ალექსანდრეს მანიფესტებს, უფრო მეტიც, გრიბოედოვზე დავაქორწინეთ ტურფა ნინო ჭავჭავაძე. ამით კულტურულადაც დავნათესავდით. რუსეთის ევროპულ ომებში ნაპოლეონის წინააღმდეგ თავი არ დავზოგეთ ქართველებმა. „ღმერთი! მამული! მეფე!" - ამის ძახილის ნაცვლად ვღრიალებდით - „ბოჟე, ცარია ხრანიო", - და ბოროდინის ველზე სიცოცხლე არ დავზოგეთ, იქამდე საქართველოს ტახტის მემკვიდრე აღესრულა ამ ბრძოლის შედეგად მაშინ, როცა საქართველოს წყალივით სჭირდებოდა მხედართმთავრები გარეშე მტრებთან საბრძოლველად.

ასე იყო თუ ისე, ღმერთმა შეგარგოთ ქართული სისხლი თქვენთვის დაღვრილი, ამის სანაცვლოდ რუსული სისხლიც დაიღვარა ქართულ მიწა-წყალზე, ოღონდ არა ქართველთა, არამედ საკუთარი ამბიციების სასარგებლოდ (მხედველობაში მაქვს აფხაზეთი და სამაჩაბლო, სამხრეთ რუსეთად რომ მონათლეთ ისევ და ისევ თქვენ).

დიდი ქვეყანაა რუსეთი, პატარა ქვეყანაა საქართველო. რა მადლიც გაგიკეთებიათ ჩვენთვის, არც ერთი მათგანი არა გვაქვს დავიწყებული, სამაგიეროდ რა მადლიც დაგვითესია რუსეთის ისტორიაში, თუნდაც რუსი ერის ფსიქიკაში, ყველაფერი ეს საგანგებოდ არის მიჩქმალული. ამ სტატიის მიზანი არაა ის, რომ რუს მეგობრებს დავაყვედროთ ჩვენი თავი, არა, აქ უნდა გამახვილდეს ყურადღება მხოლოდ ჩვენს ურთიერთობათა ორმხრივ სასარგებლო და დადებით მხარეებზე, სიკეთე ხომ ქვეყანაზე არ იკარგება და ჩვენც ჩვენის მხრივ გვსურს უგუნურ პოლიტიკოსთაგან განსხვავებით იმ ურთიერთობების ტკბილ-სახსოვარი ვახსენოთ, რითაც ფასობს ჩვენი ძმობა, - არა საბჭოური, არამედ უმთავრესად ერთმორწმუნეობრივი, რის საფუძველზეც მფარველობის არჩევანი ქართველმა მეფეებმა მხოლოდ თქვენზე გააკეთეს, რელიგიურმა ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა, და მიტომ.

უმთავრესად ჩვენი ურთიერთობების პოზიტიური მხარე წარიმართა კულტურული და რელიგიური ერთმორწმუნეობის ნიშნებით. მართალია ამ მხრივაც დერჟიმორდობამ თავისი დაღი დააჩინა, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნენი სარგებელს დიდს ნახულობდნენ საქართველოსთან ურთიერთობით. ყველა ნეგატივში მაინც თავისებური პოზიტივი იხატებოდა. აი, მაგალითად - საქართველოს ეკლესიებიდან გატაცებული სიწმიდეები უმთავრესად რუსეთის ეკლესიაში იყრიდა თავს. სწორედ ეს სიწმინდეები მადლით მოსავდა ახალ მეპატრონეებსაც. თავისებურად სახვითი ხელოვნების განვითარებას რუსეთის იმპერიაში სწორედ ქართული ხატწერის კულტურამ დაუდო სათავე. ასევე ქართულმა პოლიფონიურმა საგალობლებმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა რუსულ მუსიკალურ მეტყველებაზე.

საუკუნეთა განმავლობაში რუსი მოგზაურები აღფრთოვანებულები იყვნენ ივერთა განსწავლულობით. ქართველთა აკადემიური განათლება ჯერ მოსკოვის რუსეთის კარზე, შემდეგ კი პეტერბურგის სასახლეებში დიდად ფასობდა. კავკასიითა და საქართველოთი სახელმწიფოებრივი დაინტერესებაც აქედან იღებს სათავეს. მარტო დავით გურამიშვილისა და ვახტანგ მეექვსის რუსეთში მოღვაწეობა ამის დასტურია. იმხანად ახლადშექმნილ მოსკოვის უნივერსიტეტში საგანგებოდ ისწავლებოდა კავკასიური კულტურა, რომლის მედროშე და პირველმეცნიერნი თავისთავად ქართველები იყვნენ. მნიშვნელოვანი ფაქტია და საფუძვლიანად შესასწავლია პეტრე პირველის წარმომავლობა და ქართული დიასპორის გაძლიერება იმპერატორის კარზე და ის, რომ ეს დიასპორა საკმაოდ სერიოზულ მეტოქეობას უწევდა გერმანელთა კოლონიზაციას.

და ისევ საქართველოს დარი-ალანის გადმოსასვლელი ფართოდ გავაღეთ. თუ ამ ფართოდ გაღებული კარით ბევრი ვერაფერი მოვიგეთ და სახელმწიფოებრიობაც დავკარგეთ, სწორედ ამ ღია კარმა თერგდალეულები შემოიყვანა ჩვენი ბედკრული ქვეყნის რეალობაში. და საერთოდ, ყველანაირ უბედურებას გააჩნია თავისი გამოსავალი, ე.ი. მედლის მეორე მხარე. ძალიან ცუდია, რომ იმპერიულმა ზრახვებმა შეარყია ქართული ისტებლიშმენტი, მაგრამ სულიერ საზრდოსაც ღებულობდა მომხვდური დამხვდურთან, დამხვდურიც მომხვდურთან. საქვეყნოდაა ცნობილი პეტრე

# გვაპატიეთ!



ჩემო ამაყო და შეუდრეკელო ქართველებო! კარგია, როცა ღირსებას არ ვკარგავთ, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ გარდაცვლილთა სულთა მოსაგონრად თითო-თითო სანთელს მაინც ავანთებთ ტაძრებში!

მაგრამ, ვაი რომ, გმირების სახელებიც არ ვიცით!

ვაი რომ, ისიც არ ვიცით, რამდენმა სულქართველმა დაიცვა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მიწა აგრესორთა შემოტევებისაგან!

ვაი რომ...

**ბიჭებო!**

**თქვე გმირებო!**

თქვენ მოგმართავთ ახლა, ზეციურ სასუფეველში რომ დაიდეთ ბინა და ჩემი და ჩვენი სიცოცხლის სანაცვლოდ საკუთარი რომ გაწირეთ უანგაროდ!

**მოგმართავთ და პატიებას გთხოვთ!**

ჰო... **მაპატიეთ!**

**მაპატიეთ,** რომ ბევრ თქვენგანს **უცნობი ჯარისკაცების საძმო სასაფლაოზე** დაგადენენ ცრემლს დედები და დები, მეუღლეები და შვილები!

**მაპატიეთ, რომ მეც, თქვენს კბილა ქართველ ბიჭს, უცნობი ჯარისკაცების საძმო საძვალესთან მომიწევს მოსვლა მუხლის მოსაყრელად!**

**მაპატიეთ,** რომ აგრესორებმა **ღირსება ჩაგვიწიხლეს, რწმენა შეგვილახეს** და აქ, დედაქალაქში შუაღამის სამ-ოთხ საათამდე ისმოდა რესტორნებიდან მავანთა ღმუილი!

**მაპატიეთ!**

**სისუსტე და უღონობა მაპატიეთ, ძმებო!**

**მაპატიეთ, რომ მავანნი მხოლოდღა სკამების შენარჩუნებისთვის იბრძვიან და მავანნი კიდევ აზერბაიჯანის საზღვრის გადაკვეთას ცდილობდნენ, სისხლი და ცრემლი რომ აღარ ენახათ!**

**მათი ლაჩრობა მაპატიეთ, ძმებო!**

ისიც არ ვიცით, რამდენნი ხართ და რა გქვიათ, **თქვე ღმერთისშვილებო!**

და არც ის, რას ნატრობდით სიკვდილის წინ მტრისაგან ჩაცხრილულებო და ჩაჩოქილებო!

**ეს არცოდნაც გვაპატიეთ, ძმებო!**

„საკუთარ ერს არ ებუტებიანო!" — ნათქვამია და არ „გაებუტოთ" ერს, რომელმაც ისიც კი არ იცის, ბევრი თქვენგანის ნაწამები სხეული დამწვარია თუ დღესაც მზის გულზე ასვენია გორისა თუ ცხინვალის ქუჩებში...







გოგა ჩიხლაძე



საშა კლიმჩუკი





**აპატიეთ ერს, ბიჭებო!**

**გვაპატიეთ,** რომ მშიერ და ნახმარი „მონოების" მათხოვარ აგრესორებს, მათ ჯარისკაცებს ლუკმა გავუყავით და ხშირად, საუბარიც ვიკადრეთ მათთან!

**ესეც აპატიეთ ერს, ძმებო!**

**კრიმინალი კოკოითისა და ნაძირალა ბაღაფშის ცინიზმი გვაპატიეთ, სულქართველებო!**

●

**„ერთ-ერთ სოფელში, შუა ქუჩაში გდია 17 წლის მეომრის ცხედარიო",** — ერთ-ერთი პოლიტოლოგი წერდა ორიოდე დღის წინ...

**შენი მიტოვება გვაპატიე, 17 წლის გმირო!**

**იმ მოხუცსაც აპატიე,** წინა ეზოდან რომ დაინახა შენი სხეული და სული ვერ გაგითბო... იქნებ, როგორ უჭირდა მასაც...

**აპატიე და გვაპატიე შენი 17 წლის უმანკო სულით!**

●

**„ჟურნალისტები მოკლესო!"** — მსოფლიო შეძრა ამ სიტყვებმა...

**ჰოლანდიელ** ჟურნალისტსაც ვტირი, მაგრამ **გიორგი ჩიხლაძესა** და **საშა კლიმჩუკს** მივმართავ უპირველესად: **მაპატიეთ, ძმებო! თქვენს გვერდში რომ ვერ ვიყავით ყველანი, მეც მაპატიეთ და ჩვენც გვაპატიეთ, თქვე სულმადლიანნო!**

●

ის საშინელი ფრაზა, ვიღაცამ რომ თქვა და მერე ვიღაცამ რომ დაწერა კიდეც — **„ჩვენს მიცვალებულებს ძაღლები ჭამდნენო!" — აპატიეთ ერს, ბიჭებო!**

●

**ბოდიშს გიხდით,** ბევრი თქვენგანი ასე რომ გაგწირეთ — **„უცნობი ჯარისკაცის საძმო სასაფლაოსთვის", — უცნობო გმირებო!**

თქვენ, ერის სიყვარულით მიწაში ჩაწოლილებმა თუ მიწაზე ჩაჩოქილებმა — **გვაპატიეთ თქვენი სიკვდილი, ძმებო!**

ვინ იცის, რამდენი რამ დაგრჩათ საოცნებო და... **თქვენს ნაცვლად ოცნება მაპატიეთ!**

**ეს ტკივილი და სისუსტე მაპატიეთ!**

**იმ ტაშ-ფანდურისთვის, ჩაწიხლული ღირსებისთვის, სიწმინდის შელახვისთვის, სახელის დაკარგვისთვის, ბევრ თქვენგანს — მარადიულად უცნობ ჯარისკაცად დარჩენისთვის — მე გიხდით ბოდიშს, გმირებო!**

●

**ეს ცრემლნარევი წერილი თქვენია...**

**თქვენი — ვისი არც სახელი ვიცი და, საუბედუროდ, არც ის, რამდენნი ხართ!**

და მაინც...

რამდენნიც უნდა იყოთ...

**ეს ცრემლი მაპატიეთ, ძმებო!**

**ერსაც აპატიეთ, ბიჭებო!**

გიორგი მამაცაშვილი

## გრძელი სათაური

ჩაიკოვსკის შემოქმედებაში ძარღვიანი მუხტის შემოტანა ქართულ სამყაროსთან ზიარების დამსახურება რომაა, არაფერს ვამბობ ალექსანდრ ბოროდინის ცეცხლოვანი აკკორდების დამკვიდრებაზე რუსულ მუსიკაში. ასევე ქართული თეატრის შექმნა რუსულ გარემოში მოხდა, მართალია იტალიური სტილი იყო გამეფებული მე-19 საუკუნის 40-50-იან წლებში, მაგრამ ჩეხოვისა და ოსტროვსკის დრამატურგიის შემდეგ ქართულმა თეატრმა პრორუსული ორიენტირი აიღო. ქართული თეატრალური დასი და МХАТ-ი მჭიდროდ ურთიერთობდნენ, წამყვანი ქართველი დრამატურგები - სუმბათაშვილ-იუჟინი, კოტე მესხი, აქვსენტი ცაგარელი, შალვა დადიანი და სხვები, რუსული დრამატურგიული ტრადიციების გადმომღებნი არიან ქართულ თეატრალურ სივრცეში, ხოლო ლადო მესხიშვილი და კოტე მარჯანიშვილი, მოგვიანებით სანდრო ახმეტელი, წლების განმავლობაში თავიანთ სარეჟისორო ოსტატობას რუსეთში ხვეწდნენ; ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კლასიკური მუსიკის მამამთავართა რუსეთში განსწავლულობას.

უმთავრესად, თუ რაიმე შეისწავლეს რუსებმა ქართველებისგან, ესაა მოწესრიგებული მოლხენა და არა რუსული ,,პიანსტვო''. ქართული სუფრის მადლმა, ქართული სტუმართმოყვარეობის მომხიბვლაობამ სრულად მონუსხა რუსი ჩინოვნიკობა და მტერი მოყვარედ ხდებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რუსულ უწესრიგო სმა-ლოთობაში შემოვიდა თამადის ინსტიტუტი, ალავერდად გადასვლის რიტუალური წესი. საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სამხედრო გზით (ხატოვანი ფერიცვალება იხილეთ თავის დასაწყისში) შემოსული სტუმარი - რუსეთის გავლით მოსული უცხოელი თუ თვით რუსი, ქართველი კაცისთვის დიდი საჩუქარი იყო და ყოველთვის თავს ევლებოდა. შეგვიძლია გავიხსენოთ ილიას წვეულებები, ცისფერყანწელთა თავგამოდებული მეგობრობა ესენინთან, პასტერნაკთან, ბალმონტთან და სხვებთან; და რა თქმა უნდა, ეს გზა მთელი თავისი შინაარსით ემსახურებოდა მეგობრობას და არა მტრობას.

ბაირონიზმიც რუსეთის გავლით შემოვიდა საქართველოში. ტატო ბარათაშვილის ხანმოკლე სიცოცხლე და მცირერიცხოვანი, მაგრამ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა უმთავრესად პუშკინისა და ლერმონტოვის თავისუფლებამოყვარე ლირიკაზეა დაყრდნობილი. კომუნიკაცია სუსტი იყო დასავლეთ ეპოქასთან, ამდენად პროგრესული ლიტერატურა რუსეთში თარგმანის გზით შემოდიოდა საქართველოში და რუსულ თარგმანს პირველწყაროს უტოლებდნენ მნიშვნელობით, დონე და სიმაღლე პირველწყაროს მშვენიერებით გამოიხატებოდა. თვით ბარათაშვილიც - ,,მერანისა'' და ,,ფიქრი მტკვრის პირად'' ავტორი რუსთ ხელმწიფის კანცელარიას ემსახურებოდა. ცხოვრება ხომ პარადოქსებითაა სავსე?!

ფიროსმანი ტოტალური რუსიფიკაციის დროს ქართულ ლხინს ხატავს, შიგადაშიგ სმოკინგებში ჩაცმული უცხოელებიც არიან გამოსახულნი. ჩვენი გადარჩენის გასაღები და მტრადმოსულის მოყვრად ქცევის უმთავრესი გასაღები ჩვენმიერი მოლხენაა, არა ისეთი, პუშკინს რომა აქვს ასახული თავის პოემაში ,,Пир во время чумы'', არამც და არამც. ეს მიზანმიმართული რიტუალია თუნდაც ქვეშეცნეულად გაუცნობიერებელი. ამის სწავლა ამომწურავად შეუძლებელია, ბუნებით უნდა იყო ქართველი და არაა აუცილებელი ქართველი იყო ჯიშით. ქართველს ვამბობ და ვგულისხმობ რაინდულ და ტოლერანტულ ბუნებას. ასე ვეპატიჟებოდით პუშკინს, ასე გავუმასპინძლდით ტოლსტოის და ჩაიკოვსკის, ასე გავზარდეთ მაიაკოვსკი, ასე ვაცილებდით ესენინს, პასტერნაკს, ასე მივიღეთ როჟდესტვენსკი და ვოზნესენსკი, ასე დავათვრეთ ქართული პატივისცემით ვისოცკი, ოკუჯავა (თუმცა ეს უკანასკნელი გენით ქართველია, რაც არ უნდა უარეყო ქართველობა) და ვინ არა. ცოტამ მადლი მადლითვე გადაგვიხადა, ბევრმაც არა.

მაშ ასე, დასკვნა ერთია - რუსეთი და საქართველო ქრისტესმიერი ძმები არიან უპირველეს ყოვლისა, ეს არ უნდა დაავიწყდეს მავანს და მავანს. ქრისტეს რწმენამ და სიყვარულმა დაგვაკავშირა ერთმანეთს და არა თავქარიანი პოლიტიკოსების ლაყბობამ და ავანტიურისტი ეკატერინეს გადაწყვეტილებებმა, სულელი პავლეს წინდაუხედავმა მანიფესტმა და თაღლითი ალექსანდრეს ყბადაღებულმა თვალთმაქცობამ. ყველაფრის მიუხედავად, რომ გდომოდათ, მაინც აღმოაჩენდით ჭეშმარიტების რაღაც მარცვალს და ეს მარცვალი სწორედ უფლისადმი სიყვარულის ერთი და იგივეობაა.

მოიარეს ქართველმა მეფეებმა და დიპლომატებმა ევროპა - ნუთუ ერთხელ მაინც მათ თვალწინ არ აგიზგიზდა ინკვიზიციის ჯოჯოხეთური კოცონი? კოცონი და ცეცხლი გვიკვირს ჩვენ ქეთევან დედოფლის მშობელ ერს? მაგრამ იმ კოცონს ურჯულო ანთებდა - ქრისტე რატომ გიყვართო?! აქ კი ქრისტეს სახელით ანტიქრისტე ანთებდა ცეცხლს ისევ ქრისტეს სახელის შესაბღალად.

ამას, დიახაც, შეხედავდა დიდი ჰუმანისტი სულხან-საბა ორბელიანი, და ეს რომ შეხედა და განიხედა მათკენ, ვარაუდად თქვა - ხომ არ აჯობებდა კათოლიციზმი მიგვეღოო, - ამიტომ სცემეს იგი მცხეთელმა ბერებმა; ამიტომ ქრისტიანული დათმენით შეხვდნენ იგივე მცხეთელი ბერები ღორადშობილი რუსი ეგზარქოსების პარპაშს ქართულ ეკლესიებში და გულში იკლავდნენ ბოღმას გადაღებილი ტაძრების გამო.

- რატომ?

ისევ და ისევ ქრისტეს სიყვარულის გამო, მართლმადიდებლები რომ იყვნენ რუსები, იმიტომ, თორემ რუსულ-ქართული ტანდემი არასოდეს შედგებოდა და რუსი არათუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, სრულიად კავკასიასაც ვერ იხილავდა თვალით.

ასე რომ, რუსებმა ღორმუცელა ხრუშჩოვ-ელცინებისა და ივანუშკა-დურაჩოკა პუტინ-ჟირინოვსკების ყურის გდებას თავი უნდა დაანებონ, შევიდნენ ტაძარში, ღმერთს სანთელი დაუნთონ, სამგზის პირს-ჯვარი გადაისახონ და ღმერთს მრავალგზის მადლი შესწირონ, ყველაზე საჭიროების ჟამს გონიერება რომ მიჰმადლა უფალმა კნიაზ ვლადიმირს.

### 5. სათაურის გარეშე

ეს ჩემი, ასეთი გრძელი, გრძელი სათაური გასაოცრად წააგავს ქურდბაცაცა იაზონის ისტორიას. ქართული სამყაროს სულიერების საგანძურზე ყველა დამპყრობელთაგან მხოლოდ ბერძნებმა და რუსებმა აღმართეს ხელი ყველაზე მწარედ, ურჯულო თათარი რომ ვერ მოიფიქრებდა, ისე. ერთმორწმუნეობის დროშით ბიზანტიელებმა გუბაზი მოკლეს, რუსებმა კიდევ ზვიადი; ბერძნები პელაზგურ სამეფოს იტაცებდნენ, რუსები კი ლაზურს; ბერძნები ქართულ სავანეებს ითვისებდნენ ათონში, რუსები კი თვით ქართულ ეკლესიებს ძარცვავდნენ და გაჰქონდათ ქართული სიწმინდეები რუსეთში; ბერძნებმა რუსთველის ფრესკა ხელყვეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, რუსებმა თეთრად გადაღებეს საქართველოში ქართული ეკლესიის კედლები...

მე მტკივა არათუ პელაზგების გადაშენება, ლაზეთის ანექსია, გუბაზისა და ზვიადის მკვლელობა, ათონის ქართველთა სავანის გაქრობა, ქართული სიწმინდეების ძარცვა, დალუპული ფრესკები თუ ამოკაწრული რუსთველი, არამედ თქვენი ულმერთოობა.

მე ვიცი, საბოლოოდ ყველაფერი აღიგვება პირისაგან მიწისა, მაგრამ მე თქვენზე შემტკივა გული, და არა ამოკაწრულ რუსთველის ფრესკაზე. ამით დიდი პოეტის სახე ვერ წაშალეთ. რომ არ არსებობდეს მისი ფრესკა, იგივე სახისმეტყველებით ჩემშია და ნებისმიერ ქართველში. და ამიტომ მებრალება თქვენი სულნამცეცობა, უსულო საგნებზე რომ შეგიძლიათ ჯავრი იყაროთ, ასეთი სულთ-გახრწნილობის გამო გადაშენდა ბიზანტია და გადაშენების გზას ადგახართ თქვენც, რუსეთო!

ჩემმა მტერმა ჩემზე თქვა, რომ ,,კარგია საქართველო უქართველოდო'', მე კი ვიტყვი: ,,კარგია რუსეთი ურუსოდ!'', ნადავლი განსაკუთრებულად დიდი დაგვრჩება ჩვენ რუსეთისაგან, ვიდრე რუსეთს საქართველოსგან.

**მანუჩარ კაჭახიძე**

**2006 წლის აპრილი**

„მამული" №28, გვ. 4

სადღეისო ლექსი

ბერდია ბერიაშვილი

## ქართველი

უცებ ცხელ გულზე დამადგეს ფეხი,
როცა მედეა მომგლიჯეს მკერდით.
ძველი ქართულით, ნუსხურ-მთავრულით
ბოლნისის ქვაზე ჩემს ვარამს ვწერდი.

ხელში ბატის ფრთით, გაშლილ ეტრატზე
მე სიყვარულის პოემას ვწერდი.
ჩემი ხატია, გულს მახატია:
იყალთო, გრემი და ალავერდი.

ზედ გულზე შემდგა მე თემურ ლენგი,
კოჭლი ფეხებით როცა გამთელა,
მაშინ მამულის საკურთხეველზე
ჩემი თითები ენთო სანთლებად.

მე თავი მედო გატენილ თოფზე,
მე ძილვფხიზლობდი, მე არ მეძინა.
ხან თეირანში და ხან სტამბოლში,
როგორც სამკაულს მყიდდნენ მე ძვირად.

ერთხელ ვარსქენმა თმებით მათრია,
განუკურნები დამრჩა იარა.
მაწამა და ვერ გადამარჯულა,
მომკლა და კერპებს ვერ მაზიარა.

გაზით დამგლიჯეს ათივე ფრჩხილი
და წამებული მიწოდა ხალხმა,
თუმც კაცი რაა, სიკვდილის წინაც,
მე დაჩოქილი ვერავინ მნახა!

ჩემს დაჩოქებას ნურცვინ მოელის,
უტეხი სული ჩემი განძია.
ასე ავაგე სვეტიცხოველი
და გამოვკვეთე კლდეში ვარძია.

ჩემს თვითეულ ქვას სიმღერა ჰქვია,
ჩემი ციხენი ძლევის ხმებია.
გულში მრავალჯერ მომარტყეს ტყვია,
ზურგში, - არც არვის უმიზნებია!

მე ტყვე ვიყავი ძალიან ხშირად
და არ ვიცოდი, რა იყო მონა.
თან წამოვიღე ფერეიდანში
ჩემი ქართული სიტყვების კონა.

ვერ ამომგლიჯეს პირიდან ენა:
შანთით, წამებით, მუქარით, ძღვენით
და... მღერის მთელი ფერეიდანი
ქართულ ჩონგურზე ქართული ენით.

ვერ დამავიწყეს ჩემი მამული,
ჩემებრ ტანჯული ქართული ენა,
მტერმა ვერასდროს გადამაგვარა,
მტერმა ვერასდროს გადამაშენა.

წიწამურს მომკლეს, ჰერეთს მაწამეს,
მიჯაჭვული და მკვდრეთით აღმდგარი.
ვუძლებდი ნგრევის წლებსა და წამებს
და ერთხელ მერქვა ჯურღაის ფარი.

ბევრჯერ მიმუხთლა ბედის სასწორმა,
რამდენს გავუძელ, რა შემძლებია, -
ჩემი სამგორის სამივე გორა
ჩემი სისხლი და ჩემი ძვლებია!

ამოვჭერ ქვაზე, ამოვჭერ ხეზე
და ყოველივე გულზე სწერია!
ამდენ ლეგენდებს და ამდენ ლექსებს
საქართველოზე მისთვის მღერიან.

თუკი სპარსეთის ტყვე მერქვა ერთხელ,
ბერლინზე დროშა მე ავიტანე.
და ვდგავარ, როგორც ალაზნის მუხა,
ნაგრიგალევი ძლიერი ტანით.

მქონია დარდი, ენით უთქმელი,
და არ ვქცეულვარ სევდა-წუხილად,
მე ერთ დღეს ვშობე დიდი რუსთველი,
საუკუნენი თავს რომ უხრიან.

ამირანის და არსენას დედა, -
ვინ გამაკვირვოს შვილთა დიდებით,
ცად და მიწად რომ მისი ხმა რეკდა
მე ისეთ ქართველს კიდევ გპირდებით.

მსურს კიდევ ახალ ხმებად დამრეკონ,
გპირდებით ახალ დავითს და საბას.
დე, კაბადონზე ცათა სამრეკლო
მათი დიდების ყვებოდეს ამბავს.

საუკუნენი მათ სადიდებლად
ყანწებით სვამდნენ ჩემს კახურ ღვინოს,
მეც ვიდგე, ვიდრე ქართველს ქართველის
ნამუსის ქუდი არ შემერცხვინოს!



2008 წლის 25 აგვისტოს, მოსკოვში მეტრო-სადგურ „Чистые пруды“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა სანქცირებული აქცია, რომლის მიზანი საქართველოში განვითარებული მოვლენების გაპროტესტება იყო. აქციის მთავარი ლოზუნგი ოდესღაც აქტუალური ალექსანდრ გალიჩის ლექსიდან ამოღებული ეს ფრაზა იყო — Граждан, отечество в опасности - наши танки на чужой земле!

ეს სიტყვები თავის დროზე იმ ადამიანების გულისტკივილს გამოხატავდა, ვინც 1968 წელს წითელ მოედანზე გამოვიდა და პლაკატები გაშალა „Да здравствует свободная и независимая Чехословакию!".

ამბობენ, რომ სასტიკად დაშლილმა ამ აქციამ რაღაც დოზით ღირსება შეუნარჩუნა ქვეყანას და იმპერიის რღვევის საწყისი ბიძგიც იყო... თუმცა იმ ადამიანების სახელები, რომელნიც წესით გმირებად უნდა შეერაცხა დემოკრატიის დროშას ამოფარებულ რუსეთს, არა მგონია ვინმეს ახსოვდეს დიდ „დერჟავაში“... მათი გმირები ხომ ჩეჩნეთში მებრძოლი გენერლებია! ასევე დავიწყებას მიეცემა იმ 150 ადამიანის „გმირობა“, ვინც საქართველოდან ჯარების გაყვანას ითხოვდა.

არადა, გული გვწყდება ჩვენ ყელში ბურთგაჩხერილ ქართველებს და იმათაც, ასევე ყელში ბურთგაჩხერილებს, ვინც იქ დაგვრჩა...

**გაფაციცებით ვეძებთ გაზეთების ფურცლებზე, ინტერნეტში მსგავსს სითბოს, სიყვარულს, საერთოდ დამოკიდებულებას, რომელიც უკვე გვენატრება, უკვე გვტკივა.**

**ვეძებთ საღ აზრზე, რომელიც ასე გვჭირდება ჩვენც და იმათაც...**

**უფრო მათ!**

**და როცა ვაწყდებით სიძულვილისა და სიცრუის მორევში მსგავს სინათლეს, ჩნდება იმედი, რომელიც უკვე გვენატრება, უკვე გვტკივა და უკვე გვჭირდება!**

# Граждане, отечество в опасности - наши танки на чужой земле!

## СЪЕЗД КРЫШИ

**Валерия Новодворская**



То, что нами правят преступники (чекисты - это вам не какая-нибудь каморра, это гораздо хуже, потому что они зомби, выбравшиеся из могилы СССР), - это не так страшно, как то, что нами правят лузеры и непрофессионалы. Война с Грузией - это не только преступление, это ошибка. Поведение Путина, Медведева и Ко я не могу себе объяснить ничем кроме фразы "Крыша едет не спеша, тихо шифером шурша". На вопрос "За что воюем?" на этот раз можно ответить:

"Я хату покинул, пошел воевать, чтоб в Грузии землю чекистам отдать. Прощайте, родные, прощайте друзья! Лубянка, Лубянка, Лубянка моя!"

Михаила Саакашвили умело спровоцировали, втянули в конфликт, довели до удара по Цхинвали. А не сделай он этого, его зубастая оппозиция смела бы его, как когда-то Звиада Гамсахурдиа, мешавшего "Мхедриони" и другим отрядам разбойничать в Самачабло, то есть в Южной Осетии, и давшего Абхазии статус субъекта конфедерации. Парламент не согласился, а за поддержку Абхазии, после того как "умник" Шеварднадзе ввел туда войска, и Звиад, и его парламент, уже изгнанные грузинскими "патриотами", то есть милитаристами, в Чечню, были исключены Союзом граждан Грузии из состава грузинского народа (sic!). А среди нынешней оппозиции есть и такие, кто прямо предлагал объявить войну России, так что отдавать им власть значило бы только приблизить катастрофу и, возможно, ядерный Армагеддон.

Слишком долго российские "миротворцы" разжигали войну в Южной Осетии, чтобы она не началась, и слишком усердно российская авиация бомбила села Грузии уже вне Самачабло, чтобы несчастный грузинский президент не подставился. Публичная, ничем не прикрытая аннексия Самачабло Россией была бы уже достаточным безумием. Но Путину этого показалось мало. И тут же был отдан приказ абхазам, давно уже утратившим гордость и честь и ставшим российскими наймитами, занять Кодорское ущелье и заодно Панкиси.

Когда беженцы с экрана плачут: "Помогите Южной Осетии!" - им можно посочувствовать. Но когда из толпы несчастных осетин звучит крик: "Помогите Абхазии!" (а еще кому? Приднестровью?) - начинаешь думать о массовке. Значит, загребущие чекистские лапы хотели и Абхазию прихватить. И не только. Российские войска вошли в Грузию. Гори, Сенаки, бомбежки Поти и Тбилисского аэропорта (локатор уничтожен, и только старые грузинские пилоты рискуют взлетать и садиться). В порту Поти, арендованном на 95 лет арабским шейхом (нам еще судиться с ним на международном уровне), не было военных судов. Бомбили трубопровод, по которому нефть идет в обход России. Бандитские войска, бандитская страна. "Пацаны" в России всех построили и решили, что так будет везде.

Чуркин в ООН называет цель России: убрать Саакашвили. В последний раз мир слышал о таком от отцов-иезуитов в XVI веке. Уничтожение "нечестивых принцев". Религиозные фанатики убили Генриха III и Генриха IV. С тех пор убивали, но не вслух. Что же, Кремль решил написать свою Mein Kampf? Или они там все угорели? По Грузии шляются бесхозные колонны танков с казаками, "добровольцами" и прочей мародерской швалью. Что делают в Гори российские танки? Собирают оружие? А может, грибы или пустые бутылки?

Искусственно созданные российские граждане и война, развязанная якобы чтобы их защитить, - это обыкновенный фашизм. И если бы не Америка... Кажется, Джордж Буш наконец понял, какую змею Запад пригрел на груди, и решительно встал за Грузию и против России. Мощная рука США легла на чашу свободы и западных ценностей. Гуманитарка на кораблях ВМС и самолетах ВВС США - это попытка остановить войну. Пока земля еще вертится, пока не пришлось использовать ядерный потенциал. Джон Маккейн пишет статьи, как российский диссидент. Президенты Польши, Украины, Эстонии, Литвы и премьер-министр Латвии митингуют, взявшись за руки, как на Майдане в Киеве.

Нас не поддержал никто, кроме Кубы и патентованного тирана Лукашенко. Нас выкинули из G8 и из цивилизованного мира в выгребную яму изгойства. Да если бы Южная Осетия и Абхазия просто хотели отделиться, никто бы не стал защищать Саакашвили. Право народа превыше права государства. Но они же не ищут свободы, они ищут выгодного рабства: не наделали своих паспортов, а получили российские. Они просто коллаборационисты, а не инсургенты. Одна только Америка может спасти грузинский народ и российских призывников от взаимного истребления. Россию же, боюсь, уже никто не спасет.

Мы будем прокляты и отвергнуты человечеством. ■




## БОГ ИЗ ТАНКА

**Виталий Портников**



Если в первые дни после начала событий в Южной Осетии еще можно было говорить о российских позиционных преимуществах, о том, что Михаил Саакашвили дал Москве возможность продемонстрировать, как она защищает своих граждан и принуждает к миру, о двойных стандартах западной дипломатии и прочих приятных начальственному уху вещах, то сейчас можно с уверенностью констатировать: российское руководство подвела излишняя самоуверенность и искренняя убежденность в том, что весь мир развивается по тем же законам и правилам, которые приняты в кремлевских коридорах.

Потому что если Россия действительно хотела защитить своих граждан в Южной Осетии - не вдаваясь в вопрос о том, как они там появились и почему российские паспорта всюду, где неспокойно, раздаются как канцтовары, - то для чего российским войскам было столько времени находиться на территории, где никаких российских граждан нет, а есть только граждане Грузии? Если Россия действительно занималась принуждением к миру, то для чего ее политикам и дипломатам нужно было совершенно серьезно требовать отставки Михаила Саакашвили? Я не могу отнести себя к поклонникам этого политического деятеля, но совершенно убежден, что вопрос его отставки - это проблема грузинского народа, а не задача российского руководства.

И уж тем более странно, когда этой отставки требуют от Вашингтона, называя грузинского президента "американским проектом". Ну хорошо, я даже соглашусь, пусть он будет американский проект, если кому-то так нравится. Но неужели быть американским проектом хуже, чем просто проектом Бориса Ельцина и его семьи или Владимира Путина и его окружения? И почему разоблачения проектов происходят именно из страны, все текущее тысячелетие управляемой исключительно проектами?



Пройдя маленькую Южную Осетию и увидев в бинокли Тбилиси, российское руководство ощутило себя настоящим античным богом из машины, являвшимся каждый раз, когда нужно было указать, какую позу следует принять очередному Телемаху или Ахиллу. И даже название этой машины известно - это танк.

Но только древнегреческий бог обходился одной набедренной повязкой, нектаром и амврозией. Он не держал денег в западных банках, не покупал недвижимость на испанских курортах, не претендовал на иностранные компании, не учил детей в британских школах и университетах. И собственно, поэтому уже был богом.

А Дмитрий Медведев и Владимир Путин не боги. Конечно, они выдающиеся политические деятели, талантливые, популярные и стратегически мыслящие. И благодаря им Россия встала с колен, выиграла "Евровидение", замечательно выступила в футбольном чемпионате, победила Грузию и одержит еще много-много больших побед.

Но президент и премьер-министр Российской Федерации не обойдутся одним нектаром. Им нужно продавать на Запад энергоносители, лоббировать интересы ассоциированных с российским чиновничеством олигархов, гарантировать сохранность вкладов важных людей - собственно, именно в этом и состоят основные задачи российских руководителей помимо защиты государственных интересов, как они их понимают.

Я рискну заметить, что со своей работой они справиться не смогут. Они напугали Запад до крайности - причем не тогда, когда появились в Южной Осетии, а как раз тогда, когда стали разворачиваться в Грузии как медведь, извините, в посудной лавке. И когда стали разговаривать со своими ошарашенными партнерами тоном даже не Леонида Брежнева, а Андрея Громыко. Поучать, наставлять, воспитывать, объяснять, кому куда усаживаться. Они так долго по телевизору сами себе доказывали, что они Советский Союз, что и сами в это поверили.

Но кто в это поверит на Западе?

Ну хорошо, оставим американцев, забудем Кондолизу Райс, изучавшую Россию так долго, что ее трудно провести благими пожеланиями и объяснениями, что российские войска застряли в Гори токмо ради вечного мира и спокойствия. Но вот Ангела Меркель, выросшая в ГДР, - что, она такая дура, что не может отличить Россию от Советского Союза? Нет, госпожа Меркель не производит впечатления дуры. Или вот великий мифотворец Николя Саркози - что, его можно провести простым вращением глаз и металлом в голосе?

Кому вы пудрите мозги, ну в самом деле? Это ведь не проекты, это реальные политические деятели, они боролись за власть, побеждали на выборах, отказывались от покровителей - если вы вообще понимаете, о чем я говорю. И вы думаете, что все эти люди начнут водить вокруг вас хоровод только благодаря изобилию у вас энергоносителей?

И вот вокруг вас, таких великих и сильных, наступает вакуум. Вакуум мешает божественности, он не дает возможности развиваться тем людям - и тем компаниям, - которые и сделали вас небожителями. Вокруг больших денег холодок неизвестности, большие перспективы под большим знаком вопроса. Что нужно сделать, чтобы все привести в норму? Вы правильно поняли.

Это не вопрос удачных или неудачных политических решений. И даже не вопрос конфликта с Грузией. Сообщение о том, что Саакашвили сумасшедший, сделанное врачом из Института Сербского, тоже не является оправданием. Дело уже не в Саакашвили. Он руководит маленькой, бедной страной и может позволить себе быть даже сумасшедшим, такие случаи в мировой истории бывали. Но руководителям больших стран рекомендовано быть предельно вменяемыми и адекватными. Иначе они рискуют просто не заметить, как победоносный танк с божеством в кабине подкатит к самому краю политической пропасти. ■

## ОСЕТИНСКИЕ СУДЕТЫ

**Михаил Берг**



Ситуация с Южной Осетией, Грузией и Россией в августе 2008 года более всего напоминает другую троицу: Судеты, Чехословакию и Германию в сентябре 1938-го. Похожее распределение ролей и интересов. Вспомним, как немцы в Судетах, подзуживаемые из Берлина, вопили, что их как национальное меньшинство ущемляют чехи, и требовали отделения от Чехословакии и присоединения к Германии. Чехословацкое правительство Бенеша готово было предоставить Судетам максимально возможную автономию, но это, понятное дело, не устроило ни Германию, которой нужны были не права для немцев, а Чехословакия целиком, ни судетских немцев, у которых была своя роль - изображать несчастную жертву. Поэтому судетские немцы не соглашаются ни на какие уговоры и компромиссы, а провоцируют чехословацкие власти до тех пор, пока те не оказываются перед необходимостью применить силу. И тут Германия, конечно, вступается за права угнетаемого меньшинства и, спасая его от зверства чехословаков, аннексирует Судеты. Привет, Осетия, здравствуй Абхазия! То, что именно Судеты стали эталоном для кремлевских стратегов, подтвердило остроумное решение раздать жителям чужой страны (Грузии) российские паспорта. Это примерно то же самое, что раздать жителям Ленинградской области финские паспорта, а потом потребовать присоединения Ленинградской области к Финляндии, ибо права финских граждан в Ленобласти, конечно, традиционно нарушаются. Нет, пример плохой. Финляндия имеет право на часть Ленинградской области никак не меньше, чем Россия. Пусть лучше Москва раздаст удостоверения москвичей жителям Крыма, а потом... но не будем забегать вперед.

Здесь главное понять, что права человека, то есть права осетин в Грузии (или немцев в Судетах), хищника с имперскими замашками ни в коей мере не интересуют. О зверствах грузин завопила власть, потопившая в крови Чечню, бомбившая Грозный еще страшнее, чем Саакашвили Цхинвали, уничтожавшая собственных граждан в "Норд-Осте" и Беслане. Уничтожившая и контроль общества над собой - вместе со свободной прессой и оппозицией.

Кремлю глубоко плевать на права осетин и абхазов, как, впрочем, и русских, англичан и якутов. Их права в России, Грузии, за Полярным кругом или в самом сердце Сахары интересуют Кремль только в той степени, в какой позволяют добиваться собственных целей.

Сегодняшняя политика России лицемерна, жестока, лукава, как жестока, лукава и лицемерна политика любой элиты, не уверенной в своем будущем. Ее интересует только политическая власть, необходимая для сохранения и умножения состояний, нажитых в результате приватизации 1990-х и передела собственности 2000-х. Именно поэтому Кремль боится реальной политики в собственной стране и нормальных отношений с цивилизованным миром. Потому что реальная (а не мнимая) оппозиция (как, впрочем, и реальное, а не мнимое мировое общественное мнение) может спросить: а все ли чисто с состояниями господ А., П. и С.?

И чтобы такой вопрос был заранее дезавуирован, нужно вбить в голову обывателя, что мировая закулиса спит и видит, как бы отнять у России ее молочные реки и кисельные берега, богатые нефтью и газом, а так называемая демократическая оппозиция - не что иное, как марионетки в руках наших заклятых друзей.

Конечно, у сегодняшней России нет пороха на то, чтобы повторить путь Гитлера-Сталина. То есть захватить Грузию, потом Украину, которая не отдает нам наш родной Крым и краснознаменный Севастополь, потом развернуть 58-ю армию и под бравурный марш "Прощание славянки" взять наконец за жабры эту зарвавшуюся Эстонию вместе со всей буржуазной Прибалтикой и Польшей в придачу.

Сегодня на это у России просто нету сил. Их хватает, чтобы издеваться над маленькой Грузией, провоцировать ее плохо управляющего собственными эмоциями Бонапарта, запрещать молдавские вина и устраивать гонения на мигрантов. А еще надувать нефтью щеки и радовать этим фокусом собственное одураченное население, изображая невиданный экономический взлет и скорый неминуемый крах американского капитализма, конца которого 75 лет упорно ждал СССР и всю оставшуюся жизнь будет ждать взбудораженная дешевым великодержавным национализмом постперестроечная Россия.

У страны с отсутствующей уже четверть века наукой, с жадной и корыстной элитой и трусливым обществом нет иного будущего, как маргинализация, превращение в мирового изгоя, от которого рано или поздно отвалятся те земли, которые были приведены жестокой имперской рукой под ярмо по имени "счастливое братство народов".

Что добавить?

Этнический конфликт между осетинами и грузинами (как между судетскими немцами и чехами) есть реальность. И болезненная реальность. Но за эту болезненность ответственна национальная политика имперского СССР и сегодняшняя иезуитская политика России, по-женски мстящей всем своим бывшим вассалам, не пожелавшим и дальше быть младшим братом в империи Старшего. Хочешь в НАТО? Так отдай сладкое Черное море и газопровод и проваливай! А мировому общественному мнению в лице Чавеса, Ким Чен Ира и Лукашенко (остальные все равно не поверят) мы скажем: это никакая не аннексия, это просто такая борьба за права человека. И скромно потупим глаза. ■

### Это о Грузии!

Теперь нас всех хотят загнать каждого в свою казарму. Чтобы "К бою (бойне!) будь готов! Всегда готов!".

Такая мерзопакостная ложь несется со всех отечественных СМИ, что не хочешь да вспомнишь самые кровавые годы родной истории. Грабители, бандиты тащат у всех то, что дорого и свято. Я не представляю себя, свою жизнь без "Витязя". Без стихов тех поэтов, которых переводили Пастернак и все настоящие русские поэты. Без картин Ладо, лубков Пиросмани, грузинской песни, без грузинского кино и такой домашней Софико. Роюсь в страницах Толстого и вновь и вновь перечитываю-переплакиваю смерть Багратиона. А потом память уводит к грузинам, не вернувшимся с другой войны - моей Отечественной. И внутри, как бесконечный рефрен, звучат слова Нины, начертанные ею на могиле мужа. Там, на высокой горе над городом: "Жизнь и дела твои бессмертны в памяти русских..." Это сейчас не о Грибоедове - это о Грузии.

**ЕЛЕНА БОННЕР**

# გალაკტიონის მუზეუმის გაძარცვის შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის წაბილწეს!



**საქართველო უფსკრულისკენ რომ მიექანება, მხოლოდ არჩევნების გაყალბებით და სამოქალაქო უფლებების ფეხქვეშ გათელვით არ ჩანს. ამჟამინდელ ხელისუფლებას სათანადო, შესაფერისი ცვლა ეზრდება. ის „თინეიჯერები", რომლებიც „ყმაწვილკაცებს" ნამდვილად ვერ ვუწოდებ, მათი დრო რომ მოვა, არჩევნებსაც გაყალბებენ, ხელისუფლებასაც მიიტაცებენ და ღვარძლსაც სიცილ-ხარხარით ჩაიდენენ, რადგან მათთვის, უკვე დღესვე, 14-16 წლის ასაკში, აღარ არსებობს არავითარი წმინდა და ამაღლებული!.. ამ სულიერებს უკვე დღესვე შეუძლიათ, ქალაქის ცენტრში სადღაბავით მოხტონ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი, წაბილწონ საფლავები და დაამტვრიონ ჯვრები, 200 ევროს გულისთვის წამებით მოკლან მეზობელი...**

**შეიძლება, უყურადღებოდ დაგტოვოთ და განაპირო ზარბი არ დავარისხოთ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის წაბილწვის გამო?!**

კარგით, ვთქვათ, ამ ცოტა ხნის წინათ საბერძნეთის სასულიერო სავლიავის ჯვრები ...

ვთქვათ, უცხოეთიდან გამოგზავნილი 200 ევროს გულისთვის სოციალურად გაჭირვებული ოჯახის წარმომადგენელმა რამდენიმე მოზარდმა მეზობელი მოკლა წამებით...

მაგრამ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლი რომ ვაკეში (ფალიაშვილის ქუჩაზე) „თინეიჯერებმა" წაბილწეს?!

**მათ ამით არც სატანისტური რიტუალი შეუსრულებიათ და არც მიშიელის გამო აუღიათ ხელში სადებაო?!..**

**ორიდან ერთი:**

**„თინეიჯერებმა" იციდნენ, ვის აფერადებდნენ და მიზანმიმართულად გააკეთეს ეს!..**

**ანდა ვინდალებს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ არის კონსტანტინე გამსახურდია და „ვილაც" ჩიხიანი ბაზარ შემთხვევით, ანცობის მორიგი მოზღვავებისას შერჩათ ხელში...**

არადა, ისეთ დროში ვცხოვრობთ, ვერცერთ ამ ვერსიას ვერ გამორიცხავ!

**მართალია, კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლისთვის „ზინზრატს!" არ მიუწერია, მაგრამ კლასიკოსისადმი, საერთოდ გამსახურდიებისადმი უპატივცემულობა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზიზღი დღევანდელ საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენაა!**

აკი, **რევოლუციურად და ლიბერალურ-დემოკრატიულად რეფორმირებულ საქართველოში გაჰქონ ზვიად გამსახურდიას სახელობის სანაპირო და კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი!**



დიდი მელაგობა არც ის არის, თუ ვანდალებმა საერთოდ არ იციდნენ, ვისი ძეგლი წაბილწეს.

**ჩვენში ხომ „ტერმინატორების", სხვადასხვა ჯურის „ლეგოლასი" და „ორკების" უკეთ იციდნენ, ვიდრე „დიდოსტატის მარჯვენის" შემქმნელ გენიოსს?!**

**აბა, სად სვეტიცხოვლის აპოლოგია და სად - ჰარი პოტერი?!**

ამასწინათ რომელიღაც არხზე გაჰკვიოდა უცნობი გვარ-სახელის მქონე „მწერალი": **„ჰარი პოტერმა გამიჩრჯელა!!!"**

„მწერალი" ამას ისეთი სიხარულით აკეთებდა, ისე საზეიმოდ აპარპალებდა თვალებს, გეგონებოდა, ეს-ესაა დიდგორის ბრძოლა მოიგო და დავით აღმაშენებლის სახელზე ლოცულობსო!



ყველაზე საშიში არც ოკუპაცია, არც სუპერტიზი და არც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;

**ყველაზე საშიში სულიერი სიძარცვლის ნგრევაა!**

**იქ, სადაც ჰარი პოტერი იმარჯვებს, გენიალური კონსტანტინე გამსახურდიას ხსოვნას ვანდალურად ბილწავენ!**

**იქ, სადაც აღარ არსებობს სულიერი სიძარცვლეები, მორალური ფასეულობები, ზნეობრივი ორიენტირი — ნაცია კვდება!**

**გიორგი გიგაური**

---

**ბინდისფერია სოფელი**

# ანტისა ხვიჩავა 128 წლის გახდა!

**იგი რომ დაიბადა, იოსებ სტალინი - 8 თვის პატარა სოსელო აკვანში იწვა, ვალოდია ულიანოვი 10 წლის ბიჭი იყო და ლენინობამდე წლები და წლები უნდა გაევლო. მაჰათმა განდი 17 წლის ყმაწვილია და არავინ უწყის, რომ მისგან ინდოეთის სულიერი ლიდერი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე დადგება.**

**ბრეჟნევის დაბადებამდე 26 წელიწადი გაივლის, მიხეილ სააკაშვილი 87 წლის შემდეგ მოევლინება ქვეყანას, ხოლო „ვარდების რევოლუცია" მხოლოდ ერთი საუკუნისა და 23 წლის შემდეგ მოხდება საქართველოში!**



იგი უხუცესი ქართველია **(ეგებ, მსოფლიოს უხუცესი ადამიანიც)**, რომელსაც გასულ კვირაში 128 წელი შეუსრულდა. 1880 წლის 8 ივლისს დაბადებული **ანტისა ხვიჩავა** მესამე საუკუნეს მოესწრო. უნიკალური მოვლენაა, რომელთან შედარებითაც გინესის ყველა აღნუსხული რეკორდი ხუნდება.

რას ნიშნავს წელთა ასეთი სიუხვე, ფოლკლორი აგვიხსნის, უცნობი სახალხო მთქმელი, რომელიც, ჩვენი არ იყოს, დაბერების „პრობლემით" დაინტერესებულა და შესანიშნავი ლექსის სტრიქონებად ჩამოუქნია პასუხი:

**ვერ მიცნა ჩემმა სწორფერმა,**
**ქალამ ჩემ დროსამ, ხნისამა.**
**„რამ დაგაბერა, — ის მითხრა,**
**— ბიჭო, მზემ ჩემის ძმისამა?!"**
**„ჩემ დაბერება, ქალაო,**
**წელმა ქნა სამოცისამა,**
**სამოც-სამოცჯერ მოსვლამა**
**გაზაფხულისა, სთვლისამა,**
**ოცდაერთ ათას ცხრაასჯერ**
**ცაზე ამოსვლამ მზისამა,**
**გაფრენამ სიზმარივითა**
**შვიდასოცისა თვისამა".**

გაამრავლეთ ეს ყველაფერი ორზე და ისეთ საოცრებას მიიღებთ, რომ შეიძლება, არც დაიჯეროთ. **რა ბედნიერებაა, რომ ამ სიუხვის პატრონი ანტისა ხვიჩავა ცოცხალია და კარგად არის!**

ქალბატონი ანტისა დღეს **წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩინოში** ცხოვრობს.

**არმაზ სანებლიძე**

---

**ბაგრატიონი იცნობის!**

**იმ ფონზე, როცა ქვეყანაში უმწვავესი სახელისუფლო კრიზისია და მმართველ ელიტასა და ხალხს შორის უფსკრული სულ უფრო და უფრო ღრმავდება, მისმა უწმინდესობამ მთელ ერს მოუწოდა, რომ საქართველომ ბაგრატოვანთა სამეფო ტახტის აღდგენაზე იფიქროს და სახელმწიფო მმართველობის ფორმად აირჩიოს კონსტიტუციური მონარქია, როცა „მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს"!.. და მაინც, ვინ უნდა იყოს მეფე და ვინ არის ის ბაგრატიონი, რომელმაც დავით აღმაშენებლის გვირგვინი უნდა დაიდგას?**

**ამ კითხვას, ეტიკეტიდან თუ სხვა სტრატეგიული მოსაზრებიდან გამომდინარე, ვერ ან არ პასუხობს ცნობილი ჟურნალისტი, ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების და თავად-აზნაურთა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე, ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი...**

# ნამდვილ ბაგრატიონთა რიცხვი 20-ს არ უნდა აჭარბებდეს!

**- როგორც ბაგრატიონთა გვარის ღირსეული წარმომადგენელი, რას ფიქრობთ პატრიარქის მოწოდებაზე, რომ საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო ტახტი აღდგეს და ვინ უნდა იყოს საქართველოს მეფე?..**

- **1921 წლიდან 1923 წლამდე საქართველოში ბოლშევიკებმა მარტო ბაგრატიონთა გვარიდან 22 კაცი დახვრიტეს,** ოჯახები გაანადგურეს... მამაჩემი - ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელი გადარჩა, რადგან ბავშვი იყო და ამასთან ძალიან დიდი სიფრთხილე გამოიჩინა დიდედამ, რომელიც ეროვნებით შვედი იყო და მამას გვარის მხოლოდ მეორე ნახევარი დაუტოვა - „მუხრანელი". 90-იან წლებამდე მეც და მამაჩემიც მხოლოდ მუხრანელებად ვიწოდებოდით!..

**- ე. ი. ზვიად გამსახურდია კონსტიტუციური მონარქიის იდეას იწონებდა?**

- რა თქმა უნდა!.. ზვიადი თავისი მრწამსითა და შინაგანი ბუნებით მონარქისტი იყო. **როცა საქართველოში პირველად შედგა სატელიტური კავშირი, პირველი, ვისაც კი ზვიად გამსახურდიამ დაურეკა, გახლდათ ბაგრატიონთა გვარის ერთ-ერთი ღირსეული წევრი, ესპანეთში მცხოვრები გიორგი ირაკლის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი.** მგონი, ეს ფაქტი სავსებით საკმარისია იმისათვის, რათა მონარქიისადმი ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულების შესახებ წარმოდგენა გვქონდეს!..

ძალიან ხშირად მეკითხებიან, თუ ვინ უნდა იყოს საქართველოს მეფე... **ბაგრატიონთა სამეფო გვარი ევროპაში ყველაზე უფრო ძველია, ხოლო მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი გვარი და დინასტია ვართ!..** შეხედეთ ქართულ ჯვარს, რატომ აქვს მას დაშვებული მხრები?.. **ერთი მხარი ნინოს ჯვრისა მაშინ დაიხარა, როცა 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა მოუსპო და ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, ხოლო მეორე ფრთა ვაზის ჯვრისა მაშინ დაეშვა, როცა 1811 წელს ეკლესიის ავტოკეფალია გაგვიუქმა რუსეთმა.** ამასწინათ ვლადიმერ კანდელაკის წიგნის პრეზენტაცია იყო რუსეთის საელჩოში, სადაც მეც ვიყავი მიწვეული და სიტყვა წარმოვთქვი... რუსებს არ მოვერიდე და პირდაპირ განვაცხადე - უამრავი იმპერია გადაშენდა, მაგრამ საქართველო გადარჩა და კავკასია თავისუფალი უნდა იყოს. ცნობილი რუსი გენერალი, გრაფი პოტტო წერს, რომ რუსეთმა კავკასია დაიპყრო-მეთქი!.. რუსებს ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ გამოხტა ვიღაც ქართველი, რომელიც, ალბათ, იქ ნასუფრალით იკვებება და შემძახა - **„რეგლამენტი, რეგლამენტი"!**

**- ქალბატონო ია, მაინც არ მიპასუხეთ ჩემს მთავარ შეკითხვაზე, ვინ უნდა იყოს საქართველოს მეფე?**

-**თქვენ იცით, რამდენი ბაგრატიონია დღეს საქართველოში?**

**ოფიციალური მონაცემებით, დღეს საქართველოში 450 ბაგრატიონია მაშინ, როცა სინამდვილეში მათი რიცხვი მაქსიმუმ 20 კაცს არ უნდა აჭარბებდეს!.. ნამდვილ ბაგრატიონებს ყველას ვიცნობ და ეს 450 ბაგრატიონი საიდან გამოჩნდა საქართველოში, არ ვიცი!..** ესპანეთში მცხოვრებ **გიორგი ბაგრატიონს** ჰყავს **ოთხი შვილი,** მის ნახევარძმას - **ბაგრატს** ჰყავს **ორი შვილი, ნუგზარ ბაგრატიონს** ჰყავს **ორი ქალიშვილი,** მე მყავს ერთი **ქალიშვილი,** მაგრამ ჩვენ - ქალები არ ვითვლებით... **ქალის გამეფებამ საქართველოს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა.** წმიდა თამარ დედოფალი წმიდა სამების მეოთხე იპოსტასად უნდა შეერაცხა ქართველ ერს, მაგრამ თუ როგორ წარიმართა საქართველოს ბედი მისი შვილების მმართველობის დროს, ყველამ კარგად იცის!..

**- ე. ი. ქალბატონო ია, როგორც ვატყობ, თქვენ, ბაგრატიონები, ვერ თანხმდებით იმაზე, თუ ვინ უნდა იყოს საქართველოს მეფე!..**

- პატრიარქმა ძალიან კარგად ბრძანა, თუ ვინ იქნება მეფე!.. ეს საკითხი უნდა გადავწყვიტოთ ჩვენ და არა რომელიმე უცხო ძალამ... ტახტის მემკვიდრეთა რეალურ პერსონალიებზე მიზანმიმართული და გაუთავებელი საუბარი მონაქიის იდეის პროფანაციას ემსახურება!..

**ჯერჯერობით ვერ ვხედავ რომელიმე კონკრეტულ პერსონას!** როგორც პატრიარქმა ბრძანა, **უნდა შეირჩეს რამდენიმე წყვილი, მათი პირმშოები უნდა გაიზარდონ აქ, ისინი პატრიარქმა უნდა გაზარდოს, ქართველმა დედამ უნდა გაზარდოს ამ მიწაზე, ამ ჭირ-ვარამში, ამ სიხარულში!..**

**- შემდეგ რა მოხდება?**

- **შემდეგ უფალი გამოაჩენს და გამოარჩევს ტახტის მემკვიდრეს - მეფეს!..** ვფიქრობ, რომ **ეს პროცესი 25 წლით მაინც გაიწელება** და საქართველოში სამეფო ხელისუფლების აღდგენა ერთი ხელის მოსმით არ მოხდება!..

**- არის თუ არა დღეს ქართველი ერი მზად იმისათვის, რომ საქართველოში სამეფო ხელისუფლება აღდგეს და მეფემ იმეფოს?**

- **არა, არ არის მზად!..**

**- მოიაზრებიან თუ არა თქვენს მიერ ჩამოთვლილ წყვილთა შორის ნუგზარ ბაგრატიონისა და გიორგი ბაგრატიონის შვილები?**

- **ნუგზარ ბაგრატიონს** ვაჟი არ ჰყავს, **ორი ქალიშვილი ჰყავს... გიორგი ბაგრატიონს ოთხი შვილი ჰყავს,** მისი ვაჟი - **დავითი ამჟამად აქ არის, თითქოს ქართულ ენას სწავლობს,** მაგრამ მე არ ვიცნობ მას!.. ვაჟები ჰყავს ბაგრატ ბაგრატიონ-მუხრანელს, გიორგი ბაგრატიონის ნახევარძმას!.. გიორგისა და ბაგრატის მამა - **ირაკლი ბაგრატიონი** უბრწყინვალესი ვაჟკაცი, ულამაზესი კაცი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის შვილებს ვერც ქართული ასწავლა და ვერც ჩვენი ჭირ-ვარამი გადასცა!.. **რამდენჯერმე ვესაუბრე გიორგი ბაგრატიონს, ის ძალიან სათნო კაცია, ძალიან წესიერი, მაგრამ ავტომრბოლელია...** როგორც მეუბნებიან, ახლა გიორგი ბაგრატიონი ჯანმრთელობას უჩივის, ცუდად არის და არავის იღებს!..

ხშირად მიწევს მუხრანში ჩასვლა და **ხალხი ისეა გადაგვარებული, ფიქრობენ, რომ თითქოს ჩვენ მიწას წავართმევთ ვინმეს და თავად-აზნაურობას ძველ უფლებებში აღვადგენთ... ეს ხომ სისულელეა!..**

**- ქეთევან წამებული მუხრანელი ბაგრატიონი იყო, არა?**

- დიახ... გიორგიც მუხრანელია, დიდი მხედართმთავარი - პეტრე ბაგრატიონიც მუხრანელი იყო და ვახუშტი ბატონიშვილიც... ბაგრატიონთა ეს შტო ძალიან საინტერესოა... **1917 წლის 19 ნოემბერს** საქართველოში **პირველი ეროვნული ყრილობა** მოიწვიეს, რომლის ინიციატორები იყვნენ **კოტე აფხაზი, შალვა ამირეჯიბი** და სხვ. ამ ყრილობაზე მოხდა უპრეცედენტო ფაქტი, რომელიც არცერთი ქვეყნის ისტორიას არ ახსოვს. თავად-აზნაურობის სახელით გამოვიდა ილია ჭავჭავაძის დისწული - გენერალი კოტე აფხაზი, რომელმაც **ქართველი თავადაზნაურობის ქონება, სამეფო განძი ქართველ ერს გადასცა.**

**- რა ქონება იყო მაშინ ეს განძი?**

- **ეს ქონება მაშინ შეფასებულია 8 მილიარდ ფრანკად და 40 მილიონ ოქროს რუბლად...** სწორედ ეს ქონება იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური საფუძველი. **კოტე აფხაზი 1923 წლის 20 მაისს დღევანდელი ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს ბოლშევიკებმა.**

*ესაუბრა*

**დიტო ჩუბინიძე**

---

**სანთლების მაგივრად, ხანძრები!**



**„ეკოლოგიური კატასტროფის ალბათობა მნიშვნელოვნად გაიზარდა," - აცხადებს საქართველოს მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე, რომელიც შეეცდება, განმარტოს ყველა ის სავალალო შედეგი, რაც ეკოლოგიური კატასტროფისგან იქნება გამოწვეული.**



# დაიწყება მეწყერული პროცესები

- განსაკუთრებული აღშფოთებით მინდა გითხრათ, რომ ანექსიის მცდელობის, მოსახლეობის გაუბედურებისა და ქალაქების დაბომბვის კვალდაკვალ რუსებმა დაბომბეს ბორჯომ-ხარაგაულის უნიკალური ტყეპარკი. **ასეთი ბარბაროსობა მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მხოლოდ ერთხელ, როცა სადამ ჰუსეინი ქუვეითში შეიჭრა.** იგი ქუვეითში ომის დროს დამარცხდა, გაბოროტებულს ისღა დარჩენოდა, დაებომბა ნავთობის ჭაბურღილები, გადამამუშავებელი საწარმოები, რომ ხელოვნურად გამოეწვია ეკოლოგიური კატასტროფა. მაშინ ქუვეითი უმძიმესი შედეგების წინაშე აღმოჩნდა, ანალოგიური სიტუაციაა დღეს ჩვენთანაც. საქმე გვაქვს ეკოლოგიურ ტერორიზმთან, **ასეთი შეფასების ფიქსირება სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. ამ საზარელ ფაქტს უნდა მიეცეს ტერორიზმის კვალიფიკაცია!**

ბორჯომ-ხარაგაულის ტყეპარკი შედის დაცული ტერიტორიების სისტემაში, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის გერმანიის გარანტითაა გაკეთებული, მათ რამდენიმე მილიონი დოლარი გაიღეს. **ამ ტყეპარკს მიენიჭა სპეციალური სერთიფიკატი, როგორც ერთ-ერთი უნიკალურ დაცულ ტერიტორიას ევროპის ფარგლებში.** სამხედრო ბაზის დაბომბვას რომ ჰქონოდა ადგილი, კიდევ არ გაგვიკვირდებოდა. რუსებმა შემთხვევით არ აირჩიეს ეს ტერიტორია. მათთვის მას სტრატეგიული დანიშნულება აქვს - **ცნობილია, რომ ბორჯომში მიწისქვეშა წყლები და ტყეები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ამიტომ ის დარტყმა, რომელიც ბორჯომის ხეობას მიაყენეს, განპირობებული იყო ბორჯომის მინერალური წყლის განადგურების მიზნით.** საბედნიეროდ, რუსებს ერთი რამ შეეშალათ, როგორც ჩანს, მათ არ იცოდნენ, რომ მინერალურ წყალს ზემოდან წყალგაუმტარი შრეები აქვს და მასზე ასე იოლად ზეგავლენის მოხდენა არ შეიძლება, თუმცა, იქ არის მინერალური წყლის კვების არეალი, რომელიც უფრო მგრძნობიარეა, მასზე დიდი ზიანის მიყენება შეიძლება.

ამას აუცილებლად მოჰყვება მკაცრი რეაგირება. ალბათ, გახსოვთ, შევარდნაძის დროს ჩვენს პარტიას რამხელა ომი ჰქონდა ატეხილი იმასთან დაკავშირებით, რომ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი არ გასულიყო ბორჯომის ხეობის თავზე, ვითხოვდით მის გადავწყვეტს, რამე უბედურება რომ არ მომხდარიყო. ბორჯომის ხეობაში არის ნაბადოვის, სასმელი წყლის სისტემა... **რომ არა ჩვენი ბრძოლა, დღეს ბორჯომის ხეობა აბსოლუტურად გამოუსადეგარი იქნებოდა. საქართველო რომ ენერგეტიკული დერეფნის როლს ასრულებს, რუსეთს ეს ვერ მოუნელებია.**

**- თუმცა, რამდენიმე დღის წინ აჩვენეს კადრები, როგორ ეკიდება ცეცხლი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს...**

- კიდევ კარგი, სერიოზული ზიანი არ მიადგა ნავთობსადენს, ადგილი ჰქონდა დაბომბვის მცდელობებს. მსგავსი ეკოლოგიური ტერორიზმი იმიტომ განახორციელეს, რომ საქართველოს ამოგლიჯონ ის მარგალიტი, რაც ღმერთისაგან გვაქვს ნაბოძები. **ყველას ახსოვს, განგაში რომ ავტეხეთ სოჭის ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებით, რუსებს აფხაზეთის ტერიტორიიდან უნდა გაეტანათ 40 მილიონი კუბური მეტრი მასალა - ქვა, ქვიშა, ღორღი, ეს, ფაქტობრივად, მოსპობს აფხაზეთს როგორც საკურორტო ზონას.** უფრო მეტიც, იქ რვა დასახლებული პუნქტი ოჩამჩირის ჩათვლით იქნება გასახლებული გარკვეული პერიოდით, ისეთი ეკოლოგიური კატასტროფაა მოსალოდნელი.

სოჭის ოლიმპიადის ჩატარება დიდ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ევროკავშირში გაერთიანებულია 28 ქვეყანა, თუ მათაც უარი თქვეს ოლიმპიადის ჩატარებაზე, ჩათვალეთ, რომ სოჭის ოლიმპიადა ჩაშლილი იქნება.

**- რა შეგიძლიათ თქვათ ფოთის პორტში სამხედრო გემების აფეთქებასთან დაკავშირებით, ამ ფაქტის გამო ზღვაში დიდი რაოდენობით ნავთობი ჩაიღვარა...**

- რუსებმა იერიში ფოთის პორტზეც მიიტანეს, ააფეთქეს სასაზღვრო დანიშნულების სამხედრო გემები, მათში კი დიდი რაოდენობით ნავთობია. იგი ჩაიღვარა შავ ზღვაში, ნავთობს ახასიათებს ასეთი თვისება, როცა ის წყალში ხვდება, გარკვეული პერიოდის შემდეგ იშლება, წარმოშობს **ტოქსიკურ ნივთიერებას - ფეროლს,** რომელიც ანადგურებს ყველაფერს და ადამიანისთვის უკიდურესად მავნებელია. ამდენი ჩაღვრილი ნავთობი გარკვეული პერიოდის მერე გამოიჟონება და მერე ეკოლოგიურ კატასტროფას შექმნის შავ ზღვაზე. შავი ზღვა მასში არსებულ ცოცხალ ორგანიზმს საფრთხეს უქმნის და ის ტურისტულ მნიშვნელობას კარგავს. **ახლა ბორჯომის ხეობაში 300 ჰექტარია განადგურებული.** იქ ისეთი ხეები იყო დარგული, რომელთა ასაკი 80-100 წელია. დამწვარ ტერიტორიაზე ახალი ხე რომ ამოვიდეს, ამას დასჭირდება ნახევარ საუკუნეზე მეტი. ეს კი ნიშნავს, რომ ბავშვები, ვინც ახლა მცირეწლოვანები არიან, შეიძლება, ვერც მოესწრონ ბორჯომის ხეობის განახლებას.

ეს ხეები ტყის ფერდობზეა განლაგებული, ბორჯომის ხეობა დამრეცი ფერდობია, ტყეებს აქვთ მეწყერული პროცესების შეჩერების ფუნქცია, ის ეროზიების წარმოქმნასაც უშლის ხელს. **ახლა, როცა ტყის ტერიტორია მოშიშვლდა, დაიწყება მეწყერული პროცესები, რასაც გარკვეული მსხვერპლი მოჰყვება. ასევე იმატებს ქარის სიჩქარე, შეიცვლება კლიმატური პროცესები.** ამას გარდა, გახსოვთ, ალექსეევკის სამხედრო ბაზაზე ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის მშენებლობის წინააღმდეგი რომ ვიყავით? იქ თავი უნდა მოეყარა 1 000 ყველაზე მძიმე ინფექციური დაავადების მიკროორგანიზმებს. ჭკუათმყოფელს როგორ შეიძლება მოსვლოდა თავში აზრად ის, რომ სამხედრო ობიექტზე ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია აშენებულიყო? ალექსეევკის სამხედრო ბაზაზე რომ ხსენებული ლაბორატორია ყოფილიყო, ეს ხომ ქართველი ერის გენოციდს გამოიწვევდა, მის გადაშენებას შეუწყობდა ხელს.

*ესაუბრა*

**ნათია ლებანიძე**

---

**ამ ომში ვერავინ იქნება გამარჯვებული! - წერილი მედვედევს**



ჩვენ გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას ათასობით გარდაცვლილის, - როგორც ქართველების, ისე ოსებისა და რუსების გამო და დიდად ვწუხვართ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის იყო და არის პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარების მომხრე. ჩვენ ადრეც ამის შესახებ არაერთხელ ვაცხადებდით და ახლაც იგივეს ვიმეორებთ. თუმცა აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ცხინვალის რეგიონი, - სამხრეთ ოსეთი არის ძირძველი ქართული მიწა, სადაც ოსთა ძირითადი ნაწილი XVII საუკუნეში გადმოსახლდა, ხოლო ოსეთის ავტონომია გასული საუკუნის 20-იან წლებში კომუნისტების მიერ შეიქმნა. ამიტომაც საზღვრების მთლიანობის აღდგენის მცდელობა არ შეიძლება შეფასდეს როგორც თავდასხმა ან ეთნოკონფლიქტი. ეს იგივეა, რომ მოულოდნელად რუსეთს შეექმნას პრობლემა ნოვგოროდთან, ან სმოლენსკთან მიმართებაში და მან დაიცვას თავისი ტერიტორია. მითუმეტეს, რომ თქვენს ქვეყანას აქვს მსგავსი გამოცდილება ჩეჩნეთში.

ბატონო პრეზიდენტო, მე იმედი მაქვს თქვენი კეთილგონიერებისა.

ამ ომში ვერავინ იქნება გამარჯვებული. რუსეთ-ქართულ ურთიერთობებში მძიმე პერიოდები ყოფილა, მაგრამ სიტუაცია ღია საომარ მოქმედებამდე არ მისულა. ამიტომაც ეს არის განსაცდელი არა მარტო საქართველოსთვის, ანდა რუსულ-ქართული ურთიერთობისთვის, არამედ რუსეთისთვისაც.

ვფიქრობ, ღვთის შეწევნით დავძლევთ დაპირისპირებას და ძმური ურთიერთობები კვლავ განახლდება.

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ხალხები მშვიდობითა და კეთილდღეობით.

**2008 წლის 8 აგვისტოს პეკინის ოლიმპიადა და რუსეთ-საქართველოს ომი ერთდროულად დაიწყო. ქართველებისათვის ოლიმპიადა დამთავრდა, მაგრამ არ დამთავრებულა ომი. ჩვენთვის რუსეთ-საქართველოს ომი მაშინ დამთავრდება, როცა აგრესორი მეზობლის უკანასკნელი ტანკი და საოკუპაციო არმიის ბოლო ჯარისკაცი დატოვებს ქართულ მიწას.**

# ყოჩაღ!

კარგი იქნებოდა, ეს 24 აგვისტომდე მომხდარიყო. სწორედ ამ დღეს დამთავრდა რუსეთ-საქართველოს ომის პარალელურად დაწყებული პეკინის ოლიმპიადა.

რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიით მთელ მსოფლიოს დაანახვა, რომ იგი თავის ველიკოდერჟავულ ამბიციებს ყველაზე და ყველაფერზე მაღლა აყენებს.

**ოლიმპიადის, ანუ მსოფლიო მშვიდობის სიმბოლოს დაწყების დღეს რუსეთის მიერ ომის დაწყება სწორედ ამაზე მინიშნება იყო.**

ახლა ცოცხალი რომ იყოს ლევ ტოლსტოი - ავტორი გენიალური რომანისა „ომი და მშვიდობა", იგი აუცილებლად დაწერდა ახალ გენიალურ რომანს სათაურით **„ომი და ოლიმპიადა".**

სამწუხაროდ, ლევ ტოლსტოი ცოცხალი აღარ არის, ამიტომ გენიალური რომანის ნაცვლად, სათაურით „ომი და ოლიმპიადა" თქვენი მონამორჩილი ერთ მოკრძალებულ სტატიას ვწერ და ველოდები რუსი ოკუპანტების საქართველოდან გასვლას.

თუმცა, სანამ რუსი ოკუპანტები საქართველოდან გავლენ, მანამდე, ალბათ, საქართველოში ქართველი ოლიმპიელები დაბრუნდებიან, რომლებმაც სამშობლოში არსებული უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, შეძლეს და მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს პეკინის ოლიმპიადაზე.

**სულ ექვსი ოლიმპიური მედალი, აქედან სამი ოქროსი და სამი ბრინჯაოსი - ასეთია ქართველ ოლიმპიელთა მონაგარი.**

პირველი, ბრინჯაოს სინჯის ოლიმპიური მედალი საქართველოს ტყვიის მსროლელმა **ნინო სალუქვაძემ** მოუტანა. ქართველი ჯარისკაცების თავგანწირვისა და გმირობის მიუხედავად, ცხინვალის მიწაზე რუსებმა ტყვიის სროლაში რომ გვაჯობეს, ზუსტად ისე აჯობა რუსმა ტყვიის მსროლელმა ჩვენს ტყვიის მსროლელს პეკინის ოლიმპიადაზე, მაგრამ ნინო სალუქვაძის ასვლა ოლიმპიური კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მაინც გვარიანი წარმატება იყო ჩვენთვის. უფრო საინტერესო და სასიამოვნო კი ის იყო, რომ მეორე ადგილზე გასული რუსი სპორტსმენი და ჩვენებური ნინო სალუქვაძე ერთმანეთს გადაეხვივნენ და წარმატება მიულოცეს.

**ეს ფაქტიც სწორედ იმის დადასტურება იყო, რომ ოლიმპიადა ხალხთა სიყვარულის, მეგობრობის და სოლიდარობის სიმბოლოა, ოლიმპიადის დაწყების დღეს კი ომის დაწყება ყოველივე ამის უგულებელყოფას, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ადამიანური ჰუმანიზმის უხეშ უარყოფას ნიშნავს.**

რუსეთ-საქართველოს ომის ფონზე ერთმანეთის გადახვეული და მეგობრულად ხელჩაკიდებული რუსი და ქართველი სპორტსმენის კადრებმა მთელი მსოფლიო მოიარა.

ნინო სალუქვაძის ბრინჯაოს მედალის შემდეგ საქართველომ ერთ დღეში ორი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიხვეჭა.

13 აგვისტოს, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **მანუჩარ კვირკველიამ** და ძიუდოისტმა **ირაკლი ცირეკიძემ** ქართველ ხალხს ზარ-ზეიმის ნამდვილი მიზეზი გაუჩინეს და ჩვენს ქვეყანაში ომი და უბედურება რომ არ ყოფილიყო, 13 აგვისტო მართლაც გადაიქცეოდა საერთო-სახალხო ზეიმად.

როდესაც რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო და პროტესტის ნიშნად ქართული დელეგაციის მიერ ოლიმპიადის დატოვების საკითხი დადგა დღის წესრიგში, მანუჩარ კვირკველიას უთქვამს: **რა თქმა უნდა, დავბრუნდები საქართველოში და ჩემს ხალხს გვერდით დავუდგები, მაგრამ ძალიან მინდოდა, რომ მეჭიდავაო.**

საბედნიეროდ, ისე მოხდა, რომ მანუჩარ კვირკველიამ იჭიდავა და ოქროს მედალიც მოიპოვა, მაგრამ ქართველი ფალავანი თავისი ცხოვრებისა და კარიერის უბედნიერეს წუთებშიც სამშობლოს თავსდამტყადრი უბედურების გამო რომ ჰმუნავდა, ეს მას გამომეტყველებაზეც ეტყობოდა და იმაზეც, რომ უდიდესი გამარჯვება მაინცდამაინც დიდი ემოციებით არ აღუნიშნავს.

აბსოლუტურად იმავეს თქმა შეიძლება ძიუდოისტ **ირაკლი ცირეკიძეზეც,** რომელიც სანამ ფინალში გავიდოდა და ოქროს მედალს მოიხვეჭდა, ნახევარფინალში რუს ფალავანს შეხვდა, ბეჭებზე გააკრა და სუფთა გამარჯვება მოიპოვა.

**მანუჩარ კვირკველიასა** და **ირაკლი ცირეკიძის** შემდეგ საქართველოს მორიგი ოლიმპიური მედალი, ოღონდ ბრინჯაოსი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე გორელმა ფალავანმა **ოთარ თუშიშვილმა** მოუტანა. აღსანიშნავია, რომ ამ გამარჯვების შემდეგ **ოთარ თუშიშვილი** მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში მოექცა, რადგან იგი გორელია და მისი მშობლები რუსი აგრესორების მიერ დაბომბილ და ოკუპირებულ გორში იმყოფებოდნენ.

ბოლო ოლიმპიური მედლები ომგადატანილ სამშობლოს ასევე თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა მოუხვეჭეს. **გიორგი გოგშელიძემ** ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, **რევაზ მინდორაშვილმა** კი - ოქროსი. მინდორაშვილმა ნახევარფინალში ოსი ეროვნების რუსეთის მოქალაქე **გიორგი კიტოევი** დაამარცხა.

რუსეთის სახელით მოასპარეზე ოსი ეროვნების სპორტსმენი ვახსენეთ და აღსანიშნავია, რომ პეკინის ოლიმპიადაზე საქართველოს ღირსებას ორი ოსი ახალგაზრდა ძალოსანი იცავდა. მართალია **არსენ კასაბიევი** და **ალბერტ კუზილოვი** ოლიმპიურ მედლებს ვერ შესწვდნენ, მაგრამ მეოთხე და მეშვიდე ადგილები დაიკავეს, რაც ურიგო შედეგი არ არის.

**ასე რომ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენმა სპორტსმენებმა მთელ მსოფლიოს ქართული სულისა და გენის უტეხობის და უძლეველობის მაგალითი უჩვენეს. მათ კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს კაცობრიობას, რომ რამდენი ჭურვიც არ უნდა ესროლონ საქართველოს, რამდენი უნიტაზი და ოქროს ჩანგალიც არ უნდა მოიპარონ ამ ქვეყნიდან ოკუპანტებმა, ქართველი კაცის საბრძოლო სულისკვეთებას და თავისუფლების სიყვარულს ვერას დააკლებენ.**

## ბოლოთქმა

*ცნობილია, რომ ოლიმპიადა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი და ომებით გაუმაძღარი მხედართმთავრის ალექსანდრე მაკედონელის დედას ერქვა.*

*ალბათ, ნიშანდობლივია, რომ ყველაზე დიდ სპორტულ ღონისძიებას, რომელიც მსოფლიო მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და სოლიდარობის სიმბოლოა, იგივე სახელი ჰქვია, რაც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი აგრესორისა და დამპყრობლის ალექსანდრე მაკედონელის დედას ერქვა. ეს, ალბათ, იმის გამოხატულებაც არის, რომ მსოფლიოში მუდმივად პარალელურ რეჟიმში უნდა სუფევდეს ომი და მშვიდობა.*

*გნებავთ, ომი და ოლიმპიადა.*

*ცნობილია ისიც, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ანდერძად დაიბარა, როცა მოვკვდები, ერთი ხელი გამაშლევინეთ და კუბოდან გადმომაყოფინეთ, რათა ყველამ ნახოს, რომ იმ ქვეყნად არაფერი მიმაქვსო.*

რას წაიღებენ იმ ქვეყნად ალექსანდრე მაკედონელიზმით შეპყრობილი მედვედევი და მისი მასწავლებელი პუტინი, ამასაც ყველა ნახავს.

ჯაბა ხუბუა



ირაკლი ცირეკიძე



გიორგი გოგშელიძე



მანუჩარ კვირკველია



რევაზ მინდორაშვილი



ოთარ თუშიშვილი



ომით დაზაფრული ქართველების გასახარებლად ოქროს მედალი ძალიან მჭირდებოდა. ბედნიერი კაცი ვარ, რომ მიზანს მივაღწიე.

მანუჩარ კვირკველია








ირაკლი ცირეკიძე:

ეს ჩემთვის ომის ის ნაწილი იყო, რომელშიც ამ დღეებში ჩემი ხალხი მონაწილეობდა, ამიტომ გამარჯვების ჟინი გაათმაგებული მქონდა. როდესაც რუსი სპორტსმენი ბეჭებზე დავაგდე, თითქოს ყველა ქართველის ჯავრი ამოვიყარე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბრძოლის ველზე ვიდექი და ჩემს სამშობლოს ვიცავდი.



ვნებათაღელვა ნიუ იორკში















ვნებათაღელვა ვაშინგტონში

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის
გასტროლები ამერიკაში





უილიამ შექსპირის

# ზაფხულის ღამის სიზმარი

შაბათს, 25 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე

რეჟისორი ლევან წულაძე
მხატვრობა და დიზაინი ანა კალატოზიშვილის
ქორეოგრაფი გია მარგანია
მუსიკალური გაფორმება ზურა გაგლოშვილის
კომპოზიტორი ვახტანგ კახიძე
რეჟ-ის თანაშემწე ნინო ჟორჟოლიანი

**მონაწილეობენ:** დავით დვალიშვილი, ვალერი კორშია, ირაკლი ჩოლოკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ლეო ანთაძე, ზაზა იაკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ზურა ბერიკაშვილი, ვასილ ძიწენიძე, ნიკა კუჭავა, ირმა ბერიანიძე, ნათელა გუბენკო, თამუნა ბუხნიკაშვილი, ნიკა ტევზაძე, ეკატერინე ნიჟარაძე, ონისე ონიანი, მაია კაპიტაძე, ლელა მებურიშვილი

თეატრი „მილენიუმი"
1029 Brighton beach ave, Brooklyn, NY
ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ: www.myconcert.us
ტელეფონები: 718-615-1500, 347-528-0037, 718-781-6945

ZUBERI INC.

---

**ბიჭია, ბიჭი!**
**ეკატერინე ჩიბურდანიძეს და სოსო ლობჟანიძეს,**



გილოცავთ პატარა **ზურას** დაბადებას, ღმერთმა ჯანმრთელი და ბედნიერი ვაჟკაცი გაგიზარდოთ, მშვიდობიან და დალაგებულ ქვეყანაში ცხოვრება მისურვებია.

**ღმერთი თქვენთან!** **მანუჩარი**

---

**ჩვენს დოდო კაციას,**

დაბადების დღეს გილოცავთ ყველა ქუთათურზე უზომოდ შეყვარებულ ქალბატონს, ჭეშმარიტ ქართველ დედას, ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და წარმატებებს გისურვებთ შვილებთან და ახლადგაქრისტიანებულ შვილიშვილთან ერთად.

**ნინო ხარაბაძე, თამაზ ხარაბაძე, ირინა ნაცვლიშვილი, მანუჩარ კაჭახიძე**

* * *

**მაია სულაქველიძეს,**

ვულოცავ დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. ჯანმრთელობას, მზეგრძელობას და ულევ სიხარულს გისურვებ ჩემო საყვარელო მაიკო

**დიდი სიყვარულით, ნინო ხარაბაძე**

* * *

დაბადების დღეს ვულოცავთ ჯვართამაღლება დღეს დაბადებულ ქართველ ხელოვანს, შესანიშნავ მხატვარს, ქალბატონ **გულნარა ფიკლაურს**, შემოქმედებით წარმატებებს, სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ მსოფლიოს დიდ ქალაქში.

**მოწიწებით, გაზეთ „მამულის" რედაქცია**

* * *

ჩვენს **ეკა ადეიშვილს,** მარად მოუსვენარს, ბოჰემური ქალაქის ყველაზე წყნარ მოქალაქეს, ჭკვიანს, ლამაზსა და მომხიბვლელს, - ვულოცავთ დღეობას, სულში მზეობას და გულში სიყვარულის ყვავილობას ვუსურვებთ.

ხო მაგარი მილოცვაა?

**მეგობრები სალხინეთიდან**

## სამძიმარი

დალი ხოფერია, ნანა ანთიძე, ნინო ხარაბაძე, ნარგიზა ბიბიჩაძე, ნათელა მოსიაშვილი, იამზე გოგუაძე ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ნანა ნაკაშიძეს დედის
**ქალბატონი თინას**
გარდაცვალების გამო.

თამაზ ხარაბაძე ოჯახით თანაუგრძნობს ნანა და ზეინაბ ნაკაშიძეებს უდიდეს მწუხარებაში, ძვირფასი დედის
**თინა ფულუკიძის**
გარდაცვალების გამო

---

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით.



347-738-5265
ლელა

---

# DISCOUNT PLUS STORE




---

მაია ნინოშვილის სააგენტო

# Georgia-USA Travel

ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214

---

DANCING CRANE TRADITIONAL ARTS PROJECT

კორპორაცია „დანსინგ კრეინთან"
არსებული ნიუ იორკის ქართული თეატრი
წარმოგიდგენთ
ოტია იოსელიანის სცენარის მიხედვით,
ლია სირელსონის მიერ ადაპტირებულ სპექტაკლს




---

უკრაინელი დოქტორის ვიქტორ გრიზენკოს კლინიკა

გიწვევთ სამკურნალოდ და გთავაზობთ თბილ, მეგობრულ მომსახურებას, მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას



დიაგნოსტიკა და მკურნალობა:
ძვალ-სახსროვანი სისტემის; ოსტეოქონდროზის; დისკოზების; ნევროზის; ვენური უკმარისობა; ბლოკადა ქრონიკული დაავადებების დროს; აკუპუნქტურა-რეფლექსოთერაპია; ნარკომანიის ანონიმური მკურნალობა; სამედიცინო ექსპერტიზა; ტრავმები; მოტეხილობები; ავტოავარიები; სამუშაო კომპენსაცია

იჩქარეთ! დაავადების დროული პროფილაქტიკა და მკურნალობა ჯანმრთელობის საწინდარია. ვღებულობთ ყველა სახის სამედიცინო დაზღვევას.

170 Avenue S
(Corner West 7th Street)
Brooklyn, NY 11223
Tel: (718)382-8282

242 East 19th st, S3
Manhattan, NY 10003
Tel: (212)475-6249
(Office of Dr. Ostrowski)

---






ასავალ დასავალის პარტნიორობით
რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე
მამული
EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE
MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770
საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით
რედაქცია მადლობას უხდის შემწეობისათვის ჟუჟუნა ნარეკლიშვილს, იამზე გოგუაძეს და დალი ხოფერიას